პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამოცხადებული, გარდა გან[illegible]ბის ფასისა, იხდის 1[illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- საზღვაო „განიარაღების" კონფერენციაზე შეთანხმდნენ წყალქვეშა ნავების ტონაჟი 1800 ტონიდან 30[illegible]ადიდონ.
- გერმანიაში 1.300.000 უმუშევარს მოუსპეს დახმარება.
- პოლიციელების თავდასხმა გაფიცულებზე ინდოეთში.
- დეტერდინგის ანტი-საბჭოთა კამპანია ესპანეთში.
- უთანხმოების ზრდა ინგლისელ კონსერვატორების ბანაკში.
- 1928 წ. პირველი მაისის შემდეგ დაარსებულ საბჭოთა მეურნეობების განთავისუფლება სახ.-სამ. გადასახადისაგან 5 წლით.

პარასკევი, 11 აპრილი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 82 (2730)

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის 1930 წ. 10 აპრილის დადგენილება

1. საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი სავსებით ეთანხმება საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მითითებებს, რომლებიც მოცემულია 2 აპრილის დადგენილებაში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ და ამხ. სტალინის წერილში „პასუხი ამხ. კოლმეურნეებს" და იღებს ამ დირექტივებს გადაუხრელად შესრულებისათვის. ა.-კ. საოლქო კომიტეტი სწორად სთვლის ცენტრ. კომიტეტისა და ამხ. სტალინის წერილის მითითებებს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის შეცდომების შესახებ.

2. საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღიარებს ა.-კ. საოლქო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების მიერ კოლექტივიზაციის ტემპების საკითხზე მიღებულ დადგენილებებში დაშვებულ შეცდომებს: შემცდარი იყო მთლიანი კოლექტივიზაციის ოლქების და რაიონების „დეკრეტებით" განსაზღვრა; დირექტივები საკოლმეურნეო მოძრაობაში ამიერ-კავკასიის თავისებურობათა გათვალისწინების შესახებ საკმაოდ სრულად არ იყო დეტალურად განმტკიცებული სხვადასხვა რაიონების მიმართ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის 6 თებერვლის დადგენილებამდე.

3. საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი შემცდარად სთვლის იმას, რომ პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის დარგში ა.-კ. საოლქო კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა არ მიიღეს დაუყოვნებლივი და საკმაოდ გადამჭრელი ზომები ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების დადგენილებებში და მათ პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების, „კოლექტივიზაციობის თამაშის", მბრძანებლობის, პარტიის საკოლმეურნეო პოლიტიკის სხვა დამახინჯებათა და ამიერ-კავკასიის თავისებურობათა სათანადოდ შეუფასებლობის წინააღმდეგ.

4. საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მიაღწიონ დაშვებულ შეცდომათა საბოლოო ლიკვიდაციას, განსაკუთრებით საშუალო გლეხობის მიმართ, განავითარონ ენერგიული მუშაობა კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად, ფართოდ განმარტონ ამხ. სტალინის „პასუხი კოლმეურნეებს" და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას 2 აპრილის დადგენილება კოლმეურნეთათვის მინიჭებული შეღავათების შესახებ და მთელი ძალღონე მოახმარონ ბრძოლას გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად, განსაკუთრებით მებამბეობის გეგმის მაქსიმალურად შესრულებას.

5. საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებს და ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ კრებებზე, მომავალ პარტიულ კონფერენციებზე და ყრილობებზე და პრესის საშუალებით ჯამი გაუკეთონ მთელს მუშაობას საკოლმეურნეო მშენებლობაში და გამოააშკარაონ ყველა დაშვებული შეცდომები. ამასთანავე საჭიროა ბრძოლა შეცდომებისა და დამახინჯებათა მიჩქმალვისა და დაფარვის წინააღმდეგ, ამავე დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული თვითკრიტიკის გადამლაშება და მიღწეულ დადებითი შედეგების მიჩქმალვა.

ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნას გაუმჯობესება ამიერ-კავკასიის მთელი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისა სოფლად, მისი აქტივობის ამაღლება და მისი რიგების მთლიანობისა და სიმჭიდროვის შემდგომი განმტკიცება პარტიის ლენინური პოლიტიკის გარშემო, რომელსაც გადაუხრელად ანხორციელებს საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

თესვის შესახებ

თესვა დაიწყო. მთელ რიგ სამხრეთ-რაიონებში თესვა გაჩაღებულია. მთელი რიგი რაიონები დღითი-დღე ებმება თესვაში. სხვები თესვის დასაწყისის წინა ხანში იმყოფებიან.

მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს მტკიცე რწმენა ვიქონიოთ, რომ ამ კამპანიის წინაშე დასახული ამოცანები, მოსამზადებელ მუშაობაში გამოაშკარავებულ ჩამორჩენათა მიუხედავად, მაინც გადაიჭრება, არის ის ფაქტი, რომ თესვის ირგვლივ ისე, როგორც არასოდეს, დარაზმულია მთელი მუშათა კლასისა და მთელი პარტიის ყურადღება. გაზაფხულის თესვის კამპანია მოქცეულია ყველა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. თესვის მომზადებისა და ჩატარების საქმეში ჩაბმულნი არიან მუშათა კლასისა და პარტიის საუკეთესო ძალები, თესვის ორგანიზაციისათვის დარაზმულია ღარიბ და საშუალო გლეხთა უფართოესი მასების აქტივობა. ეს გარემოება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან თესვის სწორ ორგანიზაციაზე და მასების ორგანიზაციულად დარაზმვის ხარისხზე დამოკიდებული იქნება მთელი კამპანიის წარმატება.

ამ საქმის სწორი ორგანიზაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, კოლექტივიზაციის მძლავრი განვითარებით. უამრავი კოლმეურნეობა მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო წელს წარმოიშვა. კოლექტივიზაციის გზაზე შემდგარი გლეხობის მრავალმილიონიან მასას, რომელიც ამსხვრევს საუკუნოებრივ ტრადიციებსა და ჩვეულებებს, გადადის მეურნეობის წარმოების ახალ ფორმებზე და ემზადება თესვის ჩატარებისათვის მეურნეობის ახალი კოლექტიური ფორმების საფუძვლებზე, უწინარეს ყოვლისა, მუშაობის სწორი ორგანიზაცია ესაჭიროება. სწორედ ამიტომ კოლმეურნეობათა მასების ორგანიზაციის საკითხებს და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა, ბრძოლა კოლექტიური თესვისათვის მიმდინარე ეტაპზე არის, უწინარეს ყოვლისა, ბრძოლა შინასაკოლმეურნეო მშენებლობის სწორი ორგანიზაციისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ დავრაზმავთ კოლმეურნეთა მთელი მასების საწარმოო აქტივობას, თუ მათ ყურადღებას მივაპყრობთ შინასაკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე. კოლმეურნეობათა მუშაკების ყურადღების მიპყრობა შინასაკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე ნიშნავს ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების დარაზმვას წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხების ირგვლივ, მათში საწარმოო აღფრთოვანების გამოწვევას და მათი ენერგიის მიმართვას კოლექტიური თესვის ორგანიზაციისაკენ. ეს ნიშნავს საშუალო გლეხებთან სწორი ურთიერთობის დამყარებას კოლმეურნეობის შიგნით, მათი ინიციატივის ფართოდ გამოყენებას საწარმოო საკითხების გადაჭრაში და საშუალო გლეხთა საუკეთესო ნაწილის დაწინაურებას ხელმძღვანელ საკოლმეურნეო სამუშაოზე. ეს ნიშნავს კოლმეურნეთა აქტივობის მობილიზაციას ულმობელი ბრძოლისათვის კულაკთან და კულაკურ გავლენასთან. რომელიც მიმართულია მთელი შინასაკოლმეურნეო მუშაობის დეზორგანიზაციისაკენ და კოლმეურნეობათა თესვის ჩაშლისაკენ.

ადგილებიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ კოლმეურნეობათა მუშაკების ყურადღების შინასაკოლმეურნეო მუშაობისაკენ მობრუნება სწრაფი ტემპით ხდება. ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ ყველა კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობის მძლავრად გაშლას.

ამასთან ერთად კოლმეურნეობათა მინდვრების დასათესად წარმოებული მკაფიო და შეუფერხებელი მუშაობა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ინდივიდუალურ მეურნეებზე, რომელნიც რწმუნდებიან, რა უდიდესი უპირატესობა აქვს კოლექტიურ თესვას. ჩვენ გვაქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც სწორად მოგვარებული თესვა მკვეთრ გარდატეხას იწვევს ღარიბ და საშუალო გლეხთა იმ ნაწილის განწყობილებებში, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობებში. მრავალი ადგილიდან იტყობინებიან, რომ კოლმეურნეობათა წარმატებითი თესვის შთაბეჭდილებით მრავალი ინდივიდუალური მეურნე შედის კოლმეურნეობებში. ამრიგად, კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა სწორი ორგანიზაცია არის მძლავრი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების ნდობას კოლექტივიზაციისადმი და რომელიც მთელი ძალით მოქმედებს პარტიის ხაზის დაშვებულ დამახინჯებათა და გამრუდებათა სწრაფად და გადაჭრით გამოსწორების საერთო ფონზე, იმ შეღავათებისა და უპირატესობების ფონზე, რომელიც კოლმეურნეობებს ეძლევა. თესვის მიმდინარეობა კოლმეურნეობებში მკაფიოდ მოწმობს, რომ, სიძნელეთა მიუხედავად, ჩვენ აქ უდიდეს წარმატებას ვაღწევთ. კოლმეურნეობები საერთოდ თავს ართმევენ თესვის ამოცანას. ასეთია კოლექტიური თესვის პირველი შედეგები.

თესვის ორგანიზაციაში მკაფიო ბოლშევიკური მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები. მიმდინარე წელს თესვაში ჩაება და ებმება 132 უდიდესი სამარცვლეულო ფაბრიკა. მინდვრის სამუშაოთა სწრაფად ჩატარება, საწარმოო გეგმების სწორად შესრულება, დიდი შრომითი აღფრთოვანება, საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასებისა და სპეციალისტების საწარმოო ენტუზიაზმი, მათი დისციპლინა, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა. —ასეთია საბჭოთა მეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა ჩატარების დამახასიათებელი ნიშნები.

თუ შეგვიძლია აღვნიშნოთ დიდი წარმატებანი კოლმეურნეობათა თესვის ორგანიზაციასა და ჩატარებაში, თუ მუშაობის ამ დარგში უდიდეს გარდატეხას მივაღწიეთ თესვის სწორი ორგანიზაციის მხრივ, სამაგიეროდ ინდივიდუალური სექტორის თესვის ორგანიზაციის საქმეში უდიდესი დეფექტები გვაქვს. ამავე დროს მთელ რიგ რაიონებში ინდივიდუალურ მეურნეობებს თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვთ. პარტორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ყველა იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ თესვის კამპანიის ჩატარებას და ნათესი ფართობების გადიდებას არა მარტო კოლმეურნეობებში, არამედ ინდივიდუალურ მეურნეობებშიაც, მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა სასწრაფო ზომები მიიღეს და ახლაც ღებულობენ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ თესვის კამპანიის გეგმების შესრულება ინდივიდუალურ სექტორში. მაგრამ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მუშაობის გაშლა მთელ რიგ რაიონებში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ეს დეფექტები გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადების საქმეში სწრაფად უნდა გამოსწორდეს. პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს, მთლიანად უნდა უზრუნველჰყონ კოლექტიური თესვის წარმატება და ამავე დროს ნამდვილად უნდა გაუწიონ დახმარება ინდივიდუალურ სექტორს და აღმოფხვრან არსებული დეფექტები.

პარტიის მე-16 ყრილობა მიმდინარე წელს თესვის კამპანიის დამთავრების შემდეგ შეიკრიბება. ყრილობა ჯამს გაუკეთებს ჩვენი ქვეყნის მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის წარმოებულ უდიდეს მუშაობას. საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკებისა და ოლქების მუშაობას იგი შეათასებს იმის მიხედვით, თუ როგორ ჩაიბარებენ ისინი ბოლშევიკური თავგამოდების, დარაზმულობისა და სიმტკიცის ამ უმნიშვნელოვანეს გამოცდას.

აი რატომ მოითხოვს პარტია, რომ ყველა ორგანიზაციებმა მახლობელ გადამწყვეტ დღეებსა და კვირეებში მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ თესვას.

„პრავდა", 10 აპრილი.

კეთილგონიერების ხმები პოლონეთში

პოლონელ ნაციონალ-დემოკრატების ლიდერი დმოვსკი ანტისაბჭოთა ავანტიურის შესახებ

ვარშავა, 9 აპრილი. „გაზეტა ვარშავსკა"-ში დაიბეჭდა დმოვსკის მეორე წერილი, რომელშიაც ნაციონალ-დემოკრატების ბელადი უშუალოდ ეხება საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომის პროექტს, და იმ როლს, რომელიც უნდა ითამაშოს ამ ომში პოლონეთმა.

„ვინც დასავლეთ ევროპაში ყოფილა და მრეწველობის, ვაჭრობის და საფინანსო წრეების წარმომადგენლებს შეხვედრია,—სწერს დმოვსკი—იგი ძალიან ხშირად გაიგონებს საომარ ლოზუნგებს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებული გალაშქრების მოთხოვნას. საიდუმლოდ ამბობენ, რომ სადღაც, ფინანსისტების რომელიღაც თათბირზე, ასეთი გალაშქრების საკითხი უკვე გადასწყდა.

დამახასიათებელია,—განაგრძობს დმოვსკი, რომ ამ პროექტებში წითელი ძაფივით არის გატარებული იმდენად საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იდეა არა, რამდენადაც რუსეთის დამონების იდეა. თურმე მებრძოლი ფინანსისტები სავსებით რეალურად აზროვნებენ. ისინი იმაზედაც კი არ ფიქრობენ, რომ ამ ომში თავიანთი სახელმწიფოები ჩაებან: მათ განზრახვა აქვთ ამ მიზნის განხორციელება მთლიანად პოლონეთს დააკისრონ.

თურმე ჩვენ, პოლონელები,—ჯერ კიდევ ისეთ სულელებად ვითვლებით, რომელნიც შეიძლება ყველაფერზე დაითანხმო. რუსეთის დანაწილების დროს პოლონეთს ჰპირდებიან აღმოსავლეთის ადგილებს. ამისათვის პოლონეთს მიეცემა სესხი, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ კარგი პროცენტები გადაიხადოს. სამწუხაროა, რომ ჩვენ გვიცქერიან როგორც სრულიად უტვინო ბრბოს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება".

დასასრულ დმოვსკი ამბობს:

„საერთაშორისო კომივოიაჟერი ისეთ მეომრად გადაიქცა, რომ მზად არის ებრძოლოს საბჭოთა კავშირს პოლონეთის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. პოლონეთში ამ გეგმების შესახებ არავინ არაფერი იცის და, თუ ამის შესახებ ვინმეს რამე გაუგონია, ხუმრობად მიუღია. პოლონეთმა არ უნდა შეუქმნას არავითარი ილუზიები იმათ, ვინც მოისურვებს პოლონეთი წაიყვანოს იქით, საითაც მას წასვლა არა სურს" (ადს).

პოლონეთის პრესა სდუმს დმოვსკის წერილებზე

მოსკოვი, 10 აპრილი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი ეხება რა პოლონელ ნაციონალ-დემოკრატების ლიდერის დმოვსკის წერილებს პოლონეთის ანტისაბჭოთა ავანტიურაში ჩათრევის ცდების შესახებ, აღნიშნავს, რომ დმოვსკის მიერ მოყვანილი მასალები მეტად ავტორიტეტულია, დმოვსკი, რომელმაც თავის დროზე პოლონეთის სახელით ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. მისი უდიდესი კავშირი დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ წრეებთან, თავდებია იმისა, რომ მისი ინფორმაცია მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან.

პოლონეთის ხელმძღვანელი წრეები დუმილით უვლიან გვერდს დმოვსკის წერილებს. მაგრამ ეს დუმილი არა ნაკლებ მეტყველურია ვიდრე პოლონეთის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის გამაფრთხილებელი გამოსვლა.

„პრავდა" ეხება რა დმოვსკის წერილებს, სწერს, რომ საბჭოთა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტებს. მიუთითებს, რა დმოვსკის წერილებში მოყვანილ ფაქტების ავტორიტეტულ ხასიათზე, „პრავდა" აღნიშნავს, რომ პოლონელი ნაციონალ-დემოკრატები სცდილობენ თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ პოლონეთის მშრომელი მასების მტრული დამოკიდებულება ანტი-საბჭოთა სამხედრო გეგმებისადმი.

გერმანიის მშრომელთა ხარჯზე

შეღავათები კაპიტალისტებს: გადასახადი ქონებაზე შემცირებულია 600 მილ. მარკით.—უმუშევრებს შეუმცირეს სოც. დახმარება.—აღრიცხვიდან მოხსნეს 1.300.000 უმუშევარი

ბერლინი, 9 აპრილი. რეიხსტაგის სხდომაზე განხილულ იქნა მთავრობის საფინანსო გეგმა. მთავრობამ მიიღო ჯერ კიდევ მიულერის მთავრობის მიერ დამუშავებული პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია უმუშევართა დახმარების შემცირება.

კამათის დროს მთავრობის მომხრე ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უმუშევართა დაზღვევის საკითხის გამო წარდგენილი იქნება დამატებითი წინადადებით. ეს წინადადება, როგორც ყველაფრიდან სჩანს, სავსებით ეთანხმება ბრიუნინგის იმ წინადადებებს, რომლებმაც მიულერის მთავრობის დაცემა გამოიწვია.

მთავრობის პროექტის მიხედვით, 1931 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირდაპირი გადასახადების შემცირებას ქონებაზე. ამ შემცირების საერთო ჯამი 600 მილიონ მარკას შეადგენს.

კომუნისტმა ნეიმაიერმა თავის სიტყვაში დაახასიათა უმუშევართა და, საერთოდ, სოციალური დაზღვევის პირობების სისტემატიური გაუარესება სოციალ-დემოკრატ მიულერის კოალიციონური მთავრობის დროს.

ორატორი სოციალ-დემოკრატებს შეეკითხა:

„შეგიძლიათ თუ არა უარჰყოთ, რომ თქვენ ხმა მიეცით სეზონის მუშების პირობების გაუარესებას და იმ კანონს, რომლითაც დაზღვეული მუშების რიცხვი 1.300.000 კაცით შემცირდა?

შეგიძლიათ თუ არა უარჰყოთ, რომ სოციალ-დემოკრატებმა შეამცირეს ის თანხები, რომლებიც ინვალიდების, პენსიონერების, მშობიარე ქალების და სხვათა დასაცავად იყო დანიშნული?"

ამ შეკითხვებს სოციალ-დემოკრატებმა დუმილით გასცეს პასუხი.

დასასრულ ნეიმაიერმა მოუწოდა გერმანიის მშრომელებს—გაერთიანდნენ ბრიუნინგ-გუგენბერგის მთავრობის წინააღმდეგ, გაერთიანდნენ ყოველგვარი კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ და იბრძოლონ კაპიტალისტური მთავრობის დასამხობად და პროლეტარიატის დიქტატურისათვის (ადს).

საზღვაო განიარაღების კომედია

შეთანხმდნენ 1800 ტონიან წყალქვეშა ნავების ნაცვლად აგონ 3000 ტონიანი

ლონდონი, 10 აპრილი. საზღვაო კონფერენციის გაჭიანურებული აგონია, როგორც სჩანს, დასასრულს უახლოვდება. ბრიანისა და მაკდონალდის შეხვედრის შედეგად წარმოიშვა იმის პერსპექტივა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება პოლიტიკური ფორმულების ირგვლივ. მაგრამ ბრიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარანტიების შესახებ დამაკმაყოფილებელი ფორმულის მიღწევა მაინც ვერ დააკისრებს საფრანგეთს საზღვაო პროგრამის შემცირების ვალდებულებას.

არ არის არავითარი იმედი, რომ ხუთმა სახელმწიფომ საერთო შეთანხმებას მიაღწიოს. ერთად-ერთი დოკუმენტი, რომელსაც ხუთივე სახელმწიფო მოაწერს ხელს, იქნება დეკლარაცია „წყალქვეშა ომის ჰუმანიზაციის შესახებ". ეს დეკლარაცია შედგენილია ბუნდოვანი გამოთქმებით და ვაშინგტონის შეთანხმებასთან შედარებითაც კი უკან დახევას წარმოადგენს.

წყალქვეშა ფლოტის მოსპობის შესახებ მთელი ლაყბობის მოულოდნელ შედეგს წარმოადგენს იმის ნებართვა, რომ წყალქვეშა ნავების ტონაჟი 1.800 ტონიდან გადიდებულ იქნას 3 ათას ტონამდე. გარდა ამისა, ვინაიდან საფრანგეთმა განაცხადა, რომ მას აქვს 3.000 ტონიანი სუპერსუბმარინები და ახლაც აშენებს ასეთ წყალქვეშა ნავებს, კონფერენციის ყველა მონაწილეთ ნება მიეცათ იქონიონ ასეთი უძლიერესი წყალქვეშა ნავების განუსაზღვრელი რაოდენობა (ადს).

კლასი კლასის წინააღმდეგ

ინგლისი

1.677.000 უმუშევარი

ლონდონი, 9 აპრილი. ოფიციალური ცნობებით, 31 მარტისათვის ინგლისში იყო 1.677.5000 უმუშევარი, ე. ი. 38.701 უმუშევრით მეტი, ვიდრე წინა კვირეში (ადს).

პოლონეთი

დაპატიმრებანი 1-ლი მაისის წინ

ვარშავა, 9 აპრილი. პირველი მაისის მოახლოვებასთან დაკავშირებით ვარშავაში ხდება მასიური დაპატიმრებანი. დააპატიმრეს 64 კაცი, რომელთაც კომპარტიისა და კომკავშირის წევრობას აბრალებენ.

შეერთ. შტატები

მემაღაროეთა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ჯენკინ (კენტუკის შტატი) ხელფასის შემცირების გამო გაიფიცა 220 შეუკავშირებელი მემაღაროე (ადს).

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ვინაიდან მრეწველებმა პასუხი არ გასცეს მოთხოვნილებაზე —ეცნოთ პროფკავშირის უფლებები, გაიფიცა კენტუკის შტატის 2000 მემაღაროე (ადს).

არგენტინა

შეტაკება გაფიცულებსა და შტრეიკბრეხერებს შორის

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ბუენოს აირესში შეტაკება მოხდა გაფიცულ მტვირთავებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. შეტაკების დროს მოკლულია 1 კაცი, დაიჭრა 6 (ადს).

უმუშევართა მუქარამ გასჭრა

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ჯორდანში (არგენტინა) უმუშევრებმა მუნიციპალურ ხელისუფლებას, ქალაქის თავს და მსხვილ ფირმებს წარუდგინეს განცხადება: თუ მათ და მათი ოჯახის წევრებს დაუყოვნებლივ არ მიეცემათ სურსათ-სანოვაგე, ისინი დაიწყებენ დუქნების რბევას. ამ მუქარით შეშინებულმა ქალაქის ბურჟუაზიამ შეკრიბა უმუშევართათვის სასურსათო ფონდი და პრეზიდენტს დეპეშა გაუგზავნა—მიიღოს სასწრაფო ზომები უმუშევართა უზრუნველსაყოფად საზოგადო სამუშაოებით (ადს).

შეთანხმება თურქეთთან

მოსკოვი, 10 აპრილი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან:

3 აპრილს ანკარაში მოხდა იმ კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა, რომელიც შეეხება თურქეთის რესპუბლიკიდან საბჭოთა საქართველოს საზღვრებში საქონლის ჭირის შემოტანის თავიდან აცილებას. აღნიშნულ კონვენციას საბჭოთა კავშირის და თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 1928 წელს ანკარაში, ხოლო 1928 წლის 8 მარტს იგი დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ცაკმა.

კონვენცია ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან (ადს).

მნიშვნელოვანი გამოგონება

მოსკოვი, 10 აპრილი. გამომგონებელმა ველიჩევმა აღმოაჩინა ტბის მცენარეებიდან ქაღალდის დამზადების საშუალება. ეს ტბის მცენარეები, რომლებიც მარტო ჩანის რაიონში (ციმბირი) ასი ათას ტონას რაოდენობით შეიძლება იქნას დამზადებული წლიურად, წარმოადგენენ თითქმის წმინდა ცელულოზას. ამ ნედლეულის ღირებულება განსაკუთრებულია. ჩვეულებრივად ნედლეულის ქაღალდად გადაქცევის პროცესი 88 საათს გრძელდება, ტბის მცენარეების გადასამუშავებლად კი საჭიროა 22 წუთი. სპეციალისტების სიტყვით, ველიჩევის გამოგონება მთელს რევოლიუციას მოახდენს ქაღალდის მრეწველობაში. ველიჩევმა თავისი პროექტი ჯერ კიდევ 1924 წ. წარადგინა, მაგრამ მთელ რიგ ორგანიზაციების დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო პროექტმა მხოლოდ ეხლა მიაღწია ვაჭრობის კომისარიატამდე. ვაჭრობის კომისარიატმა დააყენა საკითხი ველიჩევის გამოგონების ფართო სამრეწველო გამოყენების შესახებ.

კოლექტივიზაციის შეცდომებისა და გაკვეთილების შესახებ ამიერ-კავკასიაში

„აქ მთავარი საქმეა გამბედაობის გამოჩენა, თავის შეცდომების აღიარება და ძალღონის პოვნა ამ შეცდომების უმოკლეს ვადაში ლიკვიდაციისათვის. თავისი შეცდომების აღიარების შიში წარმატებით გატაცების შემდეგ, თვითკრიტიკის შიში, შეცდომების სწრაფად გამოსწორების არ მოწადინება—ამაშია მთავარი სიძნელე". ამხ. სტალინის ამ სიტყვების მიხედვით უნდა შეაფასოს ახლა თავისი მუშაობა ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ.

ტყუილა კი არ ხდება, რომ ყოველი კომუნისტი უფიქრდება სოფლად მუშაობის მთელ მიმდინარეობას, კოლმეურნეობათა მშენებლობის ამ უკანასკნელი ოთხი თვის შედეგებს ამიერ-კავკასიაში. ჯერ ერთი, კოლმეურნეობებში ადგილი აქვს დიდ გაცხრილვას მარტში,—1 თვის განმავლობაში კოლექტივიზაციის პროცენტი 52-დან (დაახლოებით) 24 პროცენტამდე დაეცა. მეორე—ცალკე რაიონებში ადგილი ჰქონდა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების აშკარად მოწყვეტას (რაც ახლა საერთოდ გამოსწორებულია) ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებისაგან. მესამე—მთელ რიგ რაიონებში ძალიან გაიზარდა კულაკობის აქტივობა. მეოთხე—მთელ რგ რაიონებში შეიქმნა გაზაფხულის კამპანიის სამეურნეო გეგმების შეუსრულებლობის საფრთხე. ეს ფაქტები იპყრობენ ყურადღებას, მოითხოვენ დასკვნების გამოყვანას არა თუ მუშაობისათვის კოლექტივიზაციის საქმეში, არამედ მთელი შემდგომი მუშაობისათვისაც სოფლად.

ამ უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოააშკარავა თავისი შეცდომები და მათი თვალსაჩინო ნაწილი გამოასწორა. ამაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებას, ამხ. სტალინის პირველ და მეორე გამოსვლას.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა უნდა დაგვეხმაროს—საბოლოოდ მოვახდინოთ ყველა შეცდომების ლიკვიდაცია, უნდა დაგვეხმაროს მხედველობაში მივიღოთ უკანასკნელი თვეების გაკვეთილები, ენერგიულად გარდავქმნათ ჩვენი რიგები.

„მემარცხენე" გადახვევა კოლმეურნეობათა მშენებლობაში

დეკემბერში ამიერ-კავკასიაში იყო 3,6 პროცენტი განსაზოგადოებული ნათესი ფართობი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით დასახული იყო 1930 წლის გაზაფხულზე 17 პროცენტის მიღწევა. იანვარში რესპუბლიკანური კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებით ეს პროცენტი საშუალოდ აწეულ იქნა 30-მდე. 1 მარტისათვის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში უკვე იყო 50—52 პროცენტი კოლექტივიზაციაქმნილი ფართობი და მეურნეობები. მარტის დამლევისათვის ეს პროცენტი დაახლოებით 24-მდე შემცირდა.

ეს ციფრები გვეუბნებიან, რომ ამიერ-კავკასიის კოლექტივიზაციის პრაქტიკასა და ტემპების საერთო გეზში დაშვებულ იქნა შეცდომები და დეფექტები. ეს არის „მემარცხენე" გადახვევის შეცდომები.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დეკემბრის გადაწყვეტილება კოლექტივიზაციის 17 პროცენტის შესახებ გადაიქცა კოლექტივიზაციის ხაზით მუშაობის დასაწყისის მომენტად ამიერ-კავკასიაში.

ნიშნავდა თუ არა 17 პროცენტი სწორი გეზის აღებას? ნიშნავდა. დაიცვა თუ არა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ ზომა კოლექტივიზაციის ტემპების განსაზღვრის დროს? არ დაიცვა.

იანვრიდან საკოლმეურნეო მოძრაობა დიდ „გაქანებას" ეძლევა, იწყება „კოლექტივიზაციობის თამაში" და „ციფრებით გატაცება". ამ ნიშნის მიხედვით გამოაქვთ გადაწყვეტილებანი მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს ამიერ-კავკასიაში.

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ: ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა, აგრეთვე რესპუბლიკების ც. კ-ებმა გადამჭრელი, კონკრეტული ბრძოლა, ბრძოლა საქმით ამ შეცდომების წინააღმდეგ დაიწყეს დაგვიანებით—მხოლოდ თებერვლის დასაწყისში. და საჭირო გახდა, დაახლოვებით, ერთი თვის მუშაობა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ენერგიული დირექტივები, ამხ. სტალინის ორი წერილი, ადგილობრივ ორგანიზაციების ხაზისა და პრაქტიკის მძლავრი „შემოწმება მასების მოქმედებით" (კოლმეურნეობიდან გასვლა) და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და რესპუბლიკათა ც. კ-ების დამატებითი გადაწყვეტილებანი იმისათვის, რომ სერიოზულად დაწყებულიყო სოფლის ორგანიზაციების გარდაქმნა და შესდგომოდნენ ისინი ხეპრეობისა და პარტიული პოლიტიკის დამახინჯებათა ლიკვიდაციას.

არა სწორი გეზი კოლექტივიზაციის ტემპებში მოგვცეს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დეკემბრის მეორე გადაწყვეტილებამ მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების შესახებ 3 ოლქში და 10 რაიონში და რესპუბლიკების ც. კ-ების სათანადო გადაწყვეტილებებმა. განა ცხადი არ არის, რომ შემცდარი იყო „დეკრეტების" წესით შექმნა მთლიანი კოლექტივიზაციისა? სწორე იქნებოდა 17 პროცენტზე დაყრდნობა და წასვლა მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ ცალკე ოლქებსა და რაიონებში ნამდვილი მასიური საკოლმეურნეო მოძრაობის თანდათანი გაშლის მიხედვით.

საქართველოში კოლექტივიზაციის პროცენტად იანვარში დასახულ იქნა 30, პირველ მარტისთვის ამ პროცენტმა 60-მდე მიაღწია, პირველ აპრილისთვის დაახლოებით 33-მდე დაეცა. იანვარში მთლიანი კოლექტივიზაციისთვის დასახულ იქნა სამი ოლქი და ერთი მაზრა; თებერვალში დარჩა ორი ოლქი, მარტში—ერთი. ასევე იცვლებოდა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების რიცხვი.

აზერბეიჯანში დეკემბერში მთლიანი კოლექტივიზაციისთვის დასახულ იქნა ერთი ოთხრაიონიანი ოლქი; თებერვალში—7 რაიონი და 5 პირობითად; მარტში—3 რაიონი.

სომხეთში კოლექტივიზაციის პროცენტი 56-დან (მარტში) დაახლოებით დაეცა 25-მდე.

ეს ციფრები სავსებით სწორი არ არის. მაგრამ ისინი აშკარად ადასტურებენ ერთ რამეს: შეცდომით აღებულ იქნა კოლექტივიზაციის მაღალი ტემპი, თუმცა „ჩვენ განკარგულებაში ოთხი წელიწადი იყო" (სტალინი). ამიერ-კავკასიის პირობებში მექანიკურად გადმოტანილ იქნა კავშირის მარცვლეული რაიონების ნიმუშები და ტემპები. აქედან წარმოსდგა დიდი შეფერხება მარტში.

ტემპისა და მთლიანი კოლექტივიზაციის საკითხში დაშვებულ შეცდომებს უკავშირებენ საკოლმეურნეო მოძრაობის ჯერ კიდევ არ განვლილ ეტაპზე გადახტომის შეცდომებს, შეცდომებს კოლექტივიზაციის საარტელო ფორმის საკითხში. აქაც ადგილი ჰქონდა „წინ წახტომას".

იანვარში იწყება „მასიური მოძრაობა" „ყოველსავე და ყველაფრის" განსაზოგადოებისთვის: წვრილფეხა საქონლის და ინვენტარის, ფრინველის, კარმიდამოში შემავალი ბაღებისა და ბოსტნების და სხვათა განსაზოგადოებისათვის. ადგილობრივი ორგანიზაციები გასაოცარ სიხეპრეს იჩენენ ,აქ „მდიდარი ფანტაზია" შეეზავა პოლიტიკური ტაქტისა და სამეურნეო გონიერების უქონლობას მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს რესპუბლიკების ც. კ-ებმაც კი, რომელთა გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ „მსხვილი, სამრეწველო ტიპის მეფრინველეობის (კვერცხისა და ფრინველის ფაბრიკები) კოლმეურნეობათა ორგანიზაციის შესახებ, ფრინველის განსაზოგადოების შესახებ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში და მეფრინველეობის ყველა მეურნეობათა რაციონალიზაციის შესახებ", ვხედავთ ამ გადაწყვეტილებებში დირექტივებს „მესაქონლეობის მეურნეობათა მასიური კოლექტივიზაციის ფართოდ გაშლის შესახებ იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის სრული განსაზოგადოება როგორც არსებულ კოლმეურნეობებში, ისე იმათში, რომლებიც ახლად ეწყობა". საქმეს ურევენ და სიხეპრეს იჩენენ მიწსახკომის ორგანოები და კოოპერაცია. აზერბეიჯანის კოლმეურნეობათა ცენტრი, მაგალითად, იძლევა „მესაქონლეობის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის საკონტროლო ციფრებს, სადაც განსაზოგადოების მიზნით ოლქების მიხედვით ანაწილებს „ცხენებს და მსხვილფეხა რქოსან საქონელს", აგრეთვე „ყველა ასაკის ცხვრებს, ღორებს, ფრინველს და ვირებს".

ეს უდიდესი სიხეპრე მეტად ძვირად დაგვიჯდა—მას შედეგად მოჰყვა მრავალი კოლმეურნეობების დაშლა. გადაჭარბებამ განსაზოგადოებაში, მაღალი ფორმებით გატაცებამ კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, ყურადღების არ მიქცევამ მიწის საერთო დამუშავების ამხანაგობებისათვის,—ყველა ამან მძიმე გავლენა იქონია განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მეტად ჭრელი და რთული ეკონომიკის პირობებში.

კოლექტივიზაციის ასეთი „გაქანების" დროს ამიერ-კავკასიის პირობების მხედველობაში მიუღებლად, იანვარში პარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე არაკრიტიკულად და ხელაღებით გაატარა ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ. ამიერ-კავკასიის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებში გარკვეულობა არ იყო იმ საკითხში, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა ხორციელდება მხოლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა თავის 22 იანვრის რეზოლიუციაში აგრეთვე დაუშვა შეცდომა (რომელიც გამოსწორებულ იქნა 6 თებერვლის დადგენილებაში), როდესაც განაცხადა, რომ „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა გატარებულ უნდა იქნას პირველ რიგში მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში"-ო. ანალოგიური შეცდომები იყო რესპუბლიკანური კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებებშიაც.

მთელ რიგ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროვების პოლიტიკა არსებითად დავიწყებას მიეცა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 6 თებერვლის დირექტივამდე. მთელ რიგ ისეთ რაიონებში სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ ხორციელდებოდა, ამხანაგები შეუდგნენ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას,—ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მონაწილეობის გარეშე—აშკარად—არა კოლექტივიზაციის საფუძველზე. ცალკე რაიონებში ასეთი განკულაკება ფაქტიურად ჩაიშალა და გადაიქცა შელახული, „გაკაწრული", მაგრამ არა განადგურებული კლასობრივი მტრის—კულაკის გააფთრებისა და აქტივიზაციის გამოსავალ წერტილად. პირიქით, მთლიანი კოლექტივიზაციის მთელ რიგ რაიონებში მომზადებულმა და მწყობრად ჩატარებულმა განკულაკებამ გამოიწვია კლასობრივი მტრის პოზიციების აშკარა შესუსტება.

თებერვლის დასაწყისამდე საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, აგრეთვე რესპუბლიკანური ცენტრალურ კომიტეტებს არ გაუციათ მეტად თუ ნაკლებად კონკრეტული დირექტივები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საკითხების შესახებ.

შეიძლება დასახელებულ იქნას საოლქო და სარაიონო ორგანიზაციების მთელი რიგი დადგენილებები, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ რა „უბრალოდ და იოლად" იჭრებოდა იქ განკულაკების ყველა საკითხები. ეს მაგალითები საკმაოდ ცნობილია.

ყველა ამ შეცდომებში თავი იჩინა ერთმა რამემ—ამიერ-კავკასიის ყველა თავისებურობათა,—ეკონომიურ, პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო თავისებურობათა შეუფასებლობამ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 22 იანვრის დირექტივა „ამიერ-კავკასიის თავისებურობათა მაქსიმალურად მხედველობაში მიღების შესახებ, როგორც რესპუბლიკებში, ისე ოლქებში და რაიონებშიაც კი"—არსებითად რაიონამდე და ოლქამდე მიუყვანელი დარჩა. საბჭოთა კავშირის სამარცვლეულო რაიონების გამოცდილების ამიერ-კავკასიის ბევრ რაიონში მექანიკურად გადმოტანა მოასწავებდა „წინ წახტომას", პარტიული პოლიტიკის გამრუდებას. მესაქონლეობის, ან ბაღებისა და ვენახების, ანდა მეაბრეშუმეობის განსაზოგადოების პროცესებს ბევრად მეტი სიძნელეები ელობებოდა, ვიდრე სამარცვლეულო მეურნეობაში. ცხადი გახდა, რომ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები სხვადასხვანაირ ნიადაგს წარმოადგენენ კოლექტივიზაციისათვის. კოლექტივიზაცია გაზაფხულზე იქ, სადაც ნათესების 80 პროცენტი შემოდგომის ნათესს უჭირავს, როგორც, მაგალითად, კახეთში, წინდაწინვე განწირული იყო, კიდევაც რომ უფრო მომზადებული ყოფილიყო სხვა პირობები. ამასთანავე მთელ რიგ, განსაკუთრებით თურქულ, რაიონებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულაკის ჯერ კიდევ მთლიანად შეულახავ სამეურნეო ავტორიტეტს, გვაროვნულ ურთიერთობასა და რელიგიურ ტრადიციებს, რაც ხელს უშლიდა კულაკის იზოლიაციას.

კოლმეურნეობებისაკენ გლეხების ლტოლვის ახალი ტალღა, რომელმაც თავი იჩინა ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ისევე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის სხვა რაიონებში, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელ გლეხთა მართლაც სულ უფრო და უფრო ფართო მასები, საშუალო გლეხთა ნაწილის მერყეობის მიუხედავად, გადადიან სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების გზაზე. უკანასკნელმა თვემ ცხადჰყო, რომ ამიერ-კავკასიის საკოლმეურნეო მოძრაობაში გადამჭრელი მობრუნების გეზი სწორი იყო.

კოლექტივიზაციის ის პროცენტი, რომელიც დასახულ იქნა დეკემბერში,—17 პროცენტი, როგორც სჩანს, მიღწეული იქნება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვაქვს გარკვეული გარდატეხა და მიღწევები ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მშ[illegible]ში, კოლმეურნეობების თვალსაჩინო ზრდა გაზაფხულის კამპანიის დროს.

კოლექტივიზაციის საქმეში დაშვებული შეცდომებიდან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნები: 1) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და ამხ. სტალინის წერილების საფუძველზე დაუყოვნებლივ და ბოლომდე უნდა აღმოვფხვრათ კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებული და ჯერ კიდევ გამოუსწორებელი ხეპრული ნაბიჯები და გამრუდებანი და დაუყოვნებლივ შევცვალოთ ის მუშაკები, რომელნიც დაჟინებით იმეორებენ შეცდომებს და საქმით არ ასწორებენ მათ. 2) პარტიული ორგანიზაციის მთელი ძალები და ყურადღება უნდა მივმართოთ შექმნილ კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცებისაკენ, უნდა დავრაზმოთ ძალები და ყურადღება, რათა მოვაგვაროთ კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში, „თესვის სწორ ორგანიზაციაში", უნდა დავრაზმოთ ძალები კოლმეურნეობების დასაცავად და კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველ გლეხსა და კოლმეურნეს განვუმარტოთ ამხ. სტალინის წერილი „პასუხი კოლმეურნეებს". და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება კოლმეურნეობათა შეღავათების შესახებ. 3) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის კოლექტივიზაციის შემდგომ განვითარებაში მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურ მომზადებას და მხედველობაში მივიღოთ ყოველი რაიონის, თვით სოფლის თავისებურობანი.

კლასობრივი ბრძოლის შესახებ სოფლად

კოლექტივიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო დასკვნა არის—დაუყოვნებლივ გამოსწორდეს მთელი რიგი ორგანიზაციების შეცდომები, დაშვებული საშუალო გლეხის მიმართ, ღარიბებთან მუშაობაში, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეცდომები კოლმეურნეობათა მშენებლობაში ბევრ შემთხვევაში გამომდინარეობენ სოფლად კლასობრივ ძალთა განწყობილების სათანადოთ შეუფასებლობიდან. კოლმეურნეობათა მშენებლობა და ბრძოლა კოლმეურნეობებისთვის წარმოადგენს იმ სოციალისტური შეტევის გადამწყვეტ ფორმას, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოფლად. ღარიბ და საშუალო გლეხთა საკოლმეურნეო მოძრაობა იწვევს კლასობრივი მტრის მიერ უფრო მეტ გაბოროტებას და წინააღმდეგობას, რაც უფრო მეტად მაგრდება ეს მოძრაობა, გადადის იგი მთლიანი კოლექტივიზაციის უფრო მაღალ ეტაპზე და დღის წესრიგში სვამს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის უშუალო ამოცანას. სწორედ ამიტომ სწორი პოლიტიკა კოლმეურნეობათა მშენებლობაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორი ანგარიში გაეწევა კლასობრივ ძალებს სოფლად და ჩვენს ქვეყანაში გარკვევით იქნება გატარებული სოფლის პოლიტიკის ლენინური პრინციპები. ასეთი ანგარიში კი მრავალ შემთხვევაში არ ყოფილა გაწეული.

შეცდომები საკოლმეურნეო პოლიტიკაში მეტწილად დაკავშირებულია ლენინის იმ ლოზუნგის არა სწორად გაგებასთან, რომელიც ამბობს: „დაეყრდენი ღარიბ გლეხს, მჭიდრო კავშირი დაიჭირე საშუალო გლეხთან, ერთი წუთითაც არ შესწყვიტო ბრძოლა კულაკობასთან".

სოფლად წარმოებულ ჩვენს მუშაობაში დაშვებული შეცდომების საფუძველს უმეტესად წარმოადგენს „არა სწორი მიდგომა საშუალო გლეხისადმი". „საშუალო გლეხი არის მუშათა კლასის მოკავშირე და ჩვენი პოლიტიკა მის მიმართ მეგობრული უნდა იყოს" (სტალინი). ლენინიზმის ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპი დავიწყებული და დამახინჯებული იქნა მთელ რიგ შემთხვევებში. აქ ადგილი ჰქონდა „მემარცხენე" გადახვევას, იმ „მემარცხენე" გადახვევას, რომელიც „სოფლად ღარიბებისა და კულაკების გარდა, ვერ ხედავს სხვა სოციალურ დაჯგუფებებს და რომელიც მხედველობიდან უშვებს საშუალო გლეხს" (სტალინი). კოლექტივიზაციის პრაქტიკამ ბევრ შემთხვევაში დაარღვია ის მოთხოვნა, რომელსაც პარტია უდგენს კომუნისტს საშუალო გლეხის მიმართ. „საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. იგი მერყეობდა, მერყეობს და შემდეგშიაც არ მოიშლის მერყეობას: მერყევებზე ზეგავლენის მოხდენის ამოცანა ისეთივე არ არის, როგორც არის ექსპლოატატორთა დამხობის და აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცანა".—პარტიული პოლიტიკის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება ზოგჯერ დავიწყებას ეძლეოდა.—ამას მოჰყვა დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ზიანი. ეს არის ყველაზე უფრო მავნე შეცდომები.

საშუალო გლეხის ინტერესები შელახა კოლექტივიზაციის საქმეში დაშვებულმა ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებმა და ნებაყოფლობის დარღვევამ, ძალადობისა და უკანონობის, ცრუ დაპირებისა და აბუჩად აგდების შემთხვევებმა, ბაზრის ლიკვიდაციის ცალკე ცდებმა. ეს ფაქტები საკმაოდ ცნობილია.

ასეთი შეცდომები და პარტიული პოლიტიკის ასეთი გამრუდებანი სოფლად მთელ რიგ ადგილებში ჰქმნიდნენ „არევ-დარევას" და იწვევდნენ ზოგიერთი სასოფლო და სარაიონო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოწყვეტასა და განკერძოებას გლეხობის მშრომელი მასებისაგან. ეს საშიშროება შეიძლებოდა გაზრდილიყო და რეალურ საფრთხედ გადაქცეულიყო, რომ. არ გაგვეშალა ბრძოლა პარტიის პოლიტიკის დამახინჯებათა წინააღმდეგ სოფლად.

საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცების და კულაკობის წინააღმდეგ წარმატებითი შეტევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა საკმაოდ არ იყო უზრუნველყოფილი,—სუსტად იყვნენ დარაზმული მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები. ეს მუშაობა ამიერ-კავკასიის რაიონების უმრავლესობაში მეტის-მეტად ჩამორჩა. ჩვენ აშკარად დავაგვიანეთ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია. მაგალითად, საქართველოსა და აზერბეიჯანში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების კონფერენციების მოწვევა გამზრახული იყო მარტში. ეს მუშაობა განსაკუთრებით ჩამორჩა მთა რაიონებში და ნახევრად მომთაბარე რაიონებში, სადაც ამასთანავე ყველაზე მეტად სუსტია პარტიული უჯრედების ქსელი, სუსტია საბჭოები და კოოპერაცია, მეტად დაბალია წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი, მეტად ცუდად არის დაყენებული კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა.

ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული პირობებისათვის ანგარიშის სათანადოდ არ გაწევამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ იქ, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია გვაროვნული ცრუ შეხედულებანი და რელიგიური ფანატიზმის ელემენტები, ძალიან მცირე რამ გააკეთა იმისათვის, რათა მოეხდინათ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა აქტივიზაცია კულაკთან ბრძოლაში.

ამავე დროს, მთელ რიგ რაიონებში ამხანაგებმა სწორად ვერ შეაფასეს კულაკობის წინააღმდეგობის ძალა და მისი იზოლიაციის ხარისხი. კულაკობა მრავალ ადგილას აქტივობას იჩენდა და ყოველნაირად „ეგუებოდა ვითარებას". რაიონების უმრავლესობაში კულაკი სცდილობდა გამოეყენებია ჩვენი შეცდომები და ჩაეშალა ჩვენი პოლიტიკა სოფლად, ჰქმნიდა პანიკას და ავრცელებდა სულელურ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დაცემის, „წმინდანის გაჩენის, კოლმეურნეობებში 70 მეტრიანი საბნის და სხვ. შესახებ. კულაკმა წამოაყენა ლოზუნგი მიწის განოყიერების წინააღმდეგ, ტრაქტორის („შეითან-ურმის") წინააღმდეგ, ბამბის თესვის წინააღმდეგ („ალაჰი გვიკრძალავს") და სხვ. მთელ რიგ რაიონებში—იქ, სადაც ჩვენ ვთვლიმდით და დავაგვიანეთ შეცდომების გამოსწორება, კულაკმა სცადა თავის ხელში აეღო კოლმეურნეობათა მშენებლობის დეფექტების, დამახინჯებების და ადგილობრივ კომუნისტთა ხეპრული ნაბიჯების კრიტიკა.

ზოგიერთმა ამხანაგებმა მხედველობაში ვერ მიიღეს ის, რომ კოლმეურნეობათა განვითარება ნიშნავს აქტიურ შეტევაზე გადასვლას კულაკის წინააღმდეგ. ამისათვის საჭიროა ძალების მეტად საფუძვლიანად მომზადება. „არ შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ შეტევა კლასობრივი მტრების ლიკვიდაციისათვის, თუ არ განვამტკიცეთ დაპყრობილი პოზიციები, თუ არ გადავაჯგუფეთ ძალები, თუ არ უზრუნველვყავით ფრონტი რეზერვებით, თუ არ გავამაგრეთ ზურგი და სხვ." (სტალინი). ძალების ეს მომზადება ჩატარებულ იქნა საბჭოთა კავშირის ძირითად მარცვლეულ რაიონებში, სადაც 2—3 წლის განმავლობაში სწარმოებდა პურის დამზადება, ინდივიდუალური დაბეგვრა, თვითდაბეგვრა, დიდ ორგანიზაციულად დამრაზმავ მუშაობასა და პროპაგანდას აწარმოებდნენ საბჭოთა მეურნეობანი, სწარმოებდა კოლმეურნეობათა ფართო მშენებლობის მზადება. ამ საფუძველზე მიღწეულ იქნა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვა ჩვენი პოლიტიკის ირგვლივ და კულაკის წინააღმდეგ. ხოლო ამიერ-კავკასიის რაიონების უმრავლესობაში ეს წინასწარი სტადია თითქმის სრულებით არ იყო გავლილი. ამხანაგები სამართლიანად აღიარებენ, რომ აზერბეიჯანის მრავალ რაიონებში (აგრეთვე, მაგალითად, აფხაზეთსა და აჭარისტანში) კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკა წინა წლებში თითქმის სრულებით არ გატარებულა; კულაკს „ხელს არ ახლებდნენ".

სალიანის საოლქო კომიტეტმა მოგვცა მაგალითი კულაკობასთან ბრძოლის არასწორი ხაზისა ისეთ პირობებში, როდესაც მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები დარაზმულნი არ არიან, ღარიბი და საშუალო გლეხობა შეკავშირებული არ არის. „სადაც კულაკის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია, სადაც ღარიბი გლეხები, მოჯამაგირენი და საშუალო გლეხები, საზოგადოებრივი, საბჭოთა და პარტიული მუშაობის სისუსტის გამო, ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულნი ამ მიზნისათვის, იქ განკულაკება უნდა ჩატარდეს, უმთავრესად ადმინისტრატიულ-სასამართლო ორგანოების საშუალობით".

აქ დაშვებულია უხეში და უაღრესად მავნე შეცდომა. უნდა გვახსოვდეს, რომ მუშათა სახელმწიფოს ზომებს კულაკთან ბრძოლის საქმეში მხოლოდ მაშინ ექნება ძალა, მხოლოდ მაშინ მოსცხებენ ისინი კულაკს, როცა ეს ზომები დაემყარებიან ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების აქტივობას და სოფლის მშრომელთა ძირითადი მასების შემჭიდროვებას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა ირგვლივ.

საერთოდ, სოფლის ორგანიზაციებმა მიიღეს კულაკობასთან ბრძოლის ახალი გაკვეთილები. „კულაკობის წინააღმდეგ შეტევა ნიშნავს იმას, რომ მოემზადო საქმისთვის და დასცხო კულაკობას ისე ,რომ მან ველარ შესძლოს ფეხზე დადგომა" (სტალინი). სოფლად მომუშავე ჩვენმა ორგანიზაციებმა ახლა უკეთ ისწავლეს ის, თუ როგორ უნდა განჰმართონ შეტევა კულაკზე, უკეთ შეისწავლეს მტერი, გაზომეს თავიანთი ძალ-ღონე, უკეთ გაიგეს მნიშვნელობა იმისა, რომ ამ შეტევისათვის საჭიროა დიდი წინასწარი მომზადება და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაცია.

ცალკე უნდა შევჩერდეთ სასოფლო პოლიტიკაში სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დროს დაშვებული შეცდომების მნიშვნელობაზე. სცდებიან ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ ახლა, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად უმთავრესად აიხსნება შეცდომებით და პარტიული პოლიტიკის დამახინჯებით, სოფლად პარტიული და საბჭოთა აპარატის სისუსტით და ნაკლოვანებებით. მემარჯვენეთა ეს ოპორტუნისტული შეხედულება სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზებზე დიდი ხანია უარყოფილია. რატომაა მნიშვნელოვანი ამგვარ შეხედულებათა გამომჟღავნება ამჟამადაც? იმიტომ, რომ ისინი იწვევენ კომუნისტების რევოლიუციონური სიფხიზლის და გმირიახობის დემობილიზაციას, სოფლის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მასების კლასობრივი შეგნების მიჩლუნგებას.

ამავე დროს საჭიროა მკაცრად გამოვააშკარაოთ შეხედულება, თითქოს სოფლად ჩვენი შეცდომების გამოსწორება არ შეასუსტებს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას. რატომ განსაკუთრებით ახლა არის საჭირო ამგვარ შეხედულებათა მთლიანად უარყოფა? იმიტომ, რომ ეს შეხედულებები არსებითად მიმართულია საშუალო გლეხის წინააღმდეგ. მათ მივყევართ საკოლმეურნეო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომების მიჩქმალვისაკენ, ისინი აბრკოლებენ ამ შეცდომების საჭირო მტკიცედ გამოსწორებას, ძირს უთხრიან პარტიის პოლიტიკას სოფლად. იმის შეუგნებლობა, რომ ჩვენი შეცდომები აძლიერებენ კულაკს და აძლიერებენ მისი წინააღმდეგობის ძალას, ეს ნიშნავს ელემენტარული ჭეშმარიტების დავიწყებას საშუალო გლეხის ორჭოფული ბუნების შესახებ, მისი მერყეობის შესახებ, საშუალო გლეხისათვის ბრძოლის შესახებ, რომელსაც დაუღალავად აწარმოებს კულაკი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ჩვენი თვითეული შეცდომა.

როგორია დასკვნები? 1) საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ყველა ხეპრული ნაბიჯები და სოფლად საშუალო გლეხის მიმართ პოლიტიკის დამახინჯებანი. უმთავრესია—ახლავე, გაზაფხულის თესვის უკანასკნელ კვირეებში გამოვასწოროთ კოოპერაციაში, მიწსახკომის და მებამბეობის მთავარ კომიტეტში დაშვებული შეცდომები ინდივიდუალურ მეურნეობათა შეუფასებლობის, მომარაგების, კრედიტების მიწოდების, კონტრაქტაციის, აგრო-დახმარების და სხვ. დარგში, 2) ყველა ღონისძიებების გატარების დროს სოფლად ნამდვილად დავეყრდნოთ მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხობას, ყველა საბჭოებთან, კოოპერატივებთან და კოლმეურნეობებთან შევქმნათ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფები. 3) მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებს გარეთ გადაუხრელად გავატაროთ კულაკის შეზღუდვის პოლიტიკა, დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხები კულაკთან საბრძოლველად, გამოვააშკარაოთ მასებში მისი ყოველი ცდა —ჩაშალოს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები.

ა. კრინიცკი.

(დასასრული ხვალ)

მანქანათმშენებლობის საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 10 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა მანქანათგაერთიანების გამგეობამ მოისმინა მოხსენება მანქანათმშენებლობის 1930—31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქცია 1930—31 წელს შეადგენს 2.285 მილიონ მანეთს, ნაცვლად ხუთწლედით გათვალისწინებული 2.085 მილიონ მანეთისა. მთელი პროდუქციის ზრდა, მიმდინარე წელთან შედარებით, შეადგენს 87 პროცენტს. 1930—31 წელს მოეწყობა მთელი რიგი ახალი საწარმოები, რომელთა გაშლისათვისაც გამოყენებული იქნება უცხოეთის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები. მოწვეული იქნება სამუშაოდ 500 უცხოელი ინჟინერი, ტეხნიკოსი და ოსტატი საჭიროა 50.000 ახალი მუშა. შრომის ნაყოფიერება 1930—31 წელს უნდა გაიზარდოს 40 პროცენტით, შრომის ხელფასი (გამოტოვებულია). თვითღირებულება უნდა შემცირდეს 15 პროცენტით. კაპიტალურ სამუშაოებზე საჭირო იქნება 950 მილიონი მანეთი. სახალხო მეურნეობის უდიდესი მოთხოვნილებანი საჭიროდ ხდიან მანქანათმშენებლობის უფრო მეტად გაფართოებას და მისი პროდუქციის გადიდებას 1930—31 წელს 2.500 მილიონ მანეთამდე. მანქანათმშენებელი ქარხნები 1930—31 წელს გადაყვანილ უნდა იქნან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, სამ წყებად მუშაობაზე დამამზადებელ საამქროებში და 2—3 წყებად —მექანიკურ და შემკრებ საამქროებში (ადს).

ხორცის ნორმა მუშა-მოსამსახურეებისათვის

მოსკოვი, 10 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ურალის ოლქში, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ციმბირში, ამიერ-კავკასიის და შუააზიის რესპუბლიკებში და სხვა ოლქებსა და მხარეებში წლის მეორე ნახევარში მუშებს და მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს ხორცი მიეცემათ დღეში 100 გრამი სულზე. ხორცი გაიცემა თვეში 21 დღეს (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუნელებლად განვაგრძოთ ბრძოლა დამახინჯებებთან და ყოველმხრივ განვამტკიცოთ საორგანიზაციო-სამეურნეო მშენებლობა კოლმეურნეობებში.—ის, ვინც ჯიუტობს და არ ასწორებს თავის შეცდომებს, ეხმარება კლასობრივ მტერს

დამახინჯებანი საკოლმეურნეო მოძრაობაში

(აბაშის რაიონი)

როგორც ვიცით, კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრის მიერ დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც სავალდებულოა საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებისათვის. ადგილებს ნება ეძლევათ შეიტანონ წესდებაში ესა თუ ის ცვლილება, მხოლოდ ისე, რომ ძირითადი პრინციპები არ შეილახოს. აბაშის მუშაკებმა ბოროტად გამოიყენეს ეს უფლება, გადაასხეს ყოველგვარი საზღვარი და შეიმუშავეს ახალი „პრინციპები", რომლებითაც ყველაფერი ყირამალა დააყენეს.

სანიმუშო წესდების მიხედვით, კოლექტივში მუშა ხელად ითვლება მასში შემავალი ყველა მოქალაქე 16 წლიდან. აბაშელმა ამხანაგებმა კი კოლექტივის მუშა-ხელად ჩასთვალეს მხოლოდ 18 წლის მოქალაქენი და ამასთან ერთად დასძინეს, რომ „მიუხედავად ამისა, კოლექტივში გამოყენებული უნდა იქნეს ყველა 12 წლის ზევით". (რატომ? როგორ? როგორ უნდა განისაზღვროს მათი სამუშაო დღე, ამის შესახებ აბაშის „წესდებაში" კრინტიც არ არის დაძრული).

აბაშელმა ამხანაგებმა თავისი ახალი „წესებით" აშკარად გადაუხვიეს კლასობრივ ხაზს. ისინი წინააღმდეგი არიან, რომ კოლექტივში სამუშაო პირველ რიგში ღარიბ გლეხებს მიეცეს; არ უნდათ კოლექტივში დაარსონ ღარიბთა ჯგუფები (ალბად ფიქრობენ, რომ კოლექტივის დაარსებასთან ერთად ისპობა კლასობრივი ბრძოლა); წინააღმდეგი არიან კოლექტივებში შრომის ბიუროების მოწყობისა; საწარმოო თათბირები გადააქციეს აპარატად—დააკისრეს მას ტაბელების შედგენა, მუშაობისათვის თვალყურის დევნება და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო არტელში შრომის ანაზღაურება სწარმოებს გაწეულ შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არტელებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამიტომ საჭიროა თვითეულ წევრის შრომის რაოდენობისა და ხარისხის ზედმიწევნით აღრიცხვა და სამუშაოთა განაწილება თანრიგებით.

აბაშელი ამხანაგები საჭიროდ არ სთვლიან სამუშაოთა დანაწილებას თანრიგებით, ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ შრომის ხარისხს. მათ სამუშაო წელიწადი დაყოფილი აქვთ სამ პერიოდად: პირველი პერიოდში შეტანილია მიწის ხვნა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები. მეორე პერიოდში ნათესების გამარგვლა, გამორიდება და სხვ., ხოლო მესამე პერიოდში მოსავლის აღება. პირველ პერიოდში თვითეული დღე (შესრულებული სამუშაოს ხარისხის და რაოდენობის მიუხედავად), წევრებს ენიშნებათ ერთ დღეთ. მეორე პერიოდში 1,25 დღეთ, ხოლო მესამე პერიოდში—ერთ დღეთ. ამრიგათ მათ გათანასწორებული აქვთ მიწის მოხვნა (პირველი პერიოდი), ჩალის მოჭრა, აკრება და სხვა ისეთი სამუშაოები, რომლებიც თავისი სიძნელის მიხედვით დიდათ განირჩევიან ერთიმეორისაგან. აქ თვითეული დღე შეფასებულია ერთ დღეთ.

მეორე პერიოდში, როდესაც სწარმოებს შედარებით ზედმეტად უფრო მსუბუქი მუშაობა—ნათესების გამარგვლა, გამორიდება და სხვ., (ისიც მანქანებით) მათ ერთი დღე შეფასებული აქვთ 1,25 დღეთ.

სანიმუშო წესდების მიხედვით, პირადი ანგარიში უნდა გაიხსნას თვითეულ წევრს და ამ ანგარიშში უნდა აღინიშნოს როგორც მისი ნამუშევარი, ისე შრომის ანაზღაურება.

აბაშელმა ამხანაგებმა კი დააწესეს, რომ კოლექტივში ანგარიში ეხსნება ოჯახის მეთაურს და მას ენიშნება მისი ოჯახის ყველა წევრთა ნამუშევარი. ამრიგათ, აბაშელ ამხანაგებს არტელის წევრად მიაჩნიათ მხოლოდ მთლიანი ოჯახი, და არა ოჯახის თვითეული წევრი.

წესდების თანახმად საერთო შემოსავლიდან პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს სამეურნეო ხარჯები, განუყოფელ ფონდში უნდა გადაირიცხოს 15-დან 30 პროც.-დე, საზოგადოებრივ ფონდში 5-დან 15 პროც.-მდე. შემდეგ გადარიცხულ უნდა იქნეს შრომის უნარმოკლებულთა და მცირე-წლოვანთა სარჩენი ფონდი, ხოლო მოსავლის დანარჩენი ნაწილი უნდა განაწილდეს წევრთა შორის გაწეული შრომის მიხედვით.

აბაშელი „კოლექტივისტების" დადგენილებით კი პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს სამეურნეო და მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის შემდეგ დარჩენილი მოსავლიდან გადაირიცხება 10—30 პროცენტამდე განუყოფელ და სათადარიგო ფონდებში, ხოლო 15 პროც.-მდე შრომის უნარმოკლებულთა, ქვრივ-ობლების, მრავალშვილიან და ერთ მუშახელიან ოჯახის დასაკმაყოფილებლად და სხვა ფონდებში, რომლებსაც საჭიროდ სცნობს არტელის წევრთა საერთო კრება. მოსავლის დანარჩენ ნაწილს კი არტელის გამგეობა იყენებს „ხელფასის" გასაცემათ.

ამრიგათ აბაშელი ამხანაგები ძალაში სტოვებენ „ხელფასის" სისტემას.

აბაშაში პირდაპირ კურიოზამდე მივიდნენ შრომის დისციპლინის საკითხში. სამუშაოზე არ გამოსვლის საპატიო მიზეზებათ მათ ჩათვლილი აქვთ ახლობლის სიკვდილი (როგორც ვიცით, საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში „ტირილი" რამოდენიმე დღე გრძელდება), ოჯახის წევრთა ავადმყოფობა და სხვ.

გასაოცარი ის არის, რომ ამ მიზეზებით სამუშაოზე არგამოსულ წევრს აბაშელი ამხანაგები გაცდენილ დღეებს მუშაობით უთვლიან და უნდა აუნაზღაურონ ისინი.

უნდა აღინიშნოს, რომ აბაშის რაიონი გამოცხადებულია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად და ამ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ამ „წესებით" ფიქრობენ შექმნან რაიონში მტკიცე კოლექტიური მეურნეობები.

აბაშელ ამხანაგებს უნდა ჩავაგონოთ, რომ ჩვენ გვინდა არა მახინჯი კოლექტივები, არამედ მხოლოდ ჯანსაღი და სწორ პრინციპებზე აგებული კოლექტიური მეურნეობანი.

ლ.

კოლმეურნეობათა და რაიკოლკავშირების თავმჯდომარეთა თათბირი

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 10 აპრილი. კოლმეურნეობათა და რაიკოლკავშირების თავმჯდომარეთა თათბირზე მონაწილეთა მიერ გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ადგილებზე ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგან ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების არა სწორად განაწილებას.

ონის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გვაქვს 910 გუთანი, რომლებიც არ გვეყოფის, მაგრამ დამატებით არ გვიგზავნიან. სამაგიეროთ დიდძალი მოგვდის სანიავებელი მანქანები. უკვე მივიღეთ ასეთი 280 ცალი. ვაცნობეთ სადაც საჭირო იყო, რომ ამდენი არ გვესაჭიროება, მაგრამ მაინც გვიგზავნიან, ხოლო არის ისეთი რაიონები, რომლებსაც სანიავებელი მანქანები სჭირდებათ, მაგრამ არა აქვთ.

ქუთაისის კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: მივიღეთ 250 ცალი გუთანი, ჩვენთვის კი საჭირო იყო 200 ცალი, ხოლო სხვა რაიონებს ასეთი გუთნები საკმაო რაოდენობით არ მოეპოებათ. სამაგიეროთ 70 ფარცხის ნაცვლად, რომელიც გვესაჭიროებოდა, გამოგვიგზავნეს მხოლოდ 50 ცალი. 95 სალეწი მანქანის ნაცვლად მივიღეთ 121 სალეწი მანქანა.

ასეთ გაუგებრობებს ადგილი აქვს სათესლე მასალის განაწილების საქმეშიც. არის ისეთი რაიონები, რომელთაც სათესლე სიმინდი სჭირდებათ, ხოლო ვანის რაიონში, სადაც საჭირო იყო 15 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი, შეაგროვეს 27 ათასი, მაგრამ მოულოდნელად კიდევ მიიღეს 4 ვაგონი სიმინდი. რაიონებში საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა, ზოგიერთ კოოპერატივებს საკვები მოეპოებათ, მაგრამ კოლმეურნეობებს არ აძლევენ ნისიად. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობები წესიერად არ იყენებენ საქონლის საკვებს. მაგალითად, ვანის რაიონმა მოიყიდა 90.215 კილო თივა, აქედან ამ თივის ნაწილი ვანის კოლმეურნეობათა კავშირმა სესხად გადასცა მილიციას, ხოლო ამის გამო, დღეს ხარების ორი კოლონა შიმშილობას განიცდის და სამუშაოდ ვერ გამოჰყავთ.

ქუთაისის რაიონის წარმომადგენელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ პირველ ხანებში რაიონის მოსახლეობის მთელი 100 პროცენტი იყო გაერთიანებული კოლმეურნეობებში. 33 კოლმეურნეობა აერთიანებდა 11.055 კომლს. მაგრამ შემდეგში მერყევმა გლეხობამ იწყო კოლექტივიდან გამოსვლა და ზოგან კოლექტივები მთლიანად დაიშალა. ბევრგან მსხვილი კოლმეურნეობების ნაცვლად ჩამოყალიბდა წვრილი კოლექტივები. ამრიგად კოლექტივები რიცხობრივად გაიზარდა და ამჟამად რაიონში ითვლება 35 კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 4.079 მეურნე, ანუ მოსახლეობის 35 პროცენტი. კოლექტივებში გაერთიანებულია 10.737 ჰექტარი მიწა, აქედან მოხნულია—6.270 ჰექტარი, ხოლო ჯერჯერობით დათესილია 605 ჰექტარი. კონტრაქტაცია ჩატარებულია 13.800 ჰექტარ სიმინდზე, 800 ჰექტარ სოიაზე, 80 ჰექტარ ბოსტნეულზე, 23 ჰექტარ ხახვზე და 96 ჰექტარ კართოფილზე. კართოფილის კონტრაქტაციას აფერხებს თესლის მიუღებლობა.

გ. რიონიძე.

საზოგადოებრივი კვება კოლმეურნეობებში

საცავშირმა უნდა გააძლიეროს მუშაობა

ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა ცეკავშირის პასუხისმგებელ მუშაკებს—თუ რა გაკეთდა ან რა კეთდება კოლმეურნეობებში კულტურულ ყოფა-ცხოვრებით დაწესებულებათა მოსაწყობად.

გამოირკვა, რომ აქამდე ცეკავშირს საბავშო ბაგები მოუწყვია ფახულანის კოლექტივში, სამთავისის კომუნაში და კარდანახის კოლექტივში. 3 მარტიდან 7 აპრილამდე სიღნაღში ჩაუტარებია კოლმეურნეობათა მოანგარიშეების მოსამზადებელი კურსები, რომელიც დაამთავრა 150 კაცმა. 15 აპრილს იხსნება კინო-მექანიკოსების მოსამზადებელი სამთვიანი კურსები 80 კაცისათვის. მასში მოეწყობა საზოგადოებრივი კვების მუშაკების მოსამზადებელ ერთთვიანი კურსები კოლმეურნეობათათვის, რომელზედაც მომზადებული იქნება 50 კაცი.

ცეკავშირს ყოველ შემთხვევისათვის შეკვეთია „ცენტროსოიუზისათვის" 40 ცალი დიდი წყლის სადუღებელი ქვაბი, 1000 კომპლექტი ემალის ჭურჭელი, 50 დიდი ქვაბი (თითო 10—20 ვედროს ტევადობით) და 40—50 მოძრავი სამზარეულო.

რაც შეეხება სამზარეულოების, სასადილოების და სხ. მოწყობას, ამ მხრივ ჯერ-ჯერობით*არაფერი არ არის გაკეთებული.

მინდვრად მუშაობა უკვე დაიწყო. მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობების და სხვა გაერთიანებათა წევრების დიდი ჯგუფები არიან გასული საცხოვრებელ ადგილებიდან დაშორებულ სამუშაოებზე, სადაც მათთვის საჭმელის მიწოდება დიდ სიძნელეს წარმოადგენს ოჯახებისათვის და აუცილებელია ამ რაიონებისათვის მოძრავი სამზარეულოების მოწყობა. ცეკავშირი ამ უმოქმედობას იმით ხსნის, რომ ვერც კოლმეურნეობათა ცენტრმა და ვერც ადგილებმა აქამდე ვერ მიაწოდეს მას გარკვეული მოთხოვნა.

ბორჩალოს რაიონში მომუშავე სამანქანო-სატრაქტორო სადგურის კოლონებს მუშაობა უხდებათ თავისი ბაზისიდან 20—30 კილომეტრის დაშორებით. ამ ადგილებში ტრაქტორისტები საჭმელს ვერ შოულობენ. სამანქანო სადგური იძულებულია ყოველდღე რამოდენიმე რეისი გააკეთოს თავისი ავტომობილით, რომ კოლონებს პური მაინც მიაწოდოს. ამ კოლონების ტრაქტორისტებს უხდებათ ნახევრად მშიერი მუშაობა, რაც საგრძნობლად ამცირებს მათი შრომის ნაყოფიერებას.

შეიძლება კოლმეურნეობათა ცენტრმა ცეკავშირს მართლაც ვერ მიაწოდა საჭირო ცნობები, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ათავისუფლებს ცეკავშირს პასუხისმგებლობისაგან.

ნ—ძე.

თესვის კამპანიის დეფექტები აჭარისტანში

სათესლე ფონდი. მარტის ბოლო რიცხვებისათვის ძირითადი კულტურების სათესლე ფონდები შემდეგ მდგომარეობაში იმყოფებოდა: სათესლე სიმინდი საჭირო 35.000 ფუთი, შეგროვილი კი იყო 12.000 ფუთი, ქერი საჭირო 18.000 ფუთი, შეგროვილი იყო—4000 ფუთი; ბალახების თესლი საჭირო 897 ფუთი, შეგროვილი იყო—45 ფუთი. სათესლე ფონდების შეგროვება გრძელდება. გერანი, თამბაქო და ჩაი სათესლე მასალით უზრუნველყოფილია მთლიანად.

სათესლე მასალის ნაკლებობა ნაწილობრივ აიხსნება ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობით. საზიდი საშუალებების უქონლობა ზოგ რაიონში არ იძლევა სათესლე მასალის თავის დროზე მიწოდების შესაძლებლობას. მაგალითად, „სოიუზხლებ"-ის საწყობში ბათომში იწყო 4.000 ფუთი ქერი. მხოლოდ 18 მარტს გახდა შესაძლებელი სამი საბარგო ავტომობილის მიღება და მათი საშუალებით სოფლებში გაიგზავნა 900 ფუთი ქერი.

ამ დღეებში ბათომში მოვიდა 3.000 ფუთი ფქვილი ხულოს მაზრის მეთამბაქოეთათვის. ტრანსპორტის ჩამორჩენილობის გამო ამ ფქვილის დარიგებას დასჭირდება არა ნაკლებ 10 დღისა. „ზაკავტოპრომტორგ"-ის განყოფილებამ უარი განაცხადა ამ ოპერაციების შესრულებაზე.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი აჭარისტანისათვის საჭიროა 600 გუთანი, 10 ტრიერი, 70 ფარცხი. ამ იარაღების ნაწილი ჯერ-კიდევ არ არის მიღებული. სათესი მანქანები კი საკმაოდ მოიპოება.

მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო სადეზინფექციო მასალა არ არის საკმაოდ მიღებული: თაგვის შაქარი გათვალისწინებული 1.200 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 366 კილოგრამი; მწერების საწამლავები 1.200 კილოგრამის მაგიერ მიღებულია—240 კილო. ლიზოლი და პარიზის მწვანე სრულებით არ არის.

ხულოში მხოლოდ ამას წინად დაიწყო სარემონტო სახელოსნოს აგება. მისი მშენებლობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. 10 დღის განმავლობაში მხოლოდ საძირკვლის ამოთხრა მოესწრო. არსებობს დროებითი შემკეთებელი სახელოსნო, მაგრამ ის ვერ ასდის მუშაობას და ტექნიკურად ვერ არის სათანადოთ მოწყობილი. 9-დან 18 მარტამდე ამ სახელოსნომ შეაკეთა ხულოს აგროპუნქტის ერთად-ერთი გუთანი. აქ უმთავრესად სწარმოებს წვრილ იარაღების შეკეთება.

მერიის რაიონში მუშათა ბრიგადა არ იღებს შესაკეთებლად ინვენტარს. მას არ გააჩნია არც ლურსმანი, არც წებო და არც სხვა მასალა.

კულაკებმა ხმა გაავრცელეს, რომ ბრიგადები ჩამოვიდნენ კოლექტივიზაციის იძულებით ჩასატარებლადო (სოფ. აჭარის-წყალი), რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ ბრიგადები გლეხებს გადაახდევინებენ გაწეული სამუშაოს ღირებულებასო (სოფ. ბიბუკ-ოღლი) და სხვა. ზოგიერთი გლეხები წამოეგენ პროვოკაციის ანკესზე და არ აძლევენ თავიანთ ინვენტარს შესაკეთებლად. ახსნა-განმარტებითი მუშაობა არ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

კრედიტები, დავალიანების დაფარვა. სოფლის მეურნეობის ბევრ დარგს კრედიტები მცირე რაოდენობით მიეცა. მაგალითად, სუბტროპიკული კულტურებისათვის 70.000 მანეთის ნაცვლად მიღებულ იქნა 40.000 მანეთი; სასოფლო-სამეურნეო შენობებისათვის—11,000 მანეთის ნაცვლად მიღებულია 8.000 მანეთი.

სუსტად მიმდინარეობს ვადაგადაცილებულ სესხთა დაბრუნება. ვადაგადაცილებული სესხის საერთო ჯამი 1-ლი მარტისათვის უდრიდა 70.655 მანეთს. ეს თანხა უკანასკნელ ხანებამდე არ კლებულობს. ვადაგადაცილებულ სესხთა დაბრუნების კამპანიამ, რომელიც წარსული წლის დეკემბერში დაიწყო, საგრძნობი შედეგი გამოიღო, მაგრამ ვალის დაბრუნება არ აღემატება ახლად გაცემული სესხების რაოდენობას, და საერთო ჯამი მაინც თითქმის უცვლელად რჩება.

მუშა-საქონელი. 20 მარტამდე მესაქონლეობის კავშირისაგან მიღებულია 80 სული ხარი, ნაცვლად ნავარაუდევ 500 სულისა. მიღებული ხარებიც არ აღმოჩნდნენ სავსებით გამოსადეგი.

ქობულეთის მაზრაში ხარების კოლონაში (40 ხარი) 8 ხარი სამუშაოდ უვარგისი აღმოჩნდა სისუსტის გამო.

ქედის და ხულოს რაიონებში გაიგზავნა — 10.000 მანეთი მუშა-საქონლის შესაძენად, მაგრამ ეს ფული არ იქნა გამოყენებული იმ მიზეზით, რომ ამ რაიონებში საქონელი არ იშოვება და შეუძლებელია მისი შეძენა.

ვ. ც—ლი.

საკოლმეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებანი ყოფ. რაჭის მაზრაში

გაზაფხულის სასოფლო-სამ. კამპანიის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რაჭაში მივლინებული იყო პასუხისმგებელ მუშაკთა ბრიგადა ამხ. შ. ლეჟავას, დ. ნასყიძის და ქ. ენუქიძის შემადგენლობით. ბრიგადის წევრებმა შემოიარეს ყოფ. რაჭის მაზრის ყველა რაიონები და სოფლები, სადაც ისინი ატარებდნენ ახსნა-განმარტებით მუშაობას გლეხობაში და ეხმარებოდნენ ადგილობრივ ორგანოებს დაშვებულ შეცდომების გამოსწორებაში.

როგორც ბრიგადის ანგარიშიდან სჩანს, ყოფ. რაჭის მაზრაშიაც კოლმეურნეობათა მშენებლობაში, მთელ რიგ დადებით მხარეებთან ერთად ადგილი ჰქონდა დამახინჯებებსა და შეცდომებს. კოლმეურნეობათა მშენებლობას განსაკუთრებით ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ბევრ ადგილას კოლექტივებს სათავეში მოექცენ არაკომუნისტური და ზოგან კი ანტისაბჭოთა ელემენტებიც. ეს ხალხი თავის უმსგავსო მოქმედებით სცემდა კოლექტივიზაციის იდეას გლეხობის თვალში და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

მოვიყვანთ რამოდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

სოფ. ველევში არაკომუნისტური საქციელისათვის პარტიიდან გარიცხული მასწავლებელი ვინმე კაპიტონ მაცაბერიძე გაბატონდა ახლად დაარსებულ კოლექტივის გამგეობაში. მაცაბერიძემ იფიქრა: ძალა ჩემს ხელშიაო და მაშინვე შეუდგა კერძო ანგარიშების გასწორებას მეზობელ გლეხებთან. მან პირველ ყოვლისა მიზანში ამოიღო საშუალო გლეხები—ძმები კვიტაშვილები და სავსებით სერიოზულად ფიქრობდა მათ გადასახლებას არა მარტო სოფლიდან, არამედ რაჭის ფარგლებიდანაც. კვიტაშვილები არიან პროფკავშირის წევრები, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი ანტისაბჭოთა ელემენტებათ მონათვლა, მაგრამ მაცაბერიძეს აქ თურმე სხვა მოტივი ამოქმედებდა: მას ვერ მოუნელებია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა ძმამ, კვიტაშვილმა, პარტიის წმენდის დროს მზის შუქზე გამოიტანა მაცაბერიძის ბოროტმოქმედებები და ამხილა მაცაბერიძის მამაც, რომელმაც 100 ფუთი საზოგადოებრივი სიმინდი მიითვისა. ამის შედეგი ის იყო, რომ გამწმენდმა კომისიამ პანტელა მაცაბერიძე პარტიიდან მიაბრძანა.

მაცაბერიძეს გარდა სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებიც სასტიკ პროვოკაციულ კამპანიას აწარმოებდნენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ამას ისინი ახერხებდნენ იმიტომ, რომ ადგილობრივი პარტიული უჯრედი და საბჭო არ იდგნენ თავის სიმაღლეზე. პარტუჯრედი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, საბჭო კი კუდში მისჩანჩალებდა მასების მოძრაობას. ცენტრიდან მივლინებულ ამხანაგებს ეს ამბავი არ გამოეპარათ. მათ აცნობეს პარტკომს, რომ აუცილებელია საბჭოს გადარჩევა და კომუჯრედის მუშაობის გაძლიერება.

ველევის მსგავსი მდგომარეობა იყო სოფ. ნაკიეთში. აქ ერთ მასწავლებელს [illegible] თავის გავლენაში დაეყენებინა მთელი საბჭო და საკითხებს ისე აწყვეტინებდა, როგორც თვით მოესურვებოდა. ჩიხლაძე არ იყო გარკვეული კოლმეურნეობათა მოძრაობის საკითხებში. მან არ იცოდა კოლექტივში გაერთიანების პირობები და ამიტომ საბჭოს ატარებინებდა ისეთ „ღონისძიებებს", როგორიცაა ძროხების განსაზოგადოება და სხ. ამ სოფელში არ არსებობს პარტიული უჯრედიც, რის გამოც ჩიხლაძის „მოღვაწეობას" არავინ კონტროლის გამწევი არ ჰყავდა.

განსაკუთრებით უხეშად მახინჯდებოდა პარტიის ხაზი სოფ. ხოტევში. პარტიული უჯრედი რაიკომის ინსტრუქტორ ლუდუშიძის მეთაურობით სდგამდა პროვოკაციულ ნაბიჯებს და ხელოვნურად იწვევდა გლეხობის უკმაყოფილებას. ლუდუშიძის და ზოგიერთ სხვა „კომუნისტების"-ს გავლენით საბჭომ შავ სიაში არ შეიტანა მღვდლები და ანტისაბჭოთა ელემენტები (მაგ., გიორგი ყრუაშვილი). ამავე დროს ხმის უფლება ჩამოართვეს ნახევრად ინვალიდს, მშრომელ ხელოსანს ონიფანტე გოცირიძეს. მათ მოუწყვეს აღმაშფოთებელი პროვოკაცია საშუალო გლეხ ბუდაღა ქიქინაძეს, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: სხვის ოჯახში აღმოაჩინეს თარილი, ხოლო ოქმი კი ქიქინაძის სახელზე შეადგინეს. ამის გარდა, გაავრცელეს სოფელში ჭორი: თითქოს ქიქინაძემ სათესლე ლობიოს აკრეფის შემდეგ ურემზე ჩამოჰკიდა ქოთანი და კოვზი, გაატარა სოფელზე და გლეხებს ეუბნებოდა: „მთავრობამ ლობიო სულ წამართვა, ეხლა ქოთანი და კოვზი ჩემთვის რაღა საჭიროა"-ო.

უჯრედის და მის ხელმძღვანელთა ასეთი მოქმედება აღელვებდა გლეხობას და უკარგავდა მას კოლმეურნეობებისადმი ნდობას.

ცენტრიდან მივლინებულ პასუხისმგებელ მუშაკების მითითების შემდეგ ამბროლაურის რაიკომმა მიიღო ზომები ხოტევის კომუჯრედის გასაჯანსაღებლად. რაიკომის დადგენილებით განახლდა უჯრედის ბიურო და არჩეულ იქნა ახალი მდივანი.

ჭრებალოს რაიონში, თვით ჭრებალოს კოლექტივის გამგეობაში აღმოჩნდა ყოფილი სტრაჟნიკი, ჯაშუში და ხულიგანი გივო ლუხუცაშვილი. ასეთი პირის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოში გაძრომა, რასაკვირველია, ადგილობრივი პარტორგანიზაციისა და საბჭოს სისუსტეს მიეწერება. ბრიგადის მითითებით ლუხუტაშვილი დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნა კოლექტივის გამგეობიდან.

ბევრ ადგილას გამოირკვა, რომ მსხვილი კოლექტივების შექმნის მიზნით ადგილობრივ ორგანოებს ორ-სამი სოფელი გაუერთიანებიათ ერთ კოლექტივში, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა ამის წინააღმდეგი იყო. მაგალითად, ჭრებალოს რაიონში ერთ კოლექტივში გაუერთიანებიათ სამი სოფელი—ლადიში, ბაჯი და ქვედა-შაკარა. გლეხები დაჟინებით მოითხოვდნენ თვითეულ სოფელში ცალკე კოლექტივის მოწყობას. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე ძველი გამგეობის თავმჯდომარის ლუკა ქარაზანაშვილის საქმიანობით, რომელიც ვერ ატარებდა სწორ კლასობრივ ხაზს. ქარაზანაშვილს კოლექტივში მიუღია ყოფ. ბოქაული, ყოფ. გვარდიელი ამავე დროს კი პირადი ინტერესით უარი უთქვამს ისეთი საშუალო გლეხებისათვის, რომელთა მიღებას მთელი სოფელი მოითხოვდა.

ბრიგადამ მიუთითა ადგილობრივ ორგანოებს, რომ აუცილებელია გლეხობის მოთხოვნილებისათვის ანგარიშის გაწევა და თვითეულ სოფელში ცალკე კოლმეურნეობის დაარსება. ეს ახლადაც მოხდა: ლადიშის კოლექტივი და დაიშალა და მის ნაცვლად დაარსდა 3 კოლმეურნეობა—ლადიშში, ბაჯში და ქვემო-შაკარაში.

სოფ. ნამანევში ბრიგადას ეწვია ქალების დელეგაცია, რომელმაც უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ რაიონულმა შტაბმა ნამანევის მცხოვრებთ არ მისცა დამოუკიდებელ სასოფლო-სამ. არტელის ჩამოყალიბების ნება.

გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევდა კიდევ ერთი გარემოება: რაჭის მაზრაში და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში ხევებზე და მდინარეებზე მოწყობილია პატარა წისქვილები. თვითეულ წისქვილი ხშირად 10-15 კომლის საკუთრებას შეადგენს და მხოლოდ მათ პირად საჭიროებას ემსახურება. უკანასკნელ ხანებში (სწორედ სასოფლო-სამ. კამპანიის დასაწყისში) ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ასეთ წისქვილებზედაც გაავრცელეს სამინდე გადასახადი. თავისთავად ცხადია, ეს ნაბიჯი არ არის სწორი და წარმოადგენს ხელისუფლების მიერ საერთოდ, მთელი საბჭოთა კავშირისათვის გამოცემული კანონის ადგილობრივ პირობებთან შეუფარდებლად გატარებას. გლეხობა არ არის შეჩვეული ასეთ გადასახადს და უკმაყოფილებას გამოსთქვამს მისი დაწესების გამო. საჭიროა უმაღლესმა ორგანოებმა დროზე მიიღონ ზომები ამ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად.

კოლმეურნეობათა მშენებლობის ერთ-ერთ დეფექტად ჩაითვლებოდა ის, რომ ადგილობრივი მუშაკები გაიტაცა კომუნების მოწყობის იდეამ. ყოფ. რაჭის მაზრაში დაარსდა 4 კომუნა: ტოლა-ხვანჭკარის, მოედნის, სორის და ხიდიშლების (სოფ. ხაკაში). ამ კომუნების მეტ ნაწილს არა აქვს სათანადო მატერიალური ბაზა. ბრიგადამ მაშინვე განაცხადა, რომ უმჯობესია მათი გადაყვანა სასოფლო-სამ. არტელის წესდებაზე. კომუნა შეიძლება დარჩეს მხოლოდ სოფ. ხვანჭკარაში. ეს კომუნა არსებობს გასული წლის შემოდგომიდან, აერთიანებს 700 კომლს. მას აქვს მევენახეობის ინტენსიური მეურნეობა, რომელიც იძლევა დიდძალ საუკეთესო ხარისხის სასაქონლო ღვინოს („ხვანჭკარა").

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ რაჭის მაზრაში კოლმეურნეობათა მშენებლობა შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა. მცირე გამონაკლისის გარდა, ძალდატანების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. გლეხობაში კოლმეურნეობებისადმი ლტოლვა საგრძნობია, რაც აიხსნება იმით, რომ რაჭის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ღარიბი გლეხობა შეადგენს.

რა პირობებში უხდებათ მუშაობა

„ოცდახუთ ათასეულებს"

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ საკავშირო პროფსაბჭოსაგან მიიღო წინადადება დაუყოვნებლივ ჩაატაროს პროფორგანიზაციების მასიური შემოწმება იმ მხრივ, თუ რამდენად შეასრულეს მათ საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილება კოლმეურნეობათათვის 25 ათასი მუშის გამოყოფის შესახებ. შემოწმებაში ჩაბმულ უნდა იქნენ მსუბუქი კავალერია, მუშკორები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფორგანიზაციების კავშირს იმ მუშებთან, რომლებიც კოლმეურნეობებში არიან წასული, ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა მიერ ჯამაგირის განსხვავების თავის დროზე მიცემას, აგრეთვე იმას, რომ სარაიონო პროფორგანიზაციებმა მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში მუშებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად და აღმოუჩინონ მათ ყოველდღიური დახმარება.

პროფორგანიზაციებმაც უნდა მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში წასული მუშების იმ ოჯახის წევრთა ნივთიერი უზრუნველყოფისათვის, რომლებიც ქალაქში დარჩნენ.

საკავშირო პროფსაბჭოს ამ წინადადების მიღებასთან დაკავშირებით ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოში შემდეგი განუცხადეს:

ის შემოწმება, რომლის შესახებაც საკავშირო პროფსაბჭო იძლევა წინადადებას, ფრიად აუცილებელია. ამჟამად ჩვენ ხელთ არის ისეთი ფაქტები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გაგზავნილი მუშები არ არიან გამოყენებულნი პირდაპირი დანიშნულებისამებრ. ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობის მუშაობაზე. მაგალითად, კახეთის კოლმეურნეობებში გაგზავნილი ბაქოელი მუშები გამოყენებული არიან სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებათ. არც კოლმეურნეობათა ცენტრმა და არც პროფორგანიზაციებმა არ იციან, რომელ რაიონებში და მაზრებში და რა პირობებში მუშაობენ კოლმეურნეობებში ის მუშები, რომლებიც იქ მუდმივ სამუშაოზე არიან გაგზავნილნი. არ არსებობს აღრიცხვა, არ არსებობს მუდმივი კავშირი პროფორგანიზაციებსა და „ოცდახუთიათასეულებს" შორის. ისეთი კავშირი კი აუცილებელია.

დებულების თანახმად, სოფლად მუდმივ სამუშაოზე წასულ მუშებს ენახებათ საშუალო ხელფასი. აგრეთვე მათ უნდა მიეცეს ის განსხვავებები, რომელიც არის იმ ხელფასებს შორის, რასაც ისინი წინად წარმოებაში იღებდნენ და რასაც ახლა კოლმეურნეობაში ღებულობენ. მაგრამ ამ დარგში არანორმალობები ხდება. მაგალითად, საქართველოს ზოგ რაიონებში ბაქოდან ჩამოსული მუშები არაფერს არ იღებენ.

ამ შემოწმებაში სიმძიმის ცენტრი აწევება არა მარტო პროფსაბჭოებს და ცალკე კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, არამედ ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციებსაც. იმ ბრიგადებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მიერ სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების შესამოწმებლად არიან გაგზავნილი, ევალებათ მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნულ შემოწმების ჩატარებაში.

ყველა კუთხეებიდან

სამტრედიაში ჩატარდა რაიონულ სას.-სამ. დაწესებულებათა რეორგანიზაცია. რაისაკრედიტო ამხანაგობა გადაკეთდა რაიონულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, ხოლო მეხილეობა-მებოსტნეობის კავშირი—კოლმეურნეობათა რაიკავშირად. განზრახულია სხვა დაწესებულებათა რეორგანიზაციაც.

ორი კვირის წინად სოფ. საყულიის კოლექტივი შეუდგა საერთო ბინის აგებას მუშა-საქონლისათვის. სადგომის აგებაზე ყოველდღიურად მუშაობს 15—20 კაცი. სადგომი 50 უღელ ხარს დაიტევს.

—:—

რადიო-ცენტრისაგან მოვლინებულმა ბრიგადამ სამტრედიაში მოიწვია რადიომსმენელთა საქალაქო კონფერენცია, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. კონფერენციაზე გადაწყდა—მოეწყოს ადგილობრივი რადიო-გადაცემა. უკვე მოეწყო რადიო-გაზეთის პირველი ნომრის გადაცემა, რომელშიაც უმთავრესად გაშუქებული იყო თესვისა და კოლექტივიზაციის მსვლელობა. სამტრედიაში ჩამოყალიბდა რადიო-მეგ. საზოგადოების სარაიონო საბჭო.

—:—

ოკრიბის რაიონში მიწების ხვნა დამთავრდა. სოფ. ცუცხვათის კოლმეურნეობამ რომელშიაც გაერთიანებულია მოსახლეობის 75 პროც., მოხნა 500 ჰექტარი, ხოლო ინდივიდუალურ სექტორში მოიხნა 30 ჰექტ. მიწა. თესვა 15 აპრილიდან დაიწყება. ცუცხვათის კოლექტივმა უკვე დაამუშავა სავენახე მიწები. ამ მიწებზე გაშენდება 20.000 ძირი ნამყენი ვაზი, რისთვისაც გათხრილია ორმოები. ვაზის რგვას შეუდგნენ. თბილისიდან გამოწერილი „რაფია" (ვაზის დასახვევი) უკვე მიღებულია.

—:—

სოფ. საყულიის კოლექტივში გაერთიანებულია 450 მეურნე. წმენდა დამთავრდა. კოლექტივიდან გაირიცხა 12 მერყევი წევრი.

სოფ. კუჭრეთის (გარე-კახეთი) კოლექტივის წევრები ხნავენ მიწას

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საკ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

არახისის თესლის მიღება

ქუთაისი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). სამტრედიის კოლმეურნეობათა კავშირმა მიიღო 175 ფუთი არახისის თესლი.

—:—

ახალი საბჭოთა მეურნეობები

ქუთაისი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ქუთაისის ოლქში გაზაფხულის სასოფლო-სამ. კამპანიასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა 4 ახალი საბჭოთა მეურნეობა 811 ჰექტარ მიწაზე. საბჭოთა მეურნეობები ჩამოყალიბებულია ქუთაისში, ხრესილში, სამტრედიაში და ბაღდათში. საბჭოთა მეურნეობებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადაეცა 60.000 მანეთი, ხოლო სახ.-სამ. ბანკიდან 90.970 მანეთი, სულ 150.970 მან.

ნამყენი ვაზის გაშენება

ქუთაისი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ზესტაფონის რაიონს მიეცა 10,000 მანეთი კოლმეურნეობებში ნამყენი ვაზის გასაშენებლად.

—:—

რამის კულტურა საბჭოთა მეურნეობებში

ქუთაისი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ვაქირის საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნილია 15 აგრო-ტექნიკოსი, რომლებიც სპეციალურად იმუშავებენ რამის კულტურაზე.

—:—

მიწის სასუქი

ქუთაისი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ვანის რაიონმა მიიღო 1200 ფ. მიწის სასუქი.

ამხ. მგალობლიშვილი ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მგალობლიშვილმა დაათვალიერა ნიგოითის, ლანჩხუთის და ნატანების კოლექტივები. მან ინახულა სამუშაოზე გასული კოლექტივის წევრები. ამხ. მგალობლიშვილი კოლექტივების მუშაობით კმაყოფილი დარჩა.

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ამხ. გ. მგალობლიშვილმა ინახულა სუფსის მთლიანი კოლექტივი, გაეცნო გამგეობის მუშაობას და მისცა დირექტივები შრომის მოსაწესრიგებლად. ბრინჯისა და ლობიოს თესლის შესაძენად კოლექტივს სესხად მიეცა 20.000 მანეთი.

—:—

ჩაის ფაბრიკა ნატანებში

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ნატანებში დაიწყო ჩაის დიდი ქარხნის აგება, რომელიც წლიურად გადაამუშავებს 400.000 კგრ. ნედლ ჩაის ფოთოლს. ქარხნის აგება დაჯდება 71.854 მანეთი. გეგმით ქარხნის აგება უნდა დამთავრებულიყო 1 მაისს, მაგრამ ამ დროისათვის ქარხანა ვერ იქნება მზად ცუდი ხე-ტყის მასალის შეძენის გამო. ხე-ტყის მასალას იძენენ ახალციხის რაიონში, მიღებულ მასალის 50 პროც. უვარგისი გამოდგა. ქარხნისათვის შენდება 50 ცხენის-ძალიანი ელექტრო სადგური; მისი დამთავრება განზრახული იყო 15 აპრილისათვის, მაგრამ ჯერ საფუძველიც არ არის ჩაყრილი. ამრიგად, მშენებლობის გეგმა ჩაშლილია.

შრომის დისციპლინა მტკიცდება

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). ნატანების მთლიან კოლექტივის ბრიგადებში სამაგალითოა ჯაფარეული და ახალი სოფელი. წევრთა შორის მტკიცე დისციპლინაა. კაცი, ქალი და მოზარდები დიდის ენტუზიაზმით გამოდიან სამუშაოზე. ადგილი არ აქვს დაგვიანებას, სამუშაოსათვის გვერდის ახვევას და სხვ. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია. 100 პროცენტით შესრულებულია ჩაისა და მანდარინის დარგვა. 90 პროც. მიწების მოხვნა.

გეგმის გადასინჯვა

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ.). სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა ხელახლა გადასინჯა სახ.-სამ. კამპანიის სამაზრო გეგმა. მთელ მაზრაში ახალი გეგმით უნდა დაითესოს: სიმინდი—30.491 ჰექტარზე; ღომი—307 ჰექ., თამბაქო—200 ჰექტ., ბრინჯი—200, ბოსტანი—105, კართოფილი—2555, სოია—1096, ლობიო—105, ლობიო გამოთესილი სიმინდში—9.020, არახისი—66, ლუფა—104, კანაფი—285, სამყურა—55, თინჯა—26, კოინდარი—27, ქარხალი—55, ტიმოთეს ბალახი—18, ბოსტანი ინდ. მეურნეობაში—400 ჰექტ., ბუნებრივი სათიბი—40 ჰექტ., დაირგვება: ვენახი—60,5 ჰექტ., თხილი—20 ჰექტ., ხეხილის ბაღი—14., მანდარინის—76,5; ნათესებისა და ნარგავების მთელი ფართობი უდრის 36,250 ჰექტარს. ცენტრის განკვეთით კი უნდა ყოფილიყო 42.000 ჰექტ., რაც არ იყო ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული.

ურეკის საბჭოთა მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობა

ოზურგეთი, 10 აპრილი. (საკ. კორ). გეგმით გათვალისწინებულ მანდარინების დასარგავ 20.000 ორმოდან უკვე გამზადებულია 18.000 ორმო. ორი დღეა დაიწყო მანდარინების დარგვა. უკვე დარგულია 3.000 ძირი მანდარინი. აგრეთვე მიმდინარეობს 5.000 ძირი შავი ხურმისა და შავი ვაშლის დარგვა. მეურნეობის შემოღობვას აფერხებს მავთულის უქონლობა.

—:—

მოძრავი სახელოსნო გაჩერებულია

გურჯაანი, 9 აპრილი. წნორის წყლის ხადადგმული მოძრავი სახელოსნო. ავტომობილი მომსახურებისათვის გადაეცა სოფლის კავშირის ტექნიკოსებს. თუმცა გაიცა განკარგულება მისი დაბრუნების შესახებ, მანქანა დღემდე არ დაუბრუნებიათ. მოძრავი სახელოსნო [illegible] წნორში დგას, ამიტომ მანქანა-იარაღი უბრალო დაზიანების დროს სოფლებიდან იქ მიაქვთ, შესაკეთებლად (ადს).

საწარმოო გეგმის შესრულება არ ნიშნავს პროდუქციის მარტო რიცხვობრივად გადიდებას

მთელი ყურადღება თვითღირებულების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას

სამტრედიის უბანის მუშაობა გამაფრთხილებელია ამიერ-კავკასიის რკინისგზებისათვის

ჭიათურის კაპიტალურ მშენებლობისათვის ფული არის,—მშენებლობა კი საფრთხეშია

საწარმოო გეგმის სამი ძირითადი პირობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრეწველობა მთლიანად ჩამორჩება საწარმოო გეგმის შესრულებაში, არის მთელი წყება ცალკე საწარმოო ერთეულებისა და ტრესტებისაც, სადაც გეგმის განხორციელება ნორმალურად მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხანაში გეგმა დიდი გადაჭარბებითაც არის შესრულებული. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თბილისის ფანერის ფაბრიკა, სადაც მიმდინარე წლის მარტის გეგმა ორი კვირის განმავლობაში იქნა შესრულებული. ასეთივე მიღწევები გვაქვს თბილისის თამბაქოს ქარხნებში, ბორჯომის გაზისა და ჩამომსხმელ ქარხანაში, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის ზოგიერთ ცეხებში და სხვაგან. ეს ფაქტები ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იქ, სადაც სოციალისტური შეჯიბრება ჯეროვან სიმაღლეზე დგას, სადაც წარმოების საკითხებით აქტუალურად დაინტერესებულია მუშათა მასები, „ობიექტური" დაბრკოლებებს, რომლებსაც ხშირად იშველიებდნენ ამა თუ იმ მარცხის გასამართლებლად, ჩვეულებრივი გასავალი არა აქვთ.

მაგრამ ცხადია, რომ მრეწველობის წარმატებითი მუშაობის დასახასიათებლად არ კმარა მარტო დამზადებულ პროდუქციის რიცხობრივი მაჩვენებელი. გეგმის განხორციელება არსებითად გულისხმობს არა მხოლოდ პროდუქციის რაოდენობას, არამედ ნამუშევარის ხარისხს და თვითღირებულებასაც. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ საჭირო გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს შეეხება ნაწილობრივ იმ საწარმოებსაც კი, სადაც გეგმა პროდუქციის რიცხობრივი ვარაუდის მხრივ წარმატებით სრულდება, პირიქით, ზოგჯერ იმასაც აქვს ადგილი, რომ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში ავიწყდებათ პროდუქციის ხარისხზე და თვითღირებულებაზე ზრუნვა. ამ მხრივ საკმაოა აღინიშნოს თუნდაც თამბაქოს მრეწველობა, სადაც საწარმოო გეგმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმატებით სრულდება, გამომუშავებულ პროდუქციის რაოდენობა სწრაფად იზრდება, ხოლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხი უყურადღებოდ რჩება, რის გამო ნამუშევარი უფრო მდარე ხარისხის გამოდის და პროდუქციის ღირებულებაც გაიზარდა.

საკითხის ამ მხარეს ხშირად ივიწყებენ საწარმოო ერთეულები. პროდუქციის გამოშვების ზრდა ბევრგან ხდება ხარისხის გაუარესებისა და თვითღირებულების გადიდების ხარჯზე, თავიანთ ანგარიშში საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ ფაბრიკა-ქარხნები და ტრესტები ხშირად დიდ ადგილს უთმობენ გეგმის რიცხობრივ შესრულებას, ხოლო გაკვრით ან სრულიად არ იხსენიებენ პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების საკითხს. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა ფასი აქვს საწარმოო გეგმის ასეთ შესრულებას, ადგილობრივი პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები, ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი, საწარმოო თათბირები, დამკვრელი ბრიგადები და ცეხები, ერთი სიტყვით ყველა ისინი, ვისაც უშუალო კავშირი აქვს წარმოებასთან გულდასმით უნდა ადევნებდეს თვალყურს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაჭრას. მხოლოდ იმ ფაბრიკას, მხოლოდ იმ ცეხს, მხოლოდ იმ ბრიგადას შეუძლია იამაყოს საწარმოო გეგმის შესრულებით, რომელიც პროდუქციის რიცხობრივად გადიდებასთან ერთად მიაღწევს ნამუშევრის თვითღირებულების დაკლებას და მის ხარისხობრივად გაუმჯობესებას.

სოციალისტური შეჯიბრების წლის თავზე, როცა ხდება თვითეულ საწარმოო ერთეულის მიღწევათა შეფასება, ფაბრიკის, ცეხის და ყოველი დაზგის მუშის შემოწმების საზომად უნდა დაიდოს ეს სამი ძირითადი პირობა: პროდუქციის ოდენობა, ხარისხი და თვითღირებულება. მთელი ძალღონე უნდა იქნეს მიმართული იქითკენ, რომ საწარმოო გეგმის ეს სამი ძირითადი პირობა ენერგიულად და განუხრელად ტარდებოდეს ცხოვრებაში. გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ იმ მავნე ცდებს, როცა პროდუქციის რიცხობრივად გადიდების გზით სურთ მიჩქმალონ თვითღირებულებისა და ხარისხის უმნიშვნელოვანესი მომენტი. სოციალისტური შეჯიბრების შემოწმების დროს, საკითხის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

იქ სადაც არ მოსწონთ სოცშეჯიბრება.

ა.-კ. რკინის გზის სამტრედიის უბანი

შრომის დისციპლინა დაცემულია. — პროფორგანიზაციები დაავადებულია ბიუროკრატიზმით. — ადმინისტრატორები ხელს უშლიან სოცშეჯიბრებას.

ამჟამად ამიერ-კავკ. რკინის გზაზე მუშაობს რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას ბრიგადა, რომელიც გაეცნო საქმის ვითარებას გზის დასავლეთ უბანზე.

ბრიგადის მუშაობა მიმდინარეობს როგორც სამეურნეო, ისე პროფესიონალური ხაზით. ბრიგადის მუშაობა ფარდას ხდის სამეურნეო და პროფესიონალურ მუშაობის ნაკლოვანებებს.

რა ირკვევა?

შრომის უდისციპლინობა სამტრედიის უბანში

ამას ცხადჰყოფს ის ფაქტი, რომ მეისრე, რომელიც იღებდა სამტრედიაში მატარებელს მთვრალი იყო. მან მატარებლის ქვეშ ისრის გადაყვანით ჩააგდო ორთქლმავალი. ბრიგადის წევრების შეკითხვაზე, თუ რატომ დაითრო იგი მოვალეობის ასრულების დროს, მეისრემ განაცხადა—„რა უყოთ, დაღლილი ვიყავ, ორი ჩაის ჭიქა ღვინო დავლიე, რომ გავმაგრებულიყავი"-ო.

ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ღებულობს, რომ ასეთ უმსგავსო შემთხვევებს ბოლო მოუღოს. ადმინისტრაციის არ სურს დამოკიდებულება „გაიფუჭოს" ხელქვეით მუშაკებთან.

მოძრაობის დარგი ყველა ნაკლის პასუხისმგებლობას აკისრებს მთლიანად წევის დარგს და პირიქით. ნამდვილათ კი ბრალი მიუძღვის როგორც წევის, ისე მოძრაობის დარგს. რით აიხსნება თუ არა ორთავე დარგის მუშაობის დაცემით ის, რომ მოძრაობის დარგის მუშაკები ვერ ასწრებენ მატარებლის მომზადებას, შემდგენლობაზე დაბმული კი ორთქლმავალი უკვე ადგილიდან იძვრის და სადგურში სტოვებს მატარებელს. (ასეთი შემთხვევის მოწმენი იყვნენ ბრიგადის წევრები სამტრედიაში).

შრომის პირობები ყოველ ნაბიჯზე ირღვევა

უდავოა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების აწევის ერთ უმთავრეს პირობას შრომის პირობების გაუმჯობესება და შრომის წესიერი ორგანიზაცია წარმოადგენს.

რას ვხედავთ სინამდვილეში?

სიბინძურე და ანტისანიტარია დაკანონებულია რკინისგზელების საცხოვრებელ ბინებში და საერთო საცხოვრებელ შენობებში. ასეთსავე მდგომარეობას ვხედებით საწარმოებში.

კონდუქტორთა ბრიგადების შენობის გასინჯვისას იშვიათი სიბინძურის სურათი იხატება. არ არის ქვეშაგებლები, საპონი, პირსახოცი, ადუღებული წყალი. წყალს სვამენ ბინძური კასრებიდან კონსერვის ჭუჭყიანი კოლოფებით. თვით სადგომი ისე გაჭედილია ხალხით, რომ დამსვენებლები ერთი-მეორეზე წვანან; სასთუმლად უდევთ სანათურები და ზევიდან კი ხურავთ ჭუჭყიანი ქურქები. ამანოეზზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთი მდგომარეობაა სალიანდაგო დარგის მე-2 უბანში.

აიღეთ წევის დარგის მეორე უბანი. სამტრედიის დეპოს შენობას ფანჯრები არ აქვს, მათ მაგიერობას მაზუთში გაჭვარტლული „ფარდები" ასრულებენ. წარმოსადგენია თუ როგორი სინათლე იქნება წარმოებაში. დეპოს სახურავი თავისუფლად ატარებს წვიმის წყალს და იატაკზე ყოველთვის ჭაობია, დაზგები და ხელსაწყოები ამის გამო იჟანგება. დეპოში არ არის დაცული სანიტარიის და ჰიგიენის ელემენტარული წესებიც კი. ადუღებული წყალი არ მოეპოვებათ. ხელების დაბანა მუშებს არ შეუძლიათ.

როგორც დეპოში, ისე სალიანდაგო დარგის სახელოსნოებში ინსტრუმენტების დიდი ნაკლებობაა. რაც არის, მათაც არ უვლიან. ტექნიკური უსაფრთხოების პირობები დაცული არ არის. სპეცტანსაცმელი მუშებს წლობით არ ურიგდებათ.

შრომის ინსპექტორი უბანში არ სჩანს. შრომის დაცვის კომისია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

ასეთი „მარგალიტები" ახასიათებს სამტრედიის რკინის გზის კვანძს.

ადმინისტრაციის დაუდევრობა და პროფკავშირების უმსგავსო მუშაობა ამ უბანში პირდაპირ ბოროტმოქმედებამდე მიდის.

მავნებლები ბათომიდან

არას ვიტყვით იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო პროგრამების და ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში სოცშეჯიბრებას, მუშათა დამკვრელობას,—ეს ყველასათვის გარკვეულია. მაგრამ არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც დღემდე სულ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ ჩაახშონ მუშათა ინიციატივა და ამით ავნონ სოციალისტურ ქვეყნის შენების საქმეს.

ვილაპარაკოთ ფაქტებზე:

სადგ. ოზურგეთის მუშა-მოსამსახურეებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სადგ. ჩაქვის მუშა-მოსამსახურეები. შეჯიბრების ხელშეკრულების ასლები მიმართვით ერთისა და იმავე დროს გადაეგზავნა ჩაქვის ადგილკომს და სალიანდაგო დარგის პირველ უბნის უფროსს თადუმაძეს. უკანასკნელმა ყოველგვარი ფიქრის გარეშე, თავისი ადმინისტრატიული „სიდიადის" სრული შეგნებით მიმართვაზე დააწერა: „სოცშეჯიბრება მე მიმაჩნია არამიზანშეწონილად"-ო.

არის სხვა ფაქტებიც.

ბათომის მოძრაობის დარგის ადგილკომი კონდუქტორთა ბრიგადების განმწესრიგებელს (რასაკვირველია, კავშირის წევრს) ნიკოლაიშვილს ავალებს სოცშეჯიბრების ობიექტების შედგენას.

როგორ უპასუხებს ნიკოლაიშვილი ადგილკომს?

— „იმის გამო, რომ მე დატვირთული ვარ მუშაობით და მუშაობისათვის თავის დანებება არ შემიძლია, და იმის გამო, რომ სალიანდაგო დარგის პირველ უბნის უფროსის ლობერიძისაგან ნაბრძანები მაქვს, რომ დაკისრებული სამუშაოები შევასრულო თავის დროზე,—დავალების შესრულება არ შემიძლია"-ო.

ცხადია, ასეთი ჩინოვნიკ-ადმინისტრატორების საშუალებით შორს ვერ წახვალ.

პროფორგანიზაციები „ბრძანებას უცდიან"

მიუხედავად საკავშირო პროფსაბჭოს მე-3 პლენუმის და რკინისგზელთა ცეკას მე-4 და მე-5 პლენუმების მთელ რიგ კონკრეტულ მითითებებისა, ზოგიერთ ორგანიზაციებს ხელიც არ გაუნძრევიათ პროფმუშაობის ახალ მეთოდებზე გადაყვანისათვის.

მაგალითისათვის მოვიყვანთ სადგ. სამტრედიის ადგილკომს. ამ ადგილკომის წევრები არ სცნობენ საჭიროდ მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასვლას, რადგან მათ თურმე „ჯერ არა აქვთ მიღებული სათანადო მითითებები ზევიდან".

გამოდის, რომ დირექტივები იწერება მხოლოდ ზემდგომ ორგანოებისათვის და ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს იგი არ ეხება, სანამდე მას ამის შესახებ „უფროსი არ უბრძანებს".

დროა რკინის გზის პროფორგანიზაციებმა გარდაქმნან თავისი მუშაობა ახალ საფუძვლებზე.

ტონი.

კაპიტალური მშენებლობა ჭიათურაში საფრთხეშია

როგორც სამრეწველო წლის პირველი ნახევარი გვიჩვენებს ჭიათურაში კაპიტალური მშენებლობის გეგმა ჩაშლის საფრთხის წინაშე იმყოფება. — პროექტების შედგენა გვიანდება. არ იყო მიღებული ზომები იმისათვის, რომ მშენებლობას ჰყოლოდა სპეციალისტების საჭირო რიცხვი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა უნდა ჩაატაროს 5 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული კაპიტალური მშენებლობა.

რა გაკეთდა წლის პირველ ნახევარში იმისათვის, რომ შესრულებულიყო მშენებლობის პროგრამა? ტრესტის მშენებლობას ნაწილობრივ ასრულებს საქართველოს „სახმრეწვმშენი". არსებობს პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. თვით მშენებლობა ჯერჯერობით დაწყებული არ არის, მაგრამ მასალა საკმაოდ მოიპოვება. საქართველოს „სახმრეწვმშენი"-ს მტკიცებით, ამ ნაწილში პროგრამა შესრულდება და მთელი გადადებული თანხა დაიხარჯება.

საქართველოს „სახმრეწვმშენი"-ვე ასრულებს ჭიათურაში ცენტრალური ელექტრონული სადგურის მშენებლობას. სადგურის ღირებულება (მოწყობილობის გარეშე) ნავარაუდევია 140 ათას მანეთის რაოდენობით. პირველი აპრილისათვის სამუშაო შესრულებულია დაახლოებით 40 პროცენტით, რაც გეგმით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

მსხვილი მრეწველობის ხაზით საქმე ბევრად უფრო ცუდადაა.

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის ასაგებად (ქარხანამ წლიურად უნდა დაამუშაოს 50 ათასი ტონა ფერო-მარგანეცი) მიმდინარე წელს გადადებულია 1 მილიონი 900 ათასი მანეთი. ქარხნის პროექტის შედგენა დავალებული აქვს ცნობილ გერმანულ ფირმას „სიმენს ჰალსკე"-ს, რომელსაც იგი უნდა დაემთავრებინა 20 თებერვლისათვის. დღემდე პროექტი წარმოდგენილი არ არის, რადგან შემდეგ გამოირკვა, რომ ფერო-მარგანეცის ასეთი დიდი ქარხნის პროექტის შედგენა თვით „სიმენს-ჰალსკე"-სთანა დიდი ფირმისათვისაც კი საგრძნობ სიძნელეს წარმოადგენს. მეორეს მხრით, პროექტზე მუშაობის პროცესში „სიმენს-ჰალსკე" იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ ადგილმდებარეობის დეტალებს, სადაც ქარხანა უნდა აიგოს, რის გამო მას უხდება ხშირი შეკითხვების გამოგზავნა. ამგვარი კითხვა-პასუხების სიხშირე ფრიად დიდ დროს ითხოვს. ამ საკითხის მოწესრიგებისა და ქარხნის პროექტის შედგენის დაჩქარების მიზნით, საქართველოს ს.მ.უ. საბჭომ მიიწვია მარგანეცის საქმის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორ გრიგოროვიჩი, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება, დაამყაროს „სიმენს-ჰალსკეს" ფირმასთან მუდმივი კონტაქტი და მიაწოდოს მას ყველა საჭირო განმარტებები. პროფ. გრიგოროვიჩმა, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღო ფერო-მარგანეცის ქარხნის ადგილის არჩევაში, მის ძირითად ნადგამობათა გათვალისწინებაში და სხვა. **ქარხნის გენერალური პროექტის მიღება აპრილის დამლევამდე შეუძლებელია და ამრიგად მიმდინარე წლისათვის გადადებული თანხები ვერ იქნება დახარჯული.**

ფერო-მარგანეცის დნობის ირგვლივ ცდების მოსახდენად ჯერ კიდევ წარსულ წელს თბილისში დაიწყო საცდელი ელექტრო-ღუმელის აგება. ელექტრო-ღუმელი თავის დროზე ვერ ამუშავდება იმის გამო, რომ მეტად დაიგვიანა ტრანსფორმატორების მიღებამ.

ჭიათურის სიმანოვის გამამდიდრებელი ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა დავალებული აქვს კრუპის გერმანულ ფირმას, ამ პროექტების შედგენაც დაგვიანდა. მხოლოდ გუშინ მოვიდა გერმანიიდან ცნობა, რომ გეგმა უკვე მზად არის და რომ პროექტი მოაქვს ფირმის წარმომადგენელს. სიმანოვის ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის მიმდინარე წელს გადადებულია 1.169 ათასი მანეთი, მაგრამ ვერც ეს თანხა იქნება მთლად გამოყენებული.

უფრო კარგად მიმდინარეობს მუშაობა მარგანეცის უდიდესი გადამტვირთავის ასაგებად ფოთში. გადამტვირთავის მთელი ღირებულება აღემატება 1 მილიონ მანეთს. მიმდინარე წლისათვის ამ საქმეზე გადადებულია 150 ათასი მანეთი და ეს თანხა თავის დროზე იქნება გამოყენებული.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მიმდინარე წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის ბევრი ობიექტი არ იქნება შესრულებული. მაგალითად, მაღაროების სამუშაოებისათვის გადადებულია 230 ათასი მანეთი, მაგრამ აქედან განზრახულია 25 ათასი მანეთის დახარჯვა. ასეთივე მდგომარეობაა კაპიტალური მშენებლობის სხვა დარგებშიც.

შავი ქვის მრეწველობის მშენებლობის ჩაშლის ერთი ძირითადი მიზეზთაგანია არყოლა ისეთი უმაღლესი ტექნიკური პერსონალისა, რომელიც შესძლებდა ხელმძღვანელობის გაწევას. არ არსებობს მუშაკები არა თუ ხელმძღვანელობის გასაწევად, არამედ იმისათვისაც კი, რომ მეთვალყურეობა გაუწიონ მშენებლობას. ტრესტის საინჟინერო-სამშენებლო განყოფილებამ განაცხადა, რომ ასეთ პირობებში მას არ შეუძლია მუშაობა და თავიდან იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ამავე დროს კი დაწესებულებათა კანცელარიებში და ისეთ საწარმოებში, რომელთაც მშენებლობასთან საერთო არაფერი აქვთ, მოიპოვებიან ტრესტისათვის ესოდენ საჭირო სპეციალისტები. ამის ბრალი შრომის კომისარიატის ორგანოებსაც ედებათ, რადგან მათ არ იზრუნეს იმაზე, რომ სპეციალისტები წესიერად ყოფილიყვნენ განაწილებული. ბრალი მიუძღვის აგრეთვე ჭიათურის ტრესტის ადმინისტრაციასაც. მათ მხოლოდ გუშინ მოუვიდათ აზრად მოეწვიათ კავშირის სხვა რაიონებიდან ის სპეციალისტები, რომლებიც მოისურვებენ სამხრეთში მუშაობას. მაგრამ მაშინ, როდესაც ჭიათურაში ტექნიკოსის ხელფასი 500 მანეთამდე აღწევს, მათ სურდათ მოსკოვის გაზეთებში გაეშვათ განცხადება, რომ იწვევენ სპეციალისტებს თვეში 200 მანეთად. ცხადია, ასეთი მიდგომის შემთხვევაში სპეციალისტები არ გამოეხმაურებოდნენ ტრესტის მიწვევას.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა კი ჰაერში ჰკიდია. ბევრი რამ უკვე გაშვებულია ხელიდან. საჭიროა მაქსიმალური ტემპები ყოველგვარი დაგვიანების გარეშე.

თბილისის აგურის ქარხნები

საწარმოო წლის მეორე ნახევრის წინ

თბილისში არსებულ შვიდივე აგურის ქარხანას, მიმდინარე სამეურნეო წლის საწარმოო გეგმის თანახმად ოქტომბრიდან 1-ლ აპრილამდე უნდა დაემზადებინათ 14.100.000 ცალი აგური. საამშენებლო მასალათა თბილისის ტრესტის გამოანგარიშებით კი აგურის ყველა ქარხნებს პირველ აპრილამდე დაუმზადებიათ მხოლოდ 13.109.000 ცალი აგური. ამგვარად მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა თბილისის აგურის ქარხნებმა შეასრულეს მხოლოდ 92,9 პროცენტით.

თუ აგურის დამზადებაში დიდ ჩამორჩენილობას აქვს ადგილი, სამაგიეროთ წარმატებითაა შესრულებული საწარმოო გეგმით გათვალისწინებული დანარჩენი სამუშაოები. ასე, მაგალითად, სააგურე თიხა ქარხნებმა დაამზადეს გეგმით გათვალისწინებული 75.000 კუბიკური მეტრის მაგიერ 92.977 კუბიკური მეტრი. გეგმა გადაჭარბებულია 17.977 კუბ. მეტრის რაოდენობით.

გადაჭარბებითაა შესრულებული ალიზის დამზადების გეგმაც. საწარმოო გეგმით, თბილისის შვიდივე აგურის ქარხანას უნდა დაემზადებია 3.000.000 ცალი ნედლი აგური (ალიზი). ფაქტიურად კი, 1-ლი აპრილისათვის ყველა ქარხნებს დამზადებული ჰქონდათ — 3.611.000 ცალი ნედლი აგური. გადამეტება უდრის 611.000 ცალს.

პარტიული მშენებლობა

„პარტიის ხაზის გამრუდების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც შემცდარათ განმარტავს პარტიის ხაზს. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, და „მემარცხენე“ ელემენტებთან, რომელნიც შემცდარათ განმარტავენ პარტიის დირექტივას. ამ შემთხვევაში უნდა დავემყაროთ იმას, რომ ორივე ეს მიმდინარეობა არსებითად ავსებს ერთი მეორეს“

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 3 აპრილის დადგენილებიდან)

პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში—„საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიულ ხაზის გამრუდებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“—ნათქვამია, რომ „საკოლმეურნეო მოძრაობაში ყველა გამრუდებანი წარმოადგენენ პარტიის პოლიტიკის პირდაპირ დარღვევას, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა პირდაპირ დარღვევას, რასაც მხოლოდ შეუძლია შეუქმნას ნიადაგი მემარჯვენე ელემენტების გაძლიერებას პარტიაში. ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ყველა ეს გამრუდებანი ამჟამად წარმოადგენენ ძირითად დაბრკოლებას საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის საქმეში, წარმოადგენენ ჩვენი კლასობრივი მტრების პირდაპირ დახმარებას. ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ საკოლმეურნეო მეურნეობის შემდგომი სწრაფი ზრდა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, შეუძლებელია ამ გამრუდებათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის გარეშე“.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ამ ამონაწერში ნათლად არის ნათქვამი, რომ საჭირო და აუცილებელია საკოლმეურნეო მოძრაობაში შეცდომების და გამრუდებათა ლიკვიდაცია, რომლებიც დაშვებული იყო კოლექტივიზაციის გატარების დროს ცალკე რაიონებსა და სოფლებში. ადგილობრივ ორგანოებმა უკვე ხელი მოჰკიდეს დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას და მშრომელ მოსახლეობის ფართო მასებში ჩაატარეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეობათა მნიშვნელობის შესახებ, განუმარტეს გლეხობას კოლექტივებში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი, ხელი მოჰკიდეს არტელის სანიმუშო წესდების პოპულიარიზაციას და სხვა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც არ სურთ საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რადგან ფიქრობენ, რომ ეს პარტიის წევრთა ავტორიტეტს დასცემს მშრომელ მოსახლეობის თვალში; გარდა ამისა პარტიის ზოგიერთი წევრი გამრუდებათა გამოსწორებას უკან დახევად სთვლის, პარტიის ასეთი წევრები ამბობენ: „მართალია ჩვენში ადგილი ჰქონდა გამრუდებებს, მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარებისათვის“-ო.

ასეთი განწყობილება მეტად მავნეა; ასეთი ოპტიმიზმი საკოლმეურნეო მოძრაობაში არაფრად არ ვარგა. საკოლმეურნეო მოძრაობაში გამრუდებათა ლიკვიდაცია ადგილობრივ პარტორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა. ამ გამრუდებათა ლიკვიდაციით ჩვენ შევძლებთ კოლმეურნეობების განმტკიცებას.

გარდა იმისა, რომ პარტიის წევრები ნახტომებს აკეთებენ, რითაც აძლიერებენ მემარჯვენე ოპორტუნიზმს, ვერ აფასებენ ღარიბ გლეხთა ჯგუფებს შორის მუშაობას, არ რაზმავენ სოფლის მშრომელ მოსახლეობას კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა.

კახეთის ოლქში მთელ რიგ სოფლებში პარტუჯრედებმა ხელი აიღეს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაზე და აცხადებდნენ: „ჩვენ გადასული ვართ მთლიან კოლექტივიზაციაზე, კულაკობა მოვსპეთ (?) და ღარიბ გლეხთა ჯგუფებს შორის მუშაობა საჭირო არ არისო“.

ასეთი შეხედულებების წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს სასტიკი ზომები; ის, ვინც ვერ აფასებს ღარიბთა ჯგუფებს შორის მუშაობას—ანელებს კულაკების წინააღმდეგ ბრძოლას და წყალს ასხამს მემარჯვენეების წისქვილზე.

სოფ. ხორგის აღმასკომის თავმჯდომარე ღარიბ გლეხებს ლაპარაკის უფლებას არ აძლევდა და დაშინებულმა გლეხებმა ხელის აწევით სოფელი მთლიან კოლექტივიზაციად გამოაცხადეს. ხარაგოულის რაიონში ღარიბ გლეხებმა არ იცოდნენ კოლექტიური მეურნეობის მნიშვნელობა და არ იცნობდნენ პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მოძრაობაში. ასეთ პირობებში ხარაგოულის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ცხრაკვილაშვილმა მუქარით ჩამოაყალიბა კოლექტივები, ძალით გასტეხა ბეღელი და მიითვისა სიმინდი, თავმჯდომარის მოადგილის ასეთ მოქმედებას არ შეეძლო არ გამოეწვია ღარიბ და საშუალო გლეხების კანონიერი უკმაყოფილება. ამბროლაურის რაიონში (თბ. ოლქი) კომკავშირის უჯრედები მთლიანად ილაშქრებდნენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ, კომკავშირელების უმრავლესობა კულაკების გავლენის ქვეშ მოექცა. ზოგიერთი კომკავშირელების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მათ სცადეს თავს დასხმოდნენ რაიკომის მდივანს, რომელიც აგიტაციას აწარმოებდა კოლმეურნეობის დაარსების სასარგებლოდ.

ქუთაისის ოლქის საჩხერის სოფლებში კიდევ უფრო აღმაშფოთებელ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. აქ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად მიმაგრებული ამხანაგები ციმბირში გადასახლებით ემუქრებოდნენ ღარიბ გლეხებს თუ კოლექტივებში არ შევიდოდნენ, კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხებს ათასგვარი დაპირებებით ქვბავდნენ, კოლექტივების გარეშე დარჩენილ გლეხებს კი ბოიკოტით და დიდი გადასახადების გაწერით ემუქრებოდნენ. ასეთ მუშაობას არავითარი საერთო არ აქვს პარტიულ პოლიტიკასთან. პარტიული ხაზის გამრუდებების წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს სასტიკი ზომები, ამასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ გამრუდებანი საკოლმეურნეო მოძრაობაში, რადგან „საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი სწრაფი ზრდა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, შეუძლებელია ამ გამრუდებათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის გარეშე“.

ხ. ა.

როგორ დაამახინჯეს პარტიული ხაზი

(საჩხერე ქუთ. ოლქი)

იმ მიზნით, რომ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია წარმატებით ჩატარებულიყო საჩხერის სოფლებზე მიმაგრებული იყვნენ პ. მ. ამხანაგები. აღნიშნულ კამპანიის ჩატარების დროს საჩხერეში ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის დამახინჯებებს.

უპირველესად უნდა აღინიშნოს ადმინისტრატიული ღონისძიებები კოლექტივში გლეხების გაერთიანების დროს. ძალდატანებით ჩამოყალიბებული კოლექტივები დაიშალა (სოფ. კორბოულში, ღიშში, ჭალაში და სხვა). ყველა ფერი ეს გამოაშკარავდა, როდესაც საჩხერეში ცენტრიდან ჩამოვიდა ამხ. ვ. ტალახაძე; კრებაზე გლეხები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ძალით შეიყვანეს კოლექტივებში.

ქორეთის თემზე გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად მიმაგრებული იყვნენ ამხ. ახაიძე, მოდებაძე და მულაძე. მათ პირველად აღრიცხეს თემში მყოფი კულაკები. აღწერით თემში 182 კომლი კულაკი აღმოჩნდა, (იმ დროს როდესაც თემში 700 კომლია). საკითხის შესწავლის შემდეგ თემში მხოლოდ 12—15 კულაკი შეიქნა.

აღნიშნულ თემებზე მიმაგრებული ამხანაგები გლეხების საერთო კრებებზე აცხადებდნენ: „ვინც კოლექტივში არ შევა ყველას ციმბირში გადავასახლებთო“. გლეხების შეკითხვებზე—„შეიძლება თუ არა 20—25 კაციდან კოლექტივის ჩამოყალიბებაო—მოდებაძემ უპასუხა:—„კოლექტივში უნდა გაერთიანდეს არა ნაკლებ 500—600 კაცი“-ო.

სოფ. ჰორეილაში 60—80 ღარიბ და საშუალო გლეხებმა მოითხოვეს კოლექტივში შესვლა, მაგრამ მიმაგრებულმა ამხანაგებმა მათ ამის უფლება არ მისცეს, იმიტომ, რომ „მთელი თემი ერთ კოლექტივში უნდა გაერთიანდეს“-ო. აღმაშფოთებელი ის არის რომ მიმაგრებულ ამხანაგებმა რამოდენიმე ღარიბი გლეხი (ხვედელიძეები) დააჯარიმეს თვითეული 150 მანეთით, რადგან მოითხოვდნენ მეორე რიცხოვან კოლექტივში გაერთიანებას.

ქალის თემზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა გლეხებს არ მისცეს უფლება გაეყიდათ ღორები, ცხვრები და სხვა წვრილფეხა საქონელი.

ქორეთის თემზე მიმაგრებული ამხანაგები გლეხებში საუბრობდნენ: „კოლექტივში უნდა შეიტანოთ მთელი ადგილ-მამული, ეზო და ბოსტანი; უნდა გააერთიანოთ ხარი, ძროხა, წვრილ ფეხა საქონელი და შინაური ფრინველები, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივში არავის მივიღებთო“.

სოფ. ჰორეილაში ღარიბ გლეხს გოგოლ კვალიშვილს ქორეთის თემზე მიმაგრებული ამხ. მოდებაძე დაემუქრა იმიტომ, რომ გლეხმა ეზოს შემოღობვა მოისურვა. იმავე სოფელზე მიმაგრებულმა ამხანაგებმა შეშა ჩამოართვეს ღარიბ გლეხს ოსიდორე ლაშხს იმიტომ, რომ მათ „შეშა თემალმასკომს სჭირდებოდათ“.

ზოგიერთ სოფელში მიმაგრებული ამხანაგები გლეხებს პირდებოდნენ: „ვინც კოლექტივებში შევა ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლდება. მანქანებს და ტრაქტორებს უფასოდ მიიღებს და კოოპერატივიდან საქონელი იაფ ფასებში მიეცემა; ის კი ვინც კოლექტივის გარეშ დარჩება—გადასახადით დაიბეგრება და არავითარი დახმარება არ მიეცემა“-ო.

ქორეთის თემში, ჩამოსულ ამხანაგებმა მოახდინეს კულაკების განკულაკება (სინამდვილეში საშუალო გლეხების განკულაკება); მათ რამოდენიმე საშუალო და ღარიბ გლეხს ჩამოართვეს სას. სამ. იარაღები, ძროხები და ცხვრები; ერთ ღარიბ გლეხს სოფ. საირხეში სამი ცხვარი ჩამოართვეს.

საერთოდ საჩხერეში ადგილი ჰქონდა საშუალო გლეხების გადასახლებულთა სიაში შეტანას, რაც კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში.

შემჩნეული იყო რომ სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებული ამხანაგები თემალმასკომში ღვინოს სვამდნენ და ქეიფობდნენ (სოფ. ქორეთი, ცხომარეთი).

პარტიული ხაზის დამახინჯებამ და გამრუდებამ საკოლმეურნეო მოძრაობაში და მიმაგრებულ ამხანაგების თვითნებობამ ერთგვარი უარყოფითი გავლენა მოახდინა საჩხერის მშრომელ მოსახლეობაზე. კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის საჭიროა აღნიშნული შეცდომების გამოსწორება, სათანადო ახსნა განმარტებითი მუშაობის ჩატარება რაიონში და დამნაშავეების სამაგალითოდ დასჯა.

სამი კავალერისტი.

კულაკები კოლექტივის სათავეში

(სოფ. ხორგა, ზუგდ. მაზრა)

სოფ. ხორგაში ადგილობრივ თემსაბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია სოფლის გლეხობის საერთო კრება. კოლექტივიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა მაზრიდან მივლინებულმა ამხანაგმა. მოხსენების შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარემ გლეხებს ლაპარაკის უფლება არ მისცა.

„არავითარი სიტყვა, არავითარი შეკითხვა“—განაცხადა თავმჯდომარემ—„ვისაც გსურთ კოლექტივში შესვლა ასწიეთ ხელიო“. დაშინებულმა გლეხებმა ხმა მისცეს კოლექტივს. „კენჭის ყრის“ შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: „უმრავლესობა კოლექტივის მომხრეა; უმცირესობა კი უნდა დაემორჩილოს უმრავლესობის სურვილსო“. და ამნაირად თემი გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე. კოლექტივში შეყვანილ იქნა მღვდელი ბერია, დიაკონი—ბ. ბერია, ვაჭრები: ბ. ცხომარია, ანდრო მირცხულავა და მთელი რიგი კულაკები. კოლექტივის გარეთ დარჩენილ ღარიბ გლეხებს არ აძლევდნენ სიღარიბის მოწმობებს. მოსპეს შეშით და წნელით სარგებლობის უფლება, კოოპერატივიდან არ მისცეს ნავთი, მარილი და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნები.

ხორგის კოლექტივს ხელმძღვანელობენ დღესაც კულაკები და ვაჭრები, აღმასკომის თავმჯდომარე ყოველივე ამას ხელს აფარებს.

იქაური.

უნდა დაისაჯოს

(ხარაგოულის რაიონი, ქუთ. ოლქი)

სოფ. სალანძილეში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არ ჩატარებულა. სოფლის მუშაკებმა დაკვრითი წესით მოინდომეს კოლექტივების ჩამოყალიბება. მშრომელი გლეხები არ იცნობდნენ არტელის წესდებას, არ იყვნენ გარკვეულნი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში და არ იცნობდნენ პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკას საკოლმეურნეო მოძრაობაში. ხარაგოულის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გრ. ცხრაკვილაშვილმა ანგარიში არ გაუწია სოფლის მშრომელ მოსახლეობის მოუმზადებლობას, სოფ. სალანძილეს პირობებს და მოინდომა კოლექტივებში გლეხების ძალით გაერთიანება. ცხრაკვილაშვილი მიდიოდა გლეხის ოჯახებში და გლეხებს ხელს აწერინებდა განცხადებაზე კოლექტივში შესვლის შესახებ; თუ გლეხი უარს განაცხადებდა ხელის მოწერაზე, ცხრაკვილაშვილი რევოლვერით ემუქრებოდა. გლეხების საერთო კრებაზე ცხრაკვილაშვილი აცხადებდა: „ვინც კოლექტივში არ შევა, მას თემიდან გადავასახლებთ, მწირ მიწებს მივცემთ სოფლის ბოლოს და განაპირა უბნებში, ყველას ბოიკოტს გამოვუცხადებთ და კოოპერატივიდან არაფერს არ მოგცემთ“-ო.

კოლექტივების „ჩამოყალიბების“ შემდეგ ხარაგოულის რაი-აღმასკომის თავმჯდომარე ივანე თხილაძემ ცხრაკვილაშვილთან ერთად ოლქში წარადგინა ცნობები, რომ ხარაგოულის რაიონში ვითომც 58 კოლექტივი იყოს მოწყობილი.

ხარაგოულის რაი-აღმასკომის თავმჯდომარემ იცოდა, როგორ დაარღვია ცხრაკვილაშვილმა არტელში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი, იცოდა, რომ ცხრაკვილაშვილი რევოლვერით ერეკებოდა ღარიბ გლეხებს კოლექტივში, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია და ქუთაისის საოლქო შტაბისათვისაც არ უცნობებია.

ი. ქ—ძე.

გამოვასწოროთ შეცდომები

(კახეთი)

კახეთის ოლქის ზოგიერთ სოფლებში ადგილი ჰქონდა პარტიის ხაზის უხეშად დამახინჯებებს საკოლმეურნეო მოძრაობაში. მაგ.: სოფ. არბოშიკში საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დროს კოლექტივებში იქნა გაერთიანებული ძროხები, შინაური ფრინველები, ბაღ-ბოსტნები და სხვა. გარდა ამისა ამავე სოფელში გლეხს კოლექტივში შესვლამდე საკუთარი შრომით მოწეულ პროდუქტების ბაზარზე გატანის უფლება არ მისცეს.

კახეთის ოლქის ზოგიერთ სოფლებში განკულაკებულთა სიაში მოხვდნენ საშუალო გლეხები და წითელარმიელები.

სოფ. ზემო და ქვემო მაჩხაანში ადგილი ჰქონდა კულაკებისაგან ჩამორთმეულ ქონების მითვისებას. სოფ. ქვემო მაჩხაანში კულაკის სახლში ჩასახლეს კომკავშირელი. იმავე სოფელში პარტიის ზოგიერთი წევრები გლეხების კოლექტივში გასაერთიანებლად ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავდნენ. სოფ. ზემო მაჩხაანში დაატუსაღეს გლეხის ქალები, რომლებმაც უარი განაცხადეს კოლექტივებში შესვლაზე. პარტიის წევრმა—ბედამსპიშვილმა, სოფ. ზემო მაჩხაანში, ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა გლეხს ნატროშვილს, რომელიც კოლექტივში გაერთიანებაზე უარს ამბობდა.

კახელი.

„საკონტრ. ციფრები გადაჭარბებით შეასრულეს“

(სოფ. ეკი, სენაკის მაზრა)

სოფელ ეკში დიდი ხანი არ არის, რაც კოლექტივი ჩამოყალიბდა. სოფლის პასუხისმგებელ ამხანაგებს დაავიწყდათ კოლექტივებში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი და ადმინისტრატიული საშუალებებით ჩამოაყალიბეს კოლექტივი. ადგილობრივ მუშაკებში აქტივობით თავი ისახელა ამხ. ბიქტორ ადამიამ.

სოფ. ეკის მშრომელ მოსახლეობამ არ იცოდა კოლექტიური მეურნეობის მნიშვნელობა და უარი განაცხადა კოლექტივებში გაერთიანებაზე. მაშინ ბიქტორ ადამიამ, გრიშა ადამიას დახმარებით, დაატუსაღა ღარიბი გლეხი და დანარჩენ გლეხებს დატუსაღებით და გადასახლებით დაემუქრა, თუ კოლექტივებში არ გაერთიანდებოდნენ.

ბიქტორ ადამიამ სათესლე სიმინდის შეგროვების დროს გლეხის ბეღელი გასტეხა, გამოიტანა 80 ფუთი სიმინდი და თავისთვის მოიხმარა. მაზრაში კი ცნობას აგზავნიდა, რომ თემი გადასულია მთლიან კოლექტივიზაციაზე და სათესლე სიმინდის შეგროვების საკონტროლო ციფრები გადაჭარბებით არის შესრულებული.

ბ. დ—ძე.

პარტგანმანათლებელი მუშაობა

ახლად მიღებულ კანდიდატთა შორის

(საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის სეკრეტარიატის დადგენილება)

პარტიაში მუშათა საგრძნობი კადრების ჩაბმა მოითხოვს არსებული ქვედა პარტ-საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებას იმ მიზნით, რომ ახლად მიღებულ კანდიდატებსა და უპარტიო მუშებს, მოჯამაგირეებსა და ღარიბებს შორის მოეწყოს პარტ-საგანმანათლებლო მუშაობა.

რათა პარტიული განათლება ამ მასების მეტმა რაოდენობამ მიიღოს, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებმა შექმნან მოკლევადიანი პარტსკოლებისა და პოლიტწრეების ქსელი იმ კანდიდატებისათვის, რომლებიც არსებული პოლიტსაგანმანათლებლო ქსელის გარედ დარჩნენ და ეს მუშაობა დაამთავრონ 8 თვის განმავლობაში. კურსების გავლა დაუკავშირდეს პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში.

2. განიტვირთონ პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობისაგან ახლად მიღებული კანდიდატები და მათ ძირითად დატვირთვად ჩაითვალოს პოლიტმეცადინეობა.

3. საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებმა ადგილებზე (საწარმოებში, სოფლად, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.) უნდა მოაწყონ კანდიდატებთან რამდენიმე საუბარი სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე და მიიწვიონ ამისთვის პასუხისმგებელი და მომზადებული პარტიული მუშაკები.

4. იმ მიზნით, რომ კანდიდატთა მასებისათვის განზრახული პარტქსელი უზრუნველყოფილ იქნას პროპაგანდისტებით, საჭიროა მასში ჩაბმულ იქნან ის ამხანაგები, რომელთაც პოლიტიკური მომზადება მიღებული აქვთ საბჭოთა პარტიულ სკოლებში, მარქსისტულ-ლენინურ წრეებში, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მომზადებული ამხანაგები. სოფლის ორგანიზაციებში პროპაგანდისტებად მიწვეულ უნდა იქნან ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ცენტრალური პარტსკოლის და საბჭოთა პარტსკოლის ის სტუდენტები, რომლებიც მივლინებულნი არიან სოფლად სამუშაოდ.

5. პროპაგანდისტი მუშების ახალი კადრების გადასამზადებლად გაიხსნას 2 კვირეული სკოლები თბილისში, ქუთაისში, ბათომში, ჭიათურაში, ფოთში, ხაშურში და სამტრედიაში. კურსებზე მიწვეული ამხანაგები განთავისუფლებულ იქნან მუშაობისაგან საწარმოში. ჯამაგირი მათ უნდა შეენახოთ მუშაობის ადგილას.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროპაგანდისტთა კოლექტივების რეგულიარულად მოწვევა საფაბრიკო-საქარხნო პარტორგანიზაციებთან, აგრეთვე პროპაგანდისტების სემინარებისა და თათბირების მოწყობა რაიკომებთან იმ მიზნით, რომ მოხდეს პროგრამის საკითხების და კანდიდატებთან მეცადინეობის მეთოდის შესწავლა.

7. წინადადება მიეცეს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტთა ჯგუფს და შტატის პროპაგანდისტებს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომპარტიის (ბ) ახლად მიღებულ კანდიდატთა ლენინური სწავლების ორგანიზაციის საქმეში და მათთვის ხელმძღვანელების შერჩევაში.

8. ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ თავის დროზე უზრუნველჰყოს მთელი ქსელი სათანადო პროგრამულ-მეთოდიური მასალებით და სახელმძღვანელოებით.

ა-კ. პარტთათბირი განათლების საკითხებზე

საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში გუშინ, საღამოს 7 საათზე გაიხსნა პარტთათბირი სახალხო განათლების სისტემის საკითხებზე.

თათბირი გახსნა ამ.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ლისოვსკიმ.

თავის შესავალ სიტყვაში ამხ. ლისოვსკიმ ხაზი გაუსვა კადრების მომზადების პრობლემის მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაძლიერებისათვის და აღნიშნა, რომ სახალხო განათლების სისტემა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც მას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება უყენებს. ამიტომ სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციას, მის შეფარდებას ჩვენი ქვეყნის სოც. მშენებლობის სადღეისო საკითხებთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელმა თათბირმა უნდა მოგვცეს მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ განათლების სისტემა, რომ ის აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ცხოვრება აყენებს.

ამხ. ლისოვსკის შესავალი სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. სახალხო განათლების სისტემა (მომხს. ამხ. მარიამ ორახელაშვილი); 2. კულტურული მუშაობის ახალი მეთოდები და მთლიანი გეგმა (მომხ. ამხ. ეფენდიევი); 3. სახალხო განათლების ორგანოების რეორგანიზაცია (მომხ. ამხ. ეგიაზაროვი), 4. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობისათვის კულტურული სამსახურის გაწევა (მომხ. ამხ. სულთანოვი) და 5. კულტმუშაობა ნაციონალურ რაიონებში.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება სახალხო განათლების სისტემის შესახებ.

თათბირის მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

საზ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა კონფერენცია

ამხ. კახიანის მოხსენება.—პროფესორების გამოსვლა

სპეციალისტების „ნეიტრალობას“ დღეს ადგილი არ უნდა ექნეს

ამხ. კახიანის მოხსენება

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო აღნიშნული, ს. ს. პ. ინსტიტუტის სტუდენტთა პირველ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. კახიანი. მოგვყავს მოხსენების მოკლე ანგარიში.

„უპირველეს ყოვლისა—სთქვა მომხსენებელმა,— მე შევეხები ჩვენს დამოკიდებულებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მსვლელობა ძლიერ აფრთხობს მსოფლიო ბურჟუაზიას. „ვაი ევროპას, თუ ხუთწლიანი გეგმა განხორციელდებაო—სწერდა ერთ-ერთი ბურჟუაზიული გაზეთი. იმ მტრული დამოკიდებულების დროს ჩვენდამი, რომელმაც თავისი გამოხატულება უკანასკნელ ხანებში ჰპოვა ჯერ აღმ. ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებაში და ეხლა „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ცდებში სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობის როლს ასრულებს ამ საქმეში.

როგორი დამოკიდებულება არსებობს თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის? მიუხედავად მათი შერიგების მრავალი ცდებისა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დღითი დღე იზრდება და ისინი ვერ შენელდებიან ვერც მაკდონალდის ამერიკაში მოგზაურობით და ვერც სხვა რაიმე ღონისძიებებით. ბურჟუაზია განაგრძობს თვალთმაქცობას და ოინბაზობას—განიარაღებაზე ლაყბობს, მაგრამ რომ ამას არაფერი ღირებულება აქვს, ჩვენ ერთხელ კიდევ ზედმეტად დავრწმუნდით ლონდონის კონფერენციის მსვლელობით.

კიდევ მეტიც ამ კონფერენციაზე ირჩეოდა არა განიარაღების, არამედ შეიარაღების საკითხი. მაგალითად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიარაღონ შავი ზღვის მონაპირე სახელმწიფოები (რუმინეთი და სხვ.) საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორი მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით? უკანასკნელი ამბები გვიმტკიცებენ, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით იქ ყოველდღიურად იზრდება მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა; მარტო „მშიერთა ლაშქრობა“ მთელ რიგ ქალაქებში, ბარიკადებით და პოლიციასთან სისხლის მღვრელი შეტაკებებით მთავრდება. გერმანიაში ფაბქარბკომების არჩევნებში რევოლიუციონური კავშირების გამარჯვებებიც აგრეთვე ამტკიცებენ მშრომელთა გამემარცხენებას. მაგრამ არა მარტო მეტროპოლიებში, არამედ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებშიც ანტიიმპერიალისტური, რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება.

ჩინეთში, სადაც კვლავ გრძელდება ბრძოლა ცალკე გენერლებს შორის, მთელ რიგ რაიონებში წითელი პარტიზანების მიერ დაარსებულია საბჭოთა ხელისუფლება. ეს ნიშანია იმისა, რომ ჩინეთი კვლავ იტყვის თავის სიტყვას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინდოეთის მთელ რიგ ქალაქებში რკინისგზელთა გაფიცვები არ შეწყვეტილა, ამასთან პარალელურად გრძელდება გამანთავისუფლებელი მოძრაობაც, მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული“ პარტია იქ ისეთივე გამცემლურ როლს ასრულებს, როგორსაც ჩინეთში გომინდანი. —რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ტოლსტოვისებურ ქადაგებებს (განდი) ითმენს ისეთი ხელისუფლებაც კი, როგორიცაა ინგლისის.

მაგრამ, თუ საერთაშორისო კაპიტალიზმს ნიადაგი დღითი-დღე ეცლება ფეხებიდან, საბჭოთა კავშირი უდიდესი ტემპით აწარმოებს სოციალიზმის შენებას.

5 წლიანი გეგმის განხორციელების საქმეში საბჭოთა კავშირის მშრომელები იჩენენ უდიდეს ენტუზიაზმს.

5 წლიანი გეგმა ბევრს უტოპიურად მოაჩნდა, მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ იგი სავსებით რეალურია და ჩვენ გვაქვს ნიშნები იმის, რომ ამ გეგმას 4 წელიწადში შევასრულებთ.—მართალია მრეწველობის ზოგიერთ დარგში ჩვენ გვქონდა სუსტი მხარეები, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მუშათა ენტუზიაზმს ჩვენ ზოგჯერ ვერ გამოვიყენეთ, კერძოდ პროფკავშირების ზოგიერთმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა. მუშათა საქმიანი წინადადებანი ხშირად ცხოვრებაში არ ტარდებოდა მათდამი უყურადღებო, ზოგჯერ მავნებლური მოპყრობის გამო. გარდა ამისა, მთელ რიგ წარმოებებში ცხოვრებაში არ ტარდება პარტიის დირექტივა ერთმმართველობის შესახებ; ყველა ეს დაბრკოლებანი ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ. მრეწველობის ყოველდღიურად განვითარება ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს კადრების მომზადების ამოცანას. ძველი სპეციალისტების შემადგენლობიდან ჩვენ მოგვეპოვება სოციალისტური მშენებლობისათვის თავდადებულნი, მაგრამ მოიპოვებიან „ქუხაინებიც“. რომ ეს ასეა ამას ამტკიცებს მათ მიერ ჩადენილი მავნებელი მუშაობა დონბასში, ოქრო-პლატინის მრეწველობაში, „ახნავთში“ და სხვ. რომ სპეციალისტების ძირითადი მასა არ იზიარებს მათ მოქმედებას—სჩანს იმ საპროტესტო დემონსტრაციებიდან, რომლებიც მოაწყვეს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებმა. ჩვენს მოვალეობას შეადგენს კიდევ უფრო დავიახლოვოთ პატიოსანი სპეციალისტები და გამოვაშკარავოთ მავნებლები. რაც შეეხება ე. წ. „ნეიტრალურ“, „აპოლიტიკურ“ სპეციალისტებს, დროა მათ გარკვევით გვიპასუხონ: ვისთან არიან ისინი? 1930 წელში „ნეიტრალობას“ ადგილი არ უნდა ექნეს.

ძველი სპეციალისტების გამოყენების გარდა ჩვენი უმაღლესი ტექნიკურ სასწავლებლების და უმაღლეს სასწავლებლების წინაშე დასმულია ამოცანა ახალი კადრების აღზრდის შესახებ. ამ სასწავლებლებმა თავიანთი მუშაობა უნდა გარდაქმნან სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით.

ჩვენი კულტურული მშენებლობის ტემპი არ უნდა ჩამორჩეს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქაც ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეში. კულაკის შევიწროვებიდან ჩვენ გადავედით კულაკის, როგორც კლასის ლიკვიდაციაზე. ამჟამად საქართველოში მეურნეობათა 25—30 პროც. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია. ჩვენ მოვიმხრეთ საშუალო გლეხი, რომელსაც ხშირად მერყეობა ახასიათებდა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის შეცდომებიც, რომლებიც დაშვებული იქნა ადგილობრივი მუშაკების მიერ. ეს შეცდომები მდგომარეობდა იმაში, რომ კოლმეურნეობებში გაერთიანების დროს ზოგიერთ ადგილებში დარღვეული იქნა ნებაყოფლობის პრინციპი.

კახეთში ზოგიერთი „ჭკუის კოლოფები“ ქვევრების და ჩურჩხელის განსაზოგადოებასაც კი მისდევდნენ. ცხადია, ეს უსათუოდ გამოიწვევდა უკმაყოფილებას, ამიტომ პარტიამ დროზე მიუთითა ამ შეცდომებზე. ზოგიერთების მიერ ეს გაგებული იქნა, როგორც უკან დახევა, მაგრამ მტკიცება არ უნდა იმას, რომ ჩვენი პოლიტიკა კვლავ უცვლელი რჩება, ჩვენ ვასწორებთ მხოლოდ იმ შეცდომებს, რომლებიც გვქონდა ამ დარგში. ჩვენ ძალდატანების წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ ნებაყოფლობის ნიადაგზე ვაარსებთ და ვამაგრებთ კოლექტივებს. ასეთი პოლიტიკით ჩვენ ხელს შევუწყობთ კოლმეურნეობათა შემდგომ განვითარებას“.

ამხ. კახიანის მოხსენების დამთავრების შემდეგ, კონფერენციას მიესალმენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და სპეციალისტები, რომელთაც აღნიშნეს სტალინის ქარხნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტზე შეფობის აღების მნიშვნელობა.

ამხ. თავშავაძის სიტყვა

პირველად ილაპარაკა სტალინის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. თავშავაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შეფობა ხელს შეუწყობს იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, რომლებსაც ადგილი აქვს როგორც ქარხანაში, ისე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პროფ. ზავრიევის სიტყვა

პროფ. ზავრიევი აგრეთვე შეეხო დაწესებულებებზე და სასწავლებლებზე წარმოებათა შეფობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მუშებთან მჭიდრო კავშირით სტუდენტები შესძლებენ საქმიო გამოცდილების მიღებას თავისი შემდგომი მუშაობისათვის.

— ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ძალები,—სთქვა მან,—ყოველივე ღონეს ვიხმართ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებების შესასრულებლად“.

პროფ. მუსხელიშვილის სიტყვა

— ასეთი მუშური აუდიტორიის წინაშე გამოსვლა,—სთქვა პროფ. მუსხელიშვილმა,—ხშირი მოვლენა არ არის ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მუშების მიერ ინსტიტუტზე შეფობის აღება ისეთი მნიშვნელობის ფაქტია, რომ არ შემიძლია გვერდი ავუხვიო მას და არაფერი არ ვთქვა.

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელები უდიდესი ენტუზიაზმით აწარმოებენ სოციალიზმის შენებას და ამით მთელი კაცობრიობისათვის სასარგებლო საქმეს ეწევიან, ტეხნიკური ინტელიგენციის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს უყოყმანოდ, ყოველივე „ნეიტრალობის“ გარეშე, დაეხმაროს პროლეტარიატს ამ საქმეში თავისი ცოდნით და გამოცდილებით.

სამწუხაროდ, სპეციალისტების რიგებში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც არამც თუ ეხმარებიან პროლეტარიატს, არამედ ეწევიან მავნებლურ მუშაობას. რასაკვირველია, სპეციალისტების ძირითადი მასა არ თანაუგრძნობს ამ მავნებლებს.

ს. პ. ი-ის და სახ. უნივერსიტეტის მასწავლებლები მზად ვართ მთელი ჩვენი ცოდნა გულწრფელად მოვახმაროთ სახ. მეურნეობის სოციალისტურად განვითარების საქმეს.

რეფორმის გზაზე შემდგარ უმაღლეს სასწავლებლებისათვის ხელის შეწყობით და დახმარებით, სტალინის სახელობის ქარხნის მუშები ს. პ. ი.-ს მეცნიერების მუშაკებთან და სტუდენტებთან ერთად შესძლებენ ახალი, საბჭოთა სპეციალისტების მიღებას და ამით სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველყოფას“.

დ.-პ. წულუკიძის სიტყვა

— „ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ამოცანა, სთქვა დოც. წულუკიძემ,—ჩვენგან მოითხოვს მთელი შესაძლებლობანი გამოვიყენოთ ახალგაზრდა პროლეტარულ სპეციალისტების მოსამზადებლად; თუ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიზნად დაისახეს ხუთწლიანი გეგმის ოთხი წლის განმავლობაში შესრულება, ჩვენ—სპეციალისტები მათთან უნდა ვიყოთ; ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაკები, სტუდენტთა მთელ მასასთან ერთად პირობას ვდებთ, რომ 4 წელიწადში გავაკეთოთ ის, რის გაკეთებასაც სწავლების ძველი სისტემა 5-6 წელიწადს ანდომებდა. უარყო რა სპეციალისტების ე. წ. „ნეიტრალობა“, ორატორმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტის და ქარხნის საინჟენერო-ტექნიკური პერსონალის უშუალო დახმარებით გამოზრდილი იქნება მდიდარი პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები და საზოგადოებრივი მუშაკები.

ინჟ. ლომიძის სიტყვა

საზ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებულ სტუდენტების (ამჟამად ინჟენერების) სახელით კონფერენციას მიესალმა ს. პ. ი.-ს ყოფ. სტუდენტი ინჟ. ლომიძე, რომელმაც მოიყვანა მაგალითი, რომ თვითმპყრობელობის დროს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოითხოვეს სათათბიროში თავისი წარმომადგენლის შეყვანა პედაგოგიურ საბჭოში, მაგრამ უარი მიიღეს.—დღეს სტუდენტებს სრული შესაძლებლობა აქვს მასწავლებლებთან ერთად თავისი ინიციატივა მოახმარონ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს. ეს შესაძლებლობანი მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ სოციალიზმის შენების საქმისათვის“.

ინჟ. თოფურიძის სიტყვა

სტალინის სახელობის ქარხნის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სახელით ინჟ. თოფურიძემ აუდიტორიას აღუთქვა, რომ სტალინის სახელობის ქარხანა ყოველწლიურად გაატარებს ს. პ. ი.-ს 77 სტუდენტ-პრაქტიკანტს.—ქარხნის ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალი, განაცხადა მან, შეეცდება სტუდენტებისა და პროფესორის დახმარებით ცხოვრებაში გაატაროს პარტიის დირექტივები“.

ამხ. მარჯანიშვილის სიტყვა

საზ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაკთა ახალგაზრდა სექციის ბიუროს წარმომადგენელმა ამხ. მარჯანიშვილმა აღნიშნა, რომ შეერთებული მუშაობის საშუალებით ორივე მხარე გაიადვილებს მათ წინაშე დასმულ ამოცანების გადაჭრას.

ამხ. ქუხალეიშვილის სიტყვა

ს.პ.ი.-ს სტუდენტთა სახელით ილაპარაკა ამხ. მ. ქუხალეიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შეფობა ხელს შეუწყობს განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკის გატარებას, ხოლო სტუდენტობა თავის ამოცანად ისახავს დაეხმაროს მუშებს ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

მისალმებებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. აროუთინოვი (პროფსაბჭო) და ვლადიმიროვი (სტალინის სახ. ქარხნის დამკვრელი ბრიგადის წარმომადგენელი), რის შემდეგ დოც. გედევანიშვილმა წაიკითხა შეფობის ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მიღებული იქნა ერთხმად.

ინჟ. გაბრიჩიძის სიტყვა

სხდომა დახურა ს.პ.ი.-ს დირექტორმა ინჟ. შ. გაბრიჩიძემ, რომელმაც გამოუცხადა რა მადლობა ინსტიტუტის პროფესორულ-პედაგოგიური პერსონალის სახელით ყველა მუშებს და აგრეთვე სტალინის სახელობის ქარხნის ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს, აღნიშნა, რომ ინსტიტუტის და ქარხნის შორის ხელშეკრულების დადება და ამით ურთიერთ ვალდებულებების დაკისრება საუკეთესო პირობაა იმისათვის, რომ ინსტიტუტის სტუდენტები მოკლებულნი არ იქნებიან პოლიტიკური ხელმძღვანელობას ნამდვილი პროლეტარების მხრიდან. თავის მხრივ სტალინის სახ. ქარხნის მუშები დაინტერესებულნი უნდა იქნენ იმაში, რომ ინსტიტუტი მიიღებს ზომებს მუშათა შორის ტეხნიკური იდეების პოპულიარიზაციისათვის და დახმარებას აღმოუჩენს გამომგონებლებსაც — სტალინის სახ. ქარხნის შეფობა ინსტიტუტზე,—სთქვა მან, სამაგალითო უნდა იყოს არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში“.

მეცნიერება და ტექნიკა

გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების აღზრდის მეთოდების შესახებ

დეფექტოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ისწავლის გონებრივად ჩამორჩენილობის, ყრუ-მუნჯობის და მეტყველობის ნაკლის მიზეზებს.

ეს მეცნიერება კარგა ხანია რაც განვითარდა ევროპაში, რუსეთში მის განვითარებას ფართო შესაძლებლობა მიეცა რევოლიუციის შემდეგ. როგორც სურდოპედაგოგიკაზე, (ყრუ-მუნჯთა შესწავლაზე), ისე მეტყველების ნაკლის შესახებ რამდენიმეჯერ იყო მოთავსებული წერილები „კომუნისტში“. ამ წერილში მინდა შევეხო გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებზე, ე. ი. ოლიგოფრენებზე.

წარმოვიდგინოთ რამდენიმე ადამიანი სხვადასხვა ფიზიკური ძალით, ზოგი მათგანი ძლიერ ღონიერია, ზოგი აღჭურვილია საშუალო ღონით, დანარჩენი კი—სუსტი.

დავუშვათ, რომ ესა თუ ეს ადამიანი თავის ფიზიკური განვითარებით შეეფერება 15 წლის ჭაბუკს, მეორე—კი ათი წლის ბავშვსაც არ შეედრება. ბავშვის ორგანიზმი თანდათანობით იზრდება და მასთან დაკავშირებით იზრდება ბავშვის ფიზიკური ძალაც. ყოველ ჭაბუკს ახასიათებს თავისებური ფიზიკური და გონებრივი განვითარება.

ფიზიკურად სუსტნი დავყოთ სამ ჯგუფად: ა) ძლიერ ჩამორჩენილება, ბ) საშუალო და გ) მცირე ჩამორჩენილები.

ასევე შეგვიძლია (გამოკვლევის შემდეგ) ადამიანთა მთელი ჯგუფი დავყოთ ინტელექტუალურად: ა) ნიჭიერი, ბ) საშუალო ნიჭის და გ) მცირე ნიჭის პატრონნი.

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როგორც გონებრივ განვითარებაზე, ისე ფიზიკურ განვითარებაზე.

ვსთქვათ, 18 წლის ყმაწვილი თავის გონებრივ განვითარებით უდრის 12 წლის მოზარდს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ყმაწვილი თავისი ყოფა-ქცევით შეეფერება 12 წლის მოზარდს. როგორც ანატომიურად და ფიზიოლოგიურად ბავშვი არ შეედრება კარლიკს თავის ტოლს ტანით, ასევე არ შეედრებიან ერთმანეთს ბავშვი და უნიჭო ახალგაზრდა თავისი ფსიქიური ცხოვრებით.

ნორმალური გონების პატრონი და გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი იგივე მანქანაა, პირველ შემთხვევაში საუკეთესო ღირსების მექანიზმის, მეორე შემთხვევაში-კი მდარე ღირსების მექანიზმის მქონე, თუმცა წყობა (სტრუქტურა) ამ მანქანებისა, შეიძლება ერთგვარი იყოს. აქ ჩვენ გონების ხარისხოვნებას ვადარებთ მექანიზმის სხვადასხვა ღირსებას. საქმე შემდეგშია: თუ მცირე ნიჭის პატრონი ჩამორჩენილია მხოლოდ გონების მხრივ, მაშინ, რასაკვირველია, ხელმძღვანელმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს მის გონებრივ განვითარებას და თითქმის ალაგი არ უნდა ჰქონდეს მის მოძრაობითი კორექციას.

პრაქტიკული მუშაობა ჩამორჩენილ ბავშვებთან გვიჩვენებს, რომ მოძრაობითი პროცესი, არამც თუ საჭიროა, არამედ მასზედ უნდა იყვეს აშენებული ყოველივე კორექცია და აღმზრდელობითი მუშაობა. აქ სჩანს, რომ ბავშვის უნიჭობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უგუნურია, თუ შემეცნებითი პროცესი სუსტი აქვს, არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი, ფსიქიურად ჩამორჩენილი, ჩამორჩენილია ყოფა-ქცევითაც. ანტროპომეტრიული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ადამიანის წონა, ტანი და გონებრივი განვითარება უნდა იყოს დაკავშირებული მის ნიჭთან, ე. ი. ადამიანის კონსტიტუციის ყველა ნაწილები უნდა ეთანხმებოდნენ ერთმანეთს.

გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს სულ სხვა მეთოდი და სხვა მიდგომა ესაჭიროება. მათ მასალა უნდა ეძლეოდეს თანდათანობით, უფრო ცხად ფარგლებში, დროც მეტია საჭირო. წინა დღით გავლილი მასალა უნდა განმეორდეს, ვიდრე ხელმძღვანელი მათ ახალ მასალას გადასცემს. ასეთ ჩამორჩენილი ბავშვების მიერ საშუალო სასწავლებლის დამთავრებაც დიდი გმირობაა. უფრო სასარგებლო იქნება, ასეთი ბავშვების პროფესიონალური ცოდნით აღჭურვა.

გონებრივად ძლიერ ჩამორჩენილები (იდიოტები) მოკლებულნი არიან ყოველივე შრომის უნარს. მათ იარაღის ხმარება არ შეუძლიათ. თუ იდიოტი გაჯავრდა, ხელში რომ ჯოხი ეჭიროს, ჯოხს დააგდებს და მტერს ხელებით მივარდება.

არამც თუ ძლიერ, არამედ საშუალო ჩამორჩენილებსაც მეხსიერება ძალიან სუსტი აქვთ. განყენებულ აზროვნებას მოკლებულნი არიან, ამიტომ მათემატიკა დიდ სიძნელეს წარმოადგენს მათთვის. მოკლებული არიან ყოველივე თვითმოქმედების უნარს და ნებისყოფას. სხვისი დავალების ასრულება შეუძლიათ; თვითონ კი ინიციატივა არა აქვთ. ამგვარი ჩამორჩენილი ბავშვების მეტყველება აგრამატიულია, როგორც სინტეტიური, ისე მორფოლოგიური კანონების მხრივ, რის შედეგი არის ხშირად ენაჩლუნგობა (აქ, რასაკვირველია, ორგანიული ნაკლი მხედველობაში არა გვაქვს). ენაჩლუნგებს უწოდებთ იმ ლოგოპათებს, რომელნიც ბგერებს სცვლიან, ე. ი. ერთი ბგერის ალაგას მეორეს ხმარობენ, ან და რომელიმე ბგერას სულ უშვებენ. უფრო ხშირად ენაჩლუნგები სწორად ვერ წარმოსთქვამენ სიტყვებს, სადაც გვხდება ორი თანხმოვანი ბგერა.

ძლიერ ჩამორჩენილი ბავშვები სიზარმაცეს არიან მიჩვეული, არ უყვართ შრომა; ერთადერთ სიხარულს და სიამოვნებას მათთვის წარმოადგენს ჭამა.

ამერიკაში მოახდინეს ცდა ნორმალურ და არანორმალურ ბავშვებზე: გადაარჩიეს ორი ჯგუფი ბავშვებისა. ერთი ჯგუფი—ნორმალური ბავშვები 9 წლის ასაკისა, მეორე 10—19 წ. ჩამორჩენილები. ასეთი საკითხი იყო დასმული: შეუძლიათ თუ არა ფსიქიურად თანაბარ განვითარებულ სხვადასხვა ასაკში მყოფ ბავშვებს, ერთი და იგივე შრომის გაწევა.

საცდელად მისცეს სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები, რომლებიც უნდა გადაერჩიათ ხუთ ჯგუფად. გამოირკვა, რომ მიუხედავად მათი წლოვანების განსხვავებისა, დავალება ორივე ჯგუფმა შეასრულა თანაბრად. აქედან ნათელია, თუ რა შეცდომას უშვებენ ის პედაგოგები, რომლებიც ჯგუფებს აწყობენ წლოვანების მიხედვით. ამ წესით გადარჩეული ჯგუფები არ არის ნორმალური, რადგან რეალური წლოვანება არ ეთანხმება ინტელექტუალურ წლოვანებას.

ამიტომ ვიდრე შევუდგებოდეთ გეგმის გამომუშავებას და ბავშვის აღზრდას, უნდა ვიცოდეთ მისი ინტელექტის კოეფიციენტი.

ზემო თქმულიდან სჩანს, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ბავშვთა გადარჩევა ინტელექტის და ნიჭის მიხედვით, რაც შეეხება იმ ბავშვებს, რომლებიც ძლიერ ჩამორჩენილი არიან გონებრივად, ისინი უნდა მოვათავსოთ დამხმარე სასწავლებლებში და შემდეგში შეიძლება ისინი დავაბრუნოთ ნორმალურ სასწავლებელში.

ამგვარი გადარჩევა ნიჭიერ ბავშვებს წასწევს წინ, მისცემს მათ თავისუფალ წინსვლის საშუალებას და მეორე მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს მაქსიმალურად ნაყოფიერი მეთოდები გამოვიყენოთ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა გამოსასწორებლად.

ანასტასია კაიშაური.

სამხედრო ტექნიკის ნამდვილი და მოჩვენებითი სიძლიერე

ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის მთელ რიგ მიზეზების გამო, ძნელია სწორი წარმოდგენის შექმნა სამხედრო ტექნიკის მდგომარეობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სამხედრო ტექნიკის მიღწევები საიდუმლოების ბურუსით არის მოცული. ომის შემდეგ წლებში საომარი ტექნიკის მიღწევების საიდუმლოთ შენახვის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელიც ეძლევა „ტექნიკური მოულოდნელობის ეფექტს“, ე. ი. მოწინააღმდეგის „გაოცებას“ მისთვის უცნობ ტექნიკური საშუალების გამოყენებით. გარდა ამისა, ბურჟუაზიული პრესა (ზოგჯერ ჩვენი გაზეთებიც) აწვდის მკითხველს გადამახინჯებულ, გადაჭარბებულ ცნობებს სამხედრო ტექნიკის უახლოესი მიღწევების შესახებ. თუ კაპიტალისტური ქვეყნების პრესა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს სენსაციის მიზნებით, ჩვენს ლიტერატურაში ამგვარი გადაჭარბებული ცნობების გამოქვეყნება აიხსნება ზოგ გაზეთების მუშაკთა მოუმზადებლობით და გაურკვევლობით სამხედრო ტექნიკის საკითხებში.

ზიანი, რომელიც ამგვარ „ინფორმაციას“ მოაქვს, შესაფერად უნდა შევაფასოთ პირველ ყოვლისა, იგი ქმნის ყალბ, გადაჭარბებულ წარმოდგენას ჩვენ შესაძლებელ მოწინააღმდეგეთა ტექნიკური საშუალებების შესახებ და ამრიგად ხელს უწყობს ბურჟუაზიულ კალმოსნებს, რომლებიც ცდილობენ „დაგვაშინონ“ ჩვენ. ამასთან ერთად, ამგვარი ყალბი ინფორმაცია მკითხველის ყურადღებას აშორებს სამხედრო ტექნიკის ნამდვილი მიღწევების საკითხებს. ამ ნამდვილი მიღწევების ცოდნა კი საჭიროა ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის.

სამხედრო ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი განვითარების ტენდენციაზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი დახავსებული შეხედულება, რომელიც ტექნიკურ პროცესს მაწერდა ცალკე გამომგონებლებს.

საომარ საშუალებათა ტექნიკის დარგში ისე, როგორც სამხედრო საქმის სხვა დარგებში, ხდება შეუჩერებელი გადასვლა „შთაგონებიდან მეთოდზე“. ახალ სამხედრო ტექნიკურ საშუალებათა შექმნა და ძველის გაუმჯობესება წარმოადგენს მრავალრიცხოვან კოლექტივების: სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტების, ქიმიურ ლაბორატორიების და სხვ. დაუღალავ, ყოველდღიური და სისტემატიური მუშაობის შედეგს.

უკანასკნელ ხანებში სამხედრო-ტექნიკურ მუშაობის სიმძიმის ცენტრი უცხოეთში გადააქვთ ახალი კონსტრუქციების პრაქტიკულად განხორციელებაზე. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სამხედრო ტექნიკის ყველა მნიშვნელოვანი მიღწევები 1914—18 წ.წ. ომის პერიოდში—და შემდეგ, თავისი იდეით არაფერს ახალს არ წარმოადგენს: მომწამვლელი ნივთიერებანი, აეროპლანები, ტანკები, შორსმსროლელი ზარბაზნები, რადიო-ყუმბარები, „სიკვდილის სხივები“ და სხვ.,—ყველაფერი ეს „ძველი ამბავია“. ახალია მხოლოდ მათი ამგვარად განხორციელება პრაქტიკულად, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათი გამოყენება ბრძოლის ველზე და რეალური შედეგების მიღება.

სამხედრო გამოგონებათა პრაქტიკულად განხორციელებისა და გაუმჯობესებისათვის საჭიროა მძლავრი ტექნიკურ-ეკონომიური ბაზა. თუ შესაფერად არ არის განვითარებული ლითონის, ქიმიური, ელექტრო-ტექნიკური და საავიაციო მრეწველობა, ისე შეუძლებელია სამხედრო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენება.

სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი ტენდენციების საგულისხმო მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ახალი ჯავშნოსანი „ერზაც პრეისენ“. ვერსალის ხელშეკრულებით შეზღუდულმა გერმანელებმა შესძლეს პატარა ტონაჟის მქონე, მაგრამ იმდენად ძლიერ სამხედრო გემის აგება, რომ სხვა სახელმწიფოების თანაბარი ტონაჟის ყველა გემებმა მასთან შეხვედრის დროს გაქცევით უნდა უშველონ თავს ან დაღუპვა მოელით.

როგორ მოახერხა გერმანიამ ამგვარი შედეგის მიღწევა? რაიმე „ჯადოსნური“ აღმოჩენით? სრულიადაც არა. ამგვარი შესანიშნავი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ ამ ჯავშნოსანის აგების დროს გერმანიამ გამოიყენა სამოქალაქო ტექნიკის ყველა უკანასკნელი მიღწევები (ლითონის დამუშავების ახალი საშუალებები, ცალკე ნაწილების შედუღების სისტემა და სხვ.).

აქედან უნდა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ბაზის ამაღლება, ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება—წარმოადგენს წითელი არმიის შემდგომი განმტკიცებისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების მთავარ პირობას.

ტ. ზ.

როგორია ატომის სტრუქტურა

თეორეტიული ფიზიკის ყველაზე უმნიშვნელოვანეს მიღწევას უკანასკნელი წლის განმავლობაში წარმოადგენს ახალგაზრდა ამერიკელ მეცნიერის—ა. დემპსტერის გამოკვლევა ატომის აგებულობის შესახებ, რისთვისაც მან სპეციალური ჯილდო მიიღო. დემპსტერის გამოკვლევა ქვას ქვაზე არ სტოვებს ნივთიერების აგებულობის თეორიიდან (იმ სახით, როგორიც ამ თეორიამ მიიღო მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის). ნილს ბორის, რეზერფორდისა და სხვ. შრომებით შემუშავებულ იქნა ატომის აგებულობის მოდელი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უდაოთ ითვლებოდა. ამ მოდელის მიხედვით, ატომი შესდგება ცენტრალური ბირთვიდან,—პროტონიდან, რომელიც დადებითად არის დატენილი და ამ ბირთვის გარშემო, როგორც პლანეტები მზის გარშემო, თავიანთ ორბიტებზე ტრიალებენ უარყოფითად დატენილი ნაწილაკები-ელექტრონები. შემდეგში ამ ნათელ სქემაში შეტანილ იქნა შესწორება, რომელიც ვერ ეგუებოდა კლასიკურ ფიზიკაზე აგებულ აზროვნებას. აღმოჩნდა, რომ ელექტრონები, რომლებსაც აქვთ მატერიალური ნაწილაკების ყველა თვისებები, ამავე დროს წარმოადგენენ ერთგვარ ტალღისებურ მოძრაობას და, მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს მატერიასაც წარმოადგენენ და ტალღებსაც. ატომის აგებულობის მთელი სქემიდან ურყევად დარჩენილი იყო მხოლოდ ცნება პროტონისა, როგორც მატერიის ელემენტარული ნაწილაკის. ახლა ჯერი მიდგა მაზედაც, დემპსტერმა უდავოდ დაამტკიცა, რომ პროტონი მრავალმხრივ ტალღისებურ მოძრაობას წააგავს, და, ელექტრონების მსგავსად, ერთსა და იმავე დროს მატერიასაც წარმოადგენს და ტალღასაც. როგორ იქნას შეთანხმებული ნივთიერების ელემენტარული ნაწილაკების ეს მოწინააღმდეგე თვისებები,—ეს, დემპსტერის სიტყვით, არის ყველაზე უძნელესი ამოცანა, რომელიც თანამედროვე ფიზიკის წინაშე დგას.

რუს მეცნიერ ალპატოვის აღმოჩენა

ევოლიუციონური თეორიის სისწორის ახალი საბუთი

რუსმა მეცნიერმა ალპატოვმა, რომელიც ამჟამად მუშაობს ბალტიმორაში (შეერთ. შტატები) ბიოლოგიურ გამოკვლევათა ინსტიტუტში გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც მოჰყავს ახალი საბუთები, შეძენილი ნიშნების მემკვიდრეობით გადაცემის დასამტკიცებლად. ეს საკითხი დიდი ხანია წარმოადგენს მკაცრი ბრძოლის საგანს ერთის მხრივ „ვიტალისტებსა“ და სხვა არამეცნიერულ, იდეალისტურ მოძღვრებათა წარმომადგენლებსა და მეორე მხრივ მატერიალისტური ევოლიუციონური თეორიის დამცველებს შორის.

ალპატოვმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ფუტკრების შესწავლას ევროპიულ რუსეთში, შენიშნა, რომ ფუტკრების ხორთუმის სიგრძე იზრდება სამხრეთიდან მიახლოების მიხედვით. ყველაზე გრძელი ხორთუმი აღმოაჩნდა ჩრდილოეთ კავკასიის ფუტკარს. ამ მოვლენის ახსნა ჩქარა მოხერხდა. აღმოჩნდა, რომ სამხრეთ-რუსეთი და განსაკუთრებით ჩრდ. კავკასია მდიდარია წითელი სამყურათი, რომლის ყვავილს გრძელი ჯამი აქვს და ამიტომ მისი თაფლი მიუწვდომელია ჩვეულებრივ ხორთუმის მქონე ფუტკრისათვის. აქედან მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ ფუტკრებმა არსებობისათვის ბრძოლის პროცესში, რამდენიმე თაობის განმავლობაში, განავითარეს თავიანთი ხორთუმი, დააგრძელეს იგი. ეს თავისებურობა შეინარჩუნა ფუტკრის შემდეგმა თაობებმა და დღესაც ახასიათებს სამხრეთ-რუსეთისა და ჩრდ. კავკასიის ფუტკარს.

აეროპლანის ავტომატიურად მართვა

შეერთ. შტატების სამხედრო ავიაციაში მოახდინეს წარმატებით დამთავრებული ცდები აეროპლანის ავტომატიურად მართვისა. აპარატი, რომელიც სწყვეტს ამ ამოცანას, წარმოადგენს ზუსტ ხელსაწყოების დამამზადებელი ცნობილი ფირმის „სპერრი ჯაიროსკოპ კომპანი“-ს თხუთმეტი წლის მუშაობის და ცდების შედეგს. აპარატის საფუძველს წარმოადგენს ორი ჟიროსკოპი არაჩვეულებრივი სისწრაფით (15.000 მობრუნება წუთში) მბრუნავი დისკოებით. ჟიროსკოპებს ახასიათებს სივრცეში თავისი მდებარეობის უცვლელად შენარჩუნების თვისება. ეს სწორედ ეს თვისება იქნა გამოყენებული აეროპლან. ავტომატიურად მართვისათვის. ერთ-ერთი დისკო დაკავშირებულია ელერონთან და სიმაღლის საჭესთან, და, მაშასადამე, აეროპლანი მიჰყავს ჰორიზონტალური მიმართულებით; მეორე დისკო კი დაკავშირებულია მიმართულების საჭესთან და მართავს ფრენის კურსს.

ცდების დროს ავტომატიურად მმართველი აპარატი დადგმული იყო ფორდის სამმოტორიან აეროპლანზე და სამი საათის განმავლობაში მიჰყავდა იგი წინასწარ შემუშავებული მიმართულებით, იმ დროს, როცა მფრინავი იჯდა მგზავრებთან ერთად და მათთან საუბარში იყო გართული. აპარატი ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას. აფრენის, დაშვების, გრიგალის ამოვარდნისა და სხვ. შემთხვევებში მფრინავი იძულებულია თვითონ მართოს აეროპლანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აპარატს ახლანდელი სახითაც კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავიაციისათვის. იგი ანთავისუფლებს მფრინავს თუ უძნელეს არა, ყოველ შემთხვევაში ყველაზე მომქანცველ მოვალეობიდან—სწორი კურსით წაიყვანოს აეროპლანი შორ მანძილზე გაფრენის დროს. მაშასადამე, ახალ აპარატს მეტად ფართო ასპარეზი აქვს საფოსტო და სამხედრო ავიაციაში და აგრეთვე საჰაერო ფოტოგრაფიაში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ფრენის სიმაღლის და მიმართულების სისწორით დაცვას.

ახალი საზეთავი ნივთიერება

ყველასათვის ცნობილია, თუ რა როლს თამაშობს გაზეთვა თანამედროვე სწრაფმავალ მანქანების მუშაობაში. საკმაოა საზეთავ სისტემას მცირეოდენი დეფექტი ჰქონდეს, რომ მანქანა ჩქარა გაფუჭდეს. ზეთი იკავებს ადგილს მანქანის ნაწილებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეხახუნებიან და იცავს მათ ჩქარა გაცვეთისაგან. საკმაოა ზეთის თხელი ფენა (სისქით მილიმეტრის რამდენიმე მეათედი ნაწილი) სადმე „გაწყდეს“, რომ ლითონის ნაწილები ერთმანეთს მჭიდროთ შეეხონ და გაიცვითონ. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რა უდიდესი ინტერესით ხვდება ტექნიკა გაზეთვის ყოველგვარ გაუმჯობესებას. ამგვარ გაუმჯობესებას წარმოადგენს საზეთავი ნივთიერება, რომელიც ერთმა ამერიკელმა ინჟენერმა დაამზადა. ეს არის ხსნარი თუთიის სიმჟავისა მინერალურ ზეთში.

ახალი საზეთავი ნივთიერების მოქმედება ნაწილობრივ წააგავს გალვანოსტეგიას (ლითონების დაფარვას მეორე ლითონის ფენით). თუთიის სიმჟავე, ზეთში გახსნილი, ქიმიურ რეაქციაში შედის მანქანის ფოლადის ნაწილებთან, ფარავს მათ ქიმიურად წმინდა თუთიის უწვრილესი ფენით (ერთი-ორი მესამედი მილიმეტრის სისქე ფენით). ამ ფენას სამგვარი მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა იგი ლითონს იცავს დაჟანგვისაგან. შემდეგ, იგი ავტომატიურად ავსებს ზედაპირების ხახუნით გაცვეთის გამო გამოწვეულ დანაკლისს. მესამე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზეთის ფენის დასაცავად მომუშავე ნაწილებს შორის. ახალ საზეთავი ნივთიერებით ფართოთ სარგებლობენ სიჩქარეთა კოლოფებში და ავტომობილების დიფერენციალებში.

სათბობ მასალისა და ენერგიის წყაროები

ამერიკის ნაციონალურმა სამრეწველო ბიურომ (საგამოკვლევო ორგანიზაცია არის) გამოაქვეყნა ცნობები სხვადასხვა სახის სათბობ მასალათა და სამოძრავებელი ენერგიის გამოყენების და წარმოების შესახებ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში (1913-1928 წ.).

ამ 15 წლის განმავლობაში ყველაზე უფრო გაიზარდა ნავთის წარმოება (243 პროც.). ჰიდრო-ელექტრონული ენერგიის წარმოება გაიზარდა 162 პროცენტით, ნატურალური გაზისა — 133 პროცენტით

აბსოლუტურ ციფრებში შედეგები ასეთია: ნავთის ამოღება 383.000.000 ბარელიდან (ბარელი უდრის 136 კილოგრამს ანუ 8 ნახ. ფუთს). გაიზარდა 1.323.000.000 ბარელამდე; ნატურალური გაზის დამზადება — 600 მილიარდ კუბიკური ფუტიდან 1.600 მილიარდ კუბიკურ ფუტამდე; ჰიდრო-ელექტრონული ენერგიის მოპოება 14 ნახ. მილიონიდან 38 მილიონ ცხენის ძალამდე.

წინააღმდეგ ენერგიის ამ სახეებისა ნახშირის მოპოება გაიზარდა მხოლოდ 5 პროცენტით (1.260 მილიონ ტონიდან 1.320 მილიონ ტონამდე).

ნავთი თანდათან სდევნის ნახშირს, წყლისა და ხმელეთის ტრანსპორტში. გემების უფრო და უფრო მეტი რაოდენობა გადადის სათბობზე, ხმელეთზე კი ბენზინის მომხმარებელი ავტომობილები და ავტობუსები სცვლიან რკინის-გზას, თუ მიმოსვლა ახლო მანძილზე სწარმოებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნავთის მოხმარება, დაახლოებით 150 მილიონ ტონა ნახშირის მოხმარებას უდრის. ნავთი, როგორც სათბობი მასალა, მეტოქეობას უწევს ნახშირს მხოლოდ შეერთებულ შტატებში, სადაც ნავთის მოხმარება უდრის ნავთის მთელი მსოფლიოს პროდუქციის 60 პროც.-ს. შეერთებული შტატების მარტო სამი რაიონი (ჩრდ. ატლანტიკის, წყნარ-ოკეანის და ცენტრალური) ყოველწლიურად ხარჯავს 100 მილიონ ბარელ ნავთს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც მთელი ევროპის (100 მილიონი ბარელი ნავთიდან, რომელსაც ევროპა ხარჯავს, ნახევარს ამზადებს და ხარჯავს საბჭოთა კავშირი). აზიის წლიური მოთხოვნილება ნავთზე შეადგენს მხოლოდ 40 მილიონ ბარელს, ლათინურ ამერიკისა კი — 75 მილიონს.

ნახშირს სდევნის აგრეთვე ჰიდრო-ელექტრო-ენერგია. მაგრამ ნახშირი მაინც დარჩა დღემდე ენერგიის მთავარ წყაროდ. ნახშირის მოპოების მცირე ზრდა (5 პროცენტით) აიხსნება არა მარტო იმით, რომ მის ადგილს იკავებს ნავთი და ელექტრო-ენერგია, არამედ იმითაც, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა ნახშირის გამოყენების მეთოდი. თითეული ტონა ნახშირი ეხლა მეტ სარგებლობას იძლევა (როგორც ენერგიის მოცემის, ისე მისგან სხვადასხვა პროდუქტების მიღების მხრივ), ვიდრე წინათ.

ვერსალის ზავის შემდეგ ევროპის ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა ნახშირის ამოღების საქმეში. გერმანიამ, რომელსაც საფრანგეთმა და პოლონეთმა წაართვეს მისი უმდიდრესი ნახშირის მაღაროები, მთავარი ყურადღება მიაპყრო მდარე ხარისხოვან ნახშირებს და ძლიერ განავითარა ნახშირიდან ნავთის და მთელ რიგ სხვა პროდუქტების მიღების საქმე.

ატმოსფერის ზედაფენების შესწავლა

მეტეოროლოგიის (მეცნიერება ამინდის შესახებ) საგამოკვლევო საშუალებები გამდიდრდა ახალი ხელსაწყოთი. ეს არის სფერო-პილოტი ატმოსფერის ზედაფენების შესასწავლად. ასეთი სფერო წარმოადგენს ბურთისებურ რეზინის გარსს, გავსებულს წყალბადით ან სხვა რაიმე მსუბუქი გაზით. სფეროზე დამაგრებულია ბარომეტრი, თერმომეტრი და სხვა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები და აგრეთვე პატარა რადიო-დადგმულობა, რომელიც დროის განსაზღვრულ შუალედში გზავნის სიგნალებს ატმოსფერული წნევის, ტემპერატურის და სხვ. მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც მეტეოროლოგებს აინტერესებს. ამ ნიშნებს დედამიწაზე იღებს მიმღები რადიო სადგური. ამრიგად მეცნიერებს საშუალება მიეცათ ადგილიდან გაუძრავად ადევნონ თვალყური ატმოსფერის ზედაფენების მდგომარეობას, რასაც დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

მთხოვნელების მიღების დღე ამხ. ფ. მახარაძესთან

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე კერძო მთხოვნელებს ღებულობს ყოველი თვის 3, 8, 13, 18, 23 და 28 რიცხვებში.

ლენინის სახელობის დღიური

უმწეო ბავშვთა დასახმარებლად, 21 აპრილიდან საქართველოში ჩატარებული იქნება ლენინის სახელობის 3 დღიური.

ფაბრიკა-სამზარეულო

გუშინ, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა სპეციალური კომისიის დასკვნა თბილისში ფაბრიკა-სამზარეულოს აგების შესახებ. საბოლოოდ გადაწყდა, ფაბრიკა-სამზარეულო აგებულ იქნას ტრანსპორტის მუშათა და ავტო-მოტო კლუბების ტერიტორიაზე (პლეხანოვის პრ.).

პურის დამამზადებელთა მომზადება

თბილისში გაიხსნა პურის დამამზადებელთა მოსამზადებელი კურსები.

აბრეშუმის თესლი უცხოეთში

შარშან საქართველოდან უცხოეთში პირველად გადატანილი იქნა ადგილობრივ დამზადებული თესლი.

„საქ. აბრეშუმში" მიღებული ცნობებით, საქ. აბრეშუმის თესლმა პირველი ადგილი დაიკავა უცხოეთში დამზადებულ აბრეშუმის პირველ ხარისხოვან თესლებს შორის.

„საქ. აბრეშუმმა" გადაწყვიტა წელს უცხოეთში საექსპორტოთ გაიტანოს აქაური აბრეშუმის თესლი. საქართველოს მეაბრეშუმეობისათვის საჭირო თესლეულობა უკანასკნელ წლებში თითქმის სავსებით მზადდებოდა საქართველოშივე. წინეთ თესლი შემოჰქონდათ უცხოეთიდან, უმთავრესად იტალიიდან.

ფინმუშაკების გადამზადება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატთან მოეწყო ფინმუშაკების გადასამზადებელი 6 თვიანი კურსები, რომელზედაც მსმენელებად მოწვეულნი არიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფინორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. კურსების ლექტორებად მოწვეული არიან როგორც სამეცნიერო მუშაობაში, ისე პრაქტიკულად მომუშავე გამოჩენილი ფინანსისტები. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო 9 აპრილს. კურსებთან მოწყობილია მსმენელების საერთო საცხოვრებელი.

ახალი კადრები

◆ **ავტოტექნიკოსების გადასამზადებელი** კურსები 1 თვეში გაიხსნება. გადამზადებული იქნება 80 კაცი.

◆ **ათისთავები.** შრ. კომისარიატი ამ დღეებში ხსნის ათისთავების მოსამზადებელ კურსებს.

◆ **მეხილე-მებოსტნეების მომზადება.** მიწსახკომი აგვისტოში აწყობს მეხილე-მებოსტნეთა მოსამზადებელ 2 კვირიან კურსებს. სულ მომზადებული იქნება 240 კაცი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საექიმო პუნქტები.** ჯანსახკომი შეუდგა საბჭოთა მეურნეობებში პირველ საექიმო დახმარების პუნქტების მოწყობას.

◆ **დახმარება.** ჯანსახკომის ცნობით სახ. კომისართა საბჭომ სოფ. ხორის (სენაკის მაზრა) საავადმყოფოს დასამთავრებლად გადასდო 1.000 მანეთი.

შრ. კომისარიატში

◆ **ტყის მუშათა შეკრება.** სატყ. მრეწველობაში მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ტყის მუშათა შესარჩევად შრ. კომისარიატმა სატყეო რაიონებში გაგზავნა 6 ინსტრუქტორი.

◆ **არათავიანთ სპეციალობაზე მომუშავე** სპეციალისტები, შრ. კომისარიატის დადგენილებით გადაყვანილი იქნებიან შესაფერ სამუშაოზე.

სხვადასხვა

◆ **ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა".** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „კულტურული აღმშენებლობა"-ს მორიგი მე-5 ნომერი.

◆ **სამხატვრო მუშაობის შემოწმება.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შეუდგა მუშათა კლუბებში სამხატვრო მუშაობის შემოწმებას მისი გაუმჯობესების მიზნით.

◆ **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში** დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება სამეც. აგრ. საზ. გაფართოებული პლენუმი. მოხსენებას გააკეთებს ბ. მესხი საზაფხულო მუშაობის შესახებ წრეების გამგეობების და სექციების ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა. აქტივის დასწრება სასურველია.

◆ **კონფერენცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე მოზარდ-მაყურებელთა სახ. თეატრში შესდგება კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილი იქნება 1929—30 წლის სეზონის მუშაობის ანგარიში. შესვლა თავისუფალია.

გავასწოროთ წარსული წლის შეცდომები

უზრუნველვყოთ წითელი არმია საუკეთესო მეთაურებით

წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ, ერთგულ, მომზადებულ ახალგაზრდობის წარმომადგენლობის კადრის მომზადება. ჯერ კიდევ პარტიის მე-8-ე ყრილობამ აღნიშნა, რომ „აუცილებელი ორგანიზაციული კავშირი და ერთგულება შეიძლება მიეცეს ახალგაზრდა რევოლუციონურ არმიას მხოლოდ იმ მეთაურთა დახმარებით, რომელიც შემდგარი იქნება შეგნებულ მუშებისა და გლეხების წრიდან". აი ეს ამოცანა,—მით უფრო დღეს, მთელი თავისი სერიოზულობით სდგას პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ამის ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიებაა ის კამპანია, რომელიც მიმდინარეობს მთელ საბჭოთა კავშირში და მასთან საქართველოშიაც.

ამ კამპანიის კონკრეტული მიზანია შერჩევა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნ კანდიდატების, გაძლიერდეს პროლეტარული, მომზადებული ახალგაზრდობის რიცხვი სამხედრო სასწავლებლებში და მით უზრუნველყოფილ იქნას წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის შექმნა მუშებისა და გლეხების წრიდან. უნდა ითქვას, რომ გასულ წელს საქართველოში სამხედრო სასწავლებლებში შეკრების საქმე ძლიერ სუსტად ჩატარდა. შემკრები კომისიები ადგილებზე ჩამოყალიბებულ იქნა დაგვიანებით. ხელმძღვანელობა იყო სუსტი და არა სისტემატიური. მრავალ ადგილებში არ იყო ჩამოყალიბებული მოსამზადებელი კურსები. მიღებული პირები სამხედრო სასწავლებლებში შესვლის პირობებს ვერ აკმაყოფილებდნენ სოციალური მდგომარეობისა, ჯანმრთელობისა და სხვ. მხრივ. მასთან ადგილობრივი კომისიები მრავალ შემთხვევებში გზავნიდნენ სასწავლებლებში შემთხვევითი პირებს და ყველა მათ, რომელნიც კი სურვილს გამოსთქვამდნენ ასეთ სასწავლებლებში წასვლაზე. ამ მეტად სერიოზულ ამოცანისადმი ასეთ სასხვათაშორისო მოპყრობის გამო საქართველოს ცაკთან არსებული რესპუბლიკანურ კომისიამ გასულ წელს შესძლო გაეგზავნა სასწავლებლებში მხოლოდ 15 პროც.

უდავოა, რომ ასეთი მოვლენა დაუშვებელია და მისი განმეორება წელს პირდაპირ მიუტევებელი დანაშაული იქნება.

ადგილობრივ ორგანიზაციებს მართებთ მეტი სერიოზულობით მოეკიდონ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას, რომ წელს სამხედრო სკოლებს მივსცეთ ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდები—მომავალი მეთაურები—მუშები, კოლმეურნეობათა წევრები, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების წრიდან, რომელთაც ექნებათ საზოგადოებრივი, პოლიტიკური გამოცდილება და საერთო მომზადება.

ამ მიზნით ადგილობრივი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ პოლიტიკურად და საერთო განათლებით ჩამორჩენილ მუშების, მოჯამაგირეების და კოლმეურნეობათა ღარიბ წევრების გადამზადებას სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გასაგზავნ კანდიდატების სოც. წარმოშობისა და მდგომარეობის მხრივ შერჩევას და ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს რაიმე შეცდომის დაშვება ამ შემთხვევაში, როგორც, მაგ., ამას ჰქონდა ადგილი გასულ წელს. (ყოფ. პოლკოვნიკის შვილისა და სხვა სოციალურად მიუღებელი ელემენტების გაგზავნა).

წელს უკვე ყოველგვარი შეცდომა უნდა თავიდან იქნეს აცილებული, რადგან შემკრები კომისიების მიერ პროფორგანიზაციების, ავიაქიმის და კომკავშირის ფართო მასის ამ კამპანიაში ჩაბმით—უზრუნველყოფილი იქნება საკავშირო კომპარტიის დირექტივა — სამხედრო სასწავლებლებში სამოცი პროცენტით საწარმოო მუშების და 40 პროც. მოჯამაგირეების და ღარიბ ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ.

დ. ზიფერტი.

მოვსპოთ დავალიანება ბინის ქირით

გაზეთებში მკითხველები ნახავდნენ იმ პირთა სიას, რომლებმაც თავი „ისახელეს" ბინის ქირის გადაუხდელობით. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელსაც ბინის ქირა წლობით და ორი წლობით არ აქვთ გადახდილი. საერთოდ დავალიანება მრავალ ათეულ ათას მანეთს აღწევს. ეს იმ დროს, როდესაც საბინაო ამხანაგობების წარმომადგენლები ჩვენი ბანკების კარებთან არიან ატუზულნი სესხების მისაღებად. ამ სესხებში სარგებელი უნდა აძლიონ და იხადონ კიდეც. დავალიანებულ პირთა შორის არიან, რასაკვირველია, კერძო, არამშრომელი ელემენტებიც.

რას ფიქრობს ეს ხალხი? ნუ თუ მათ არ აქვთ იმის შეგნება, რომ ამით ისინი ხელს უწყობენ იმავე სახლების ნგრევას და გაპარტახებას, რომლებშიაც ჯერ-ჯერობით თავს კარგად გრძნობენ.

არ შეიძლება აქ არ შევჩერდეთ საბინაო სასამართლოების სისუსტეზე; საბინაო სასამართლომ უფრო მკაცრი ზომა უნდა მიიღოს ასეთ პირთა წინააღმდეგ და, რაც მთავარია, მან ბოლო უნდა მოუღოს საქმის გაჭიანურებას. ხშირად ექვსი თვე და მეტიც აგვიანდება საქმის გარჩევას. ბოლოს გაირჩევა საქმე. აღმასრულებელი ფურცელი ეძლევა აღმასრულებელს. ეს უკანასკნელი კი თვეობით ატარებს ამ ფურცელს პორტფელში. ამ ხნის განმავლობაში მობინადრე ყურს არ იბერტყავს. ძველ დავალიანებას ახალიც ემატება. აღმასრულებელი რამდენიმე ხნის შემდეგ, შეუდგება ოჯახის ნივთების აღწერას. ფურცლის თანახმად ხდება მხოლოდ იმ თანხის განაღდება, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიუსაჯა სასამართლომ. საჩივრის აძვრის დღიდან განაჩენის სისრულეში მოყვანამდე მობინადრეზე კიდევ ახალი დავალიანება რჩება. აღნიშნულ თვეების შესახებ ძიება ხელმეორედ უნდა აღიძრას და ასე დაუსრულებელ დავაში მიდის დრო.

ჩვენის აზრით აუცილებლად უნდა შეიცვალოს ღონისძიებები დავალიანების განაღდებლად. სასამართლოებმა სასწრაფოდ უნდა გაარჩიონ დავალიანების საქმეები.

კარგი იქნება, რომ მისჯილი თანხა მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირიდან ერიცხებოდეს. ამით ჩვენ შევძლებთ ბინის ქირის დავალიანების მოსპობას. ეს კი საკმარისი იქნება სახლების შესაკეთებლად და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

ნიკო მკერვალი.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ამერიკელი სპეციალისტები სურამის უღელტეხილზე წარმოებულ სამუშაოების შესახებ

სამუშაოების დამთავრება დაწესებულ დროისათვის სავსებით შესაძლებელია. — რომ შესაძლებელი გახდეს ელექტროწევაზე გადასვლა სამუშაოების დამთავრებასთან ერთად, ამისათვის საჭიროა ელექტრომავლებზე დაკვეთების გაცემის დაჩქარება და სანარდო კადრების მომზადება, — ელექტრომავლების შემოტანა ბათომის ნავთსადგურით შესაძლებელია.

ამერიკული ფირმის „ჯენერალ ელექტრიკ"-ს ინჟინრებმა მოქ. ტრანსტომმა და ფორტენბაუმ, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე კონსულტაციისათვის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხების გარშემო, უკვე დაამთავრეს თავისი მუშაობა და დაბრუნდნენ თბილისში.

უცხოელ სპეციალისტებმა ჩვენ სპეციალისტებთან ერთად შემოიარეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უბანი თბილისიდან,—ბათომამდე. განსაკუთრებულის ყურადღებით ისინი მოეპყრნენ უბანს სტალინისიდან—ზესტაფონამდე, სადაც დეტალურად გაეცვნენ იქ წარმოებულ საელექტროფიკაციო სამუშაოებს. სტალინისში, მოლითში და ზესტაფონში დაათვალიერეს ელექტროქვესადგურების ადგილები და ელენერგიის გადამცემი ხაზები.

თბილისში დაბრუნებისას მოქ. ტრანსტომმა და ფორტენბაუმ ჩვენს თანამშრომელს გაუზიარეს სურამის უღელტეხილის დათვალიერებიდან მიღებული შთაბეჭდილებები.

— ჩვენის აზრით,—სთქვეს მათ,—სურამის უღელტეხილზე ელექტროფიკაციის გატარება განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს და ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი უსათუოდ მიზანშეწონილი და სწორია. მატარებლების ელექტროენერგიაზე გადაყვანა ამ უბანზე ამიერ-კავკასიის რკინის გზას უდიდეს ეკონომიას მისცემს საექსპლოატაციო დარგში. საუღელტეხილო უბანზე ელექტროწევის შემოღებით მატარებლების სისწრაფე ძალზე გადიდდება; შესაძლებელი გახდება აგრეთვე მატარებლების წონის გადიდებაც.

ჩვენ მეტად კმაყოფილი დავრჩით სამუშაოების დათვალიერებით. განსაკუთრებით გაგვაოცა მუშაობის პირდაპირ ამერიკულმა ტემპმა, რასაც ჩვენ არ მოველოდით. გადამცემი ხაზის ანძები უკვე დადგმულია და შემდგომი მუშაობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს; თანაც აღსანიშნავი ისაა, რომ სამუშაოები ტეხნიკური თვალსაზრისით სრულდება სწორად და რაციონალურად. ქვესადგურებისათვის შენობები თუმცა ჯერ აგებული არ არის, მაგრამ ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამ მხრივ სამუშაოები შესრულებული იქნება ისევე რაციონალურად, როგორც აქამდე. ამაში გვარწმუნებენ ის ახალი შენობები, რომლებიც აგებულია მუშებისათვის საცხოვრებლად. თუ ქვესადგურების შენობებიც ასევე იქნა აგებული, ეს სავსებით საკმარისი იქნება მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

მუშაობა თქვენი სპეციალისტებისათვის კონსულტაციის მიცემის მხრივ იმაში გამოიხატა, რომ ჩვენ მათ მივეცით ზოგიერთი განმარტებები საკონტაქტო ხაზის გაბმის და ქვესადგურების აგება-მოწყობასთან დაკავშირებით. დანარჩენ საკითხების გარშემო კონსულტაციის მიცემა საჭირო არ ყოფილა, რადგან ადგილობრივი მუშაკები მათში საუცხოვოდ ერკვევიან, უმეტესი ნაწილი ამ საკითხებისა მათ უკვე გარკვეული აქვთ და ჩვენს დახმარებას არ საჭიროებენ. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციაზე მომუშავე სპეციალისტებმა თავისი მუშაობით ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს.

— შესძლებენ თუ ვერა მთელი მუშაობის დაწესებული დროისათვის (1930—31 წ.) დამთავრებას?

— იჭვს გარეშეა, რომ დაწესებულ დროისათვის სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების დამთავრება შესაძლებელია—უპასუხეს ამერიკელებმა ჩვენს თანამშრომელს აღნიშნულ შეკითხვაზე.—მაგრამ მარტო სამუშაოების დამთავრება ხომ არ არის საკმარისი—დასძინეს მათ; საჭიროა, რომ მუშაობის დამთავრებისთანავე შესაძლებელი გახდეს ელექტროენერგიაზე მატარებლების გადაყვანა. ამისათვის კი აუცილებელია საჭირო ელექტრომავლებზე და ელექტრომოწყობილობებზე დაკვეთების გაცემის დაჩქარება და სათანადო კადრების მომზადება, რადგან ელექტროწევაზე მატარებლების გადაყვანა თქვენში სრულიად ახალი საქმეა და ამ დარგში მომუშავეები არ მოგეპოვებათ. თუმცა ეს საკითხი ნაწილობრივ უკვე გადაწყვეტილია მით, რომ აქ არსებობს შესაფერისი კურსები და გაგზავნილია რამოდენიმე კაცი ელექტრონის რკინის გზის ექსპლოატაციის საქმის შესასწავლად ჩრდილოეთის რკინის გზაზე.

ბათომში მოქ. ტრანსტომმა და ფორტენბაუმ დაათვალიერეს ნავთსადგური იმის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა ელექტრომავლების ბათომის ნავთსადგურით შემოტანა.

როგორც მათ განუცხადეს ჩვენს თანამშრომელს, ბათომის ნავთსადგური სავსებით დამაკმაყოფილებელია ელექტრომავლების გადმოსატვირთად, რადგან იქ მოიპოვება დიდი სიმძიმის ამწევი მცურავი ონკანები.

გუშინ ამერიკელ სტუმრებმა დაათვალიერეს ზაჰესი, თბილისი და საღამოს გაემგზავრნენ ბაქოში, სადაც დაათვალიერებენ ნავთის სარეწაოებს და დაბრუნდებიან მოსკოვში.

სასამართლო

გამგე, რომელიც ვერ „დააჯერეს"

მუშკოოპის № 30 მაღაზიის საგალანტერიო განყოფილების გამგეს მიხეილ სტეფანეს ძე ერიქაშვილს სარევიზიო კომისიის რევიზიის მოხდენის შემდეგ განუცხადა, რომ ის უნდა გამოეთხოვოს მუშკოოპს და გადასახლდეს გამასწორებელ სახლში გამფლანგველთა საკანში, რადგან სალაროს აკლდა 3705 მანეთი.

გაკვირდა გამგე. ქვა აგდო და თავი შეუშვირა. გამოუცხადა უნდობლობა სარევიზიო კომისიის წევრებს და მოითხოვა ხელახალი რევიზია.

— თქვენ არაფერი გაგეგებათ არც ვაჭრობის და არც ანგარიშწარმოებისა,—განუცხადა კატეგორიული კილოთი ერიქაშვილმა.

დაინიშნა ხელმეორედ რევიზია. გადასინჯეს საბუთები. გაფლანგულ თანხის რაოდენობას არ დააკლდა არც ერთი კაპეიკი.

ვერ „დააჯერეს", გამგე, ის ისევ გაკვირვებას გამოსთქვამდა.

მისი გაკვირვება ყველას აკვირვებდა. პირველ ყოვლისა ეს აკვირვებდა ერიქაშვილის მეზობლებს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ერიქაშვილი კომბინაციებს აკეთებდა.

— ათასი მანეთი ბინის შეკეთებაში გადაიხადა, საიდან? ჩვენც ვმსახურობთ, ჩვენც ჯამაგირი გვაქვს, მაგრამ ათას მანეთობით ვერ ვაგროვებთ ფულებს!—გაიძახოდნენ მეზობლები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ერიქაშვილს გამასახლში მიიპატიჟებდნენ.

და როცა „გაკვირვებული" გამგე გამასახლში მიაბრძანეს ის სრულებითაც არ გაჰკვირვებიათ ერიქაშვილის მეზობლებს. „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო", ამბობდნენ ისინი.

როცა დაჰკითხეს ერიქაშვილის ძმა, მანაც ბუნებრივად ჩასთვალა მისი ძმის დაპატიმრება.

— ჩვენც გვიკვირდა, საიდან მოჰქონდა ამდენი ფული, უსათუოდ არაკეთილსინდისიერად მუშაობდა ძმა, თორემ ასე ფართოდ ვერ იცხოვრებდა—სთქვა მან.

გარდა ამისა მოწმეებმა მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ ერიქაშვილს კერძო ვაჭრებთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი. კერძო ვაჭრები იღებდნენ ერიქაშვილიდან საქონელს და ორმაგ ფასებში ასაღებდნენ კერძო ბაზარზე.

ერიქაშვილი ზის გამასწორებელ სახლში. საქმეს გაარჩევს 1 უბნის სახალხო სასამართლო.

ვერ.

რკინის გზებზე

დამატებითი მატარებლები

ქუთაის-რიონის შუა 10 აპრილიდან დანიშნულია ორი სახალხო მატარებელი, რომელთა მოძრაობა შეთანხმებულია მთავარ ხაზზე მოძრავ მატარებლების მოძრაობასთან.

სანიტარული წმენდის კვირეული

ამიერ-კავკასიის გზის სანიტარული მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. სადგურები, ხაზები, ეზოები, სახელოსნოები, შენობები და მოძრავი შემადგენლობა ჯერ კიდევ ვერ სუფთავდება სათანადოთ.

ასეთ მდგომარეობას ადვილად შეუძლია გამოიწვიოს ეპიდემიური დაავადებანი და რომ ეს საფრთხე დროზე იქნას თავიდან აცილებული, ამისათვის 23—30 აპრილამდე ჩატარდება გზის სანიტარული წმენდის კვირეული.

კვირეულის ჩატარების პერიოდში ადგილებზე არსდება საუბნო სანიტარული კომისიები, რომლებიც აწარმოებენ უბნების სანიტარული მდგომარეობის დეტალურ გამოკვლევას. შემჩნეულ სიბინძურის მოსასპობად კომისიები დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს.

კვირეულის დამთავრების შემდეგ ამიერ-კავკ. რკ. გზის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო მოახდენს მისი შედეგების შემოწმებას.

სეზონურ მუშების გამოსაყენებლად

სააღმშენებლო სეზონის მოახლოების გამო ბევრ ქალაქებში თავს იყრიან სეზონური მუშები, რომლებიც იქ მიდიან მახლობელ რაიონებიდან სამუშაოს საძებნელად.

ამ მუშა-ძალის გამოსაყენებლად გზათა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა რკინის გზების გამგეობებს დააჩქარონ კაპიტალური მშენებლობის სამუშაოები.

ამასთანავე ისინი ეხლავე უნდა შეუდგნენ ისეთ მცირე სამუშაოების შესრულებას, რომელიც არ საჭიროებენ რთულ პროექტების და ნახაზების შედგენას და ამ სამუშაოებზე უნდა გამოიყენონ სეზონური მუშები.

ხანძარი ცისტერნაზე

9 აპრილს სადგ. დალმამეტლში ცეცხლი გაუჩნდა ნავთით სავსე ცისტერნას. ცეცხლი გაჩნდა სატრაქტორო კოლონის მუშების მიერ ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. დაიწვა 300 ტონა ნავთი და დაზიანდა ცისტერნა. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალების საშუალებით.

თვითგასინჯვა

საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების, სოცშეჯიბრების შედეგების და მუშათა დამკვრელობის შემოწმების კამპანიასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას და ხაზის აპარატს მიცემული აქვთ წინადადება ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ამ საქმეში პროფორგანიზაციებს.

ადმინისტრაციის დავალებული აქვს გააკეთოს სანგარიშო მოხსენებები მუშათა საერთო კრებებზე საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების შესახებ და სხვა.

ბიბლიოგრაფია

«К ПРОБЛЕМЕ СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ГОРОДА».

«ПЛАНОВОЕ ХОЗЯЙСТВО»-ს გამოცემა.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია დღის წესრიგში აყენებს ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქციის პრობლემას. ძველი ყოფაცხოვრების საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრებაზე აღმოცენებული ოჯახი საკუთარი შინაური მეურნეობით. ოჯახური მეურნეობა კერძო მეურნეობის ტიპიური განსახიერებაა და, როგორც ასეთი, იგი უაღრესად არარაციონალურია. მშრომელი მოსახლეობის ნახევარი—ქალები (მცირე გამონაკლისით) მთელ თავის ენერგიას საოჯახო საქმეებს—რეცხვას, საჭმლის მომზადებას და ბავშვების მოვლას ანდომებენ. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გასულ წელს გამოიკვლია სახალხო კვების მდგომარეობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირში ოჯახში საჭმლის მომზადებაზე ყოველდღიურად იხარჯება 36 მილიონი სამუშაო საათი ანუ 4 მილიონ ნახევარი 8 საათიანი სამუშაო დღე. ამრიგად 4 მილიონ ნახევარი მუშა ხელი ჩვენში მხოლოდ საჭმლის მომზადებაშია ჩაბმული მაშინ, როდესაც ჩვენი მსხვილი მრეწველობის მუშების რიცხვი დაახლოებით მხოლოდ 2 ნახ. მილიონს უდრის.

სამუშაო დროის ასეთ გაფლანგვას ზედ ერთვის კიდევ ის, რომ ცალკე ორი-სამი სადილის მომზადება გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე საჭმლის მასიური საქარხნო დამზადება. ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ რეცხვაზე, რომელიც არა ნაკლებ დროსა და ენერგიას ართმევს ოჯახის ქალს.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ბავშვების მოვლას. ბავშვის აღზრდის დღევანდელი წესის გამო მშრომელი ქალი აკვნის მონად არის გადაქცეული. ქალისათვის აკვანი მძიმე ბორკილია, რომელიც არ აძლევს მას გასაქანს საზოგადოებრივ მუშაობაში. ასეთი აღზრდის მეორე და კიდევ უფრო ცუდი მხარე ის არის, რომ ოჯახში ბავშვს უყურებენ როგორც გართობის საგანს, ხშირად არ იციან მისი მოვლა. ეს იწვევს ბავშვთა დიდ სიკვდილიანობას. დასასრულ, ბავშვის ოჯახში აღზრდა აძნელებს ახალი ადამიანის შექმნის პრობლემის გადაჭრას, რადგან მცირეწლოვანი დღევანდელ პირობებში დედის რძესთან ერთად ისისხლხორცებს ყველა იმ ვიწრო, მეშჩანურ ინტერესებს, რომლებსაც სამწუხაროდ ჯერ-კიდევ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული მშრომელთა ინდივიდუალურ ცხოვრებაში.

ჩვენ აუცილებლად თავი უნდა დავაღწიოთ ძალებისა და საშუალებების იმ ბარბაროსულ ფლანგვას, რომელსაც იწვევს ინდივიდუალური ოჯახური მეურნეობა, ჩვენ უნდა განვასაზოგადოთ „საოჯახო მეურნეობის" ძირითადი ელემენტები—კვება, რეცხვა, ბავშვების მოვლა, შევუქმნათ სოციალისტურ მეურნეობის მუშაკს ისეთი პირობები, რომ მან შესძლოს თავისი კულტურული და ტეხნიკური მომზადების დონის აწევა, უზრუნველვყოთ ჯანსაღი და ცოდნით შეიარაღებული შემცვლელი თაობების აღზრდა. ყველა ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანების გადაჭრა უშუალოდ ებჯინება ახალი ქალაქების მშენებლობის, საბინაო მშენებლობის პრობლემას.

ეს საბინაო პირობები წარმოადგენენ ძველი ყოფა-ცხოვრების მატერიალურ ბაზას. ძველ ყოფა-ცხოვრების დასამარცხებლად აუცილებელია მისთვის ამ მტკიცე დასაყრდენის გამოცლა.

ჩვენ იმდენად ჩქარი ნაბიჯით წავედით წინ, რომ უკვე პრაქტიკულად დაისვა სოციალისტური ქალაქის მშენებლობის საკითხი. საბჭოთა კავშირში უკვე ბევრ ადგილას ჩაეყარა საფუძველი ახალ ქალაქებს (მაგნიტოგორსკი, ძერჟინსკი—კუზნეცკი და სხვ.). საჭიროა არა მარტო ახალი სოციალისტური ქალაქების გაშენება, არამედ ძველი ქალაქების გარდაქმნა. მაგრამ სამწუხაროდ არსებულ ქალაქების მშენებლობა ძველ წესით მიმდინარეობს. ავიღოთ მაგ. თბილისი, სადაც საბინაო მშენებლობა უგეგმოთ და მტკიცე სოციალისტურ მიზან-დასახულობის გარეშე სწარმოებს დღემდე. ამის შედეგი: ტრამვაის მუშების სახლები, რომელთა აგება რამდენიმე მილიონი დაჯდა და რომლებიც ვიწრო ოთახებით და პატარა (საკუთარი) სამზარეულო-სამრეცხაოებით წვრილ ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებას და გახანგრძლივებას ემსახურება. სოციალისტური ქალაქის ტიპის გამომუშავება გადაუდებელი ამოცანაა. ამ საქმეში უნდა ჩაებას როგორც სპეციალისტები—ისე მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა. ახალი ქალაქის ყველა პროექტი უნდა გადაიქცეს საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მსჯელობის საგნად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი შეცდომები ამ დიად საქმეში.

ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია „Плановое хозяйство"-ს მიერ გამოცემული წიგნაკი „К проблеме строительства соц. города". რომელიც წარმოადგენს მარქსის საგეგმო მუშაკთა კლუბში გ. წ. ნოემბერში ჩატარებული დისკუსიის სტენოგრაფიულ ანგარიშს. დისკუსია საყურადღებოა არა იმით, რომ მასში სწორად იყო დაყენებული და გადაჭრილი ახალი ქალაქის საკითხი, არამედ იმით, რომ გვიჩვენებს, თუ როგორ არ უნდა ისმებოდეს და სწყდებოდეს საერთოდ ყოფაცხოვრების უდიდესი გადატრიალების პრობლემები.

ამხ. ზელენკოს მოხსენებაში წარმოდგენილია სოციალისტური ქალაქის ორი ტიპი — ინდუსტრიალური და აგრონომიული.

ინდუსტრიალური ქალაქის მთავარ ნაწილს შეადგენს სამრეწველო ნაწილი,—ფაბრიკები და ქარხნები, რომელნიც შენდება გზის გასწვრივ კონვეიერის სისტემაზე—ე. ი. იმ მხარეზე, საიდანაც მოდის ნედლეული—აგებული იქნება ნახევარფაბრიკატის დამამუშავებელი საწარმო, შემდეგ—ნახევარ-ფაბრიკატის გადამმუშავებელი საწარმო და, დასასრულ, საწარმო, რომლიდანაც საბოლოოდ დამთავრებული პროდუქცია გამოვა. უკანასკნელ საწარმოოს მოყვება საწყობები: ფაბრიკებთან აშენდება ყოველგვარი ტეხნიკურ-განმანათლებელი დაწესებულებები, რომელთა მეოხებით ფაბრიკა გადაიქცევა უმაღლეს ტეხნიკურ სკოლად. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასურსათო კომბინატის წარმოებებს, რომლებიც ქალაქის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებებს ემსახურებიან.

საცხოვრებელი ბინები აშენდება სამრეწველო ნაწილის ერთ მხარეზე ხაზობრივად (და არა ერთი ცენტრის ირგვლივ, როგორც ეს ეხლანდელ ქალაქებს ახასიათებს). ასეთი დალაგება ხელსაყრელია იმით, რომ ბინები არ იქნება დიდად დაშორებული საწარმოებიდან. სახლები შენდება ჯგუფებად. თვითეული ჯგუფი შეადგენს კომბინატს ან ბლოკს. ყოველ ბლოკს აქვს თავისი ეზო, მოედანი, საბავშო სახლები. ბლოკები ერთმანეთისაგან დაშორებულია მწვანე ბაღებით. ბლოკში სცხოვრობს 2-3 ათასი კაცი.

ბლოკში არ არის ცალკე სამზარეულოები ან სამრეცხაოები. სახლების ქვედა სართულში მოწყობილია სასადილოები და სასურსათო კომბინატიდან მიღებული საჭმლის გასათბობი სამზარეულო. 1 და მე-2-რე სართულზე მოთავსებულია საზოგადოებრივი მნიშვნელობის სადგომები—კლუბი, ბიბლიოთეკა, სამუშაო კაბინეტები, სალექციო დარბაზები. მე-3, 4 და 5 სართ.—საცხოვრებელი ბინები: სულზე თითო, შედარებით პატარა ოთახი, სადაც სახლი-კომუნის მცხოვრები დაიძინებს და დაისვენებს. მოზრდილთა სახლის ახლო აგებულია შენობები საბავშო ბაგის და სკოლისათვის. ბავშვები იზრდებიან ამ დაწესებულებაში მშობლების თვალწინ.

აგრო-ქალაქები ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც განსხვავდება ინდუსტრიალურ ქალაქისაგან. იგიც შენდება ენერგეტიულ-საწარმოო ბაზისის (სატრაქტორო-სამანქანო სადგური და სხვ.). გარშემო მცხოვრებთა რიცხვით აგრო-ქალაქი შედარებით პატარაა. ამხ. ზელენკოს მოხსენების გარშემო გამართული კამათი გვიჩვენებს თუ რამდენად საჭირბოროტოა ამჟამად ჩვენთვის ახალი ბინებისა და ქალაქების მშენებლობის დაგეგმვა. ორატორები ეთანხმებიან მომხსენებლის ძირითად დებულებებს, მაგრამ შეაქვთ მასში მნიშვნელოვანი შესწორებებიც. საერთოდ ორატორების სიტყვებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოსჭვივის: ზოგიერთები გადაჭარბებულ „მემარცხენეობას" იჩენენ და ახალ სახლების პროექტებში სპობენ ყველაფერს ინდივიდუალურს. ასეთ „მემარცხენეთა" წინააღმდეგ არის მიმართული ამხ. ნ. კრუპსკაიას გამაფრთხილებელი ხმა იმის შესახებ, რომ სოციალისტური ქალაქის მცხოვრებიც ადამიანია და მისთვის უცხო არ იქნება ადამიანთა ბუნებრივი გრძნობები და მოთხოვნილებები. ახალი ბინები კი უნდა იძლეოდეს ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილების საშუალებასაც.

ასეთია დისკუსიის მოკლე შინაარსი. ეხლა ვკითხოთ: რაში მდგომარეობს დისკუსიის მოწყობის ინიციატორთა ძირითადი შეცდომა? მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ დისკუსიის მონაწილეები, ინტელიგენტი-სპეციალისტები ლამობენ მუშათა მასების დაუკითხავად გადასწყვიტონ მათი ყოფა-ცხოვრების ბედ-იღბალი. ისინი ადგენენ პროექტებს, „აშენებენ" ახალ ქალაქებს მუშებისათვის, „ანაწილებენ" მათი დასვენების, გართობის, მუშაობის საათებს, უწერენ რეცეპტებს ბავშვების სოციალისტურად აღსაზრდელად. მათი აზრით მუშებმა უნდა მიიღონ კაბინეტური მუშაობის ყველა ეს შედეგი და ხარბად დაეწაფონ „სწავლული" ხალხის მიერ „ბოძებულ" ბედნიერებას. ასეთი ტენდენციის არსებობას ამტკიცებს თვით დისკუსიის მონაწილეთა შემადგენლობაც: მასში მხოლოდ ერთი მუშა მოიპოვება, დანარჩენები სპეციალისტებია. მასებისაგან ასე „დამოუკიდებელი" მუშაობის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე სავსებით სერიოზულად გვირჩევს შევისწავლოთ ფურიეს, ოუენისა და სენ-სიმონის უტოპისტური პროექტები და ის საფუძვლად დაუდოთ ჩვენი სოციალისტური ქალაქების მშენებლობას.

ოქტომბრის რევოლუციის მე-13 წელში, როდესაც მუშათა კლასის აქტივობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, შეუძლებელია ყოფაცხოვრ. რევოლუციის მოხდენის საკითხების ასე დასმა და გადაჭრა. ახალი ქალაქებისა და საბინაო მშენებლობის საკითხების გადაჭრაში მუშათა მასების მონაწილეობა და ხმა უნდა იყოს გადამწყვეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტური ქალაქის მშენებლობის ყველა პროექტი ჰაერში გამოკიდებული დარჩება.

ქ. ჩ.

საქ. სახკინმრეწვში

„უგუბზიარა"

რეჟ. დავით რონდელი იღებს კინო-სურათს აფხაზეთის ცხოვრებიდან. სცენარი გ. მდივანის და დ. რონდელის. ოპერატორი ვ. კერესელიძე. მთავარ როლებში: სოსო ასლანიშვილი, ვასო არაბიძე, გიორგი გუნია და ტიტიკო ბუკია.

„კოლმეურნეობა"

ასისტენტი ვ. შველიძე იღებს კულტურულ ფილმს კოლმეურნეობათა ცხოვრებიდან. ოპერატორი ა. დუმბაძე.

„ახალი სოფელი"

შ. ხუსკივაძე იღებს კულტფილმს კომუნების ცხოვრებიდან. ოპერატორი ი. ალდგომელაშვილი.

„ზვავთა ქვეყანაში"

რეჟ. სიკო დოლიძე იღებს ზემო-ფშავეთში კინო-სურათს მთიების ცხოვრებიდან. ოპერატორი ი. ავდიევი. მთავარ როლებში: ა. ბეზირგანიშვილი, არჩილ მაისურაძე, ი. მამქოთია.

„ახალი კოლხეთი"

პოეტმა ტიციან ტაბიძემ წარმოადგინა სახკინმრეწვში თემა კოლხეთის ინდუსტრიალურ აგროკომბინატის შესახებ. სცენარის დასაწერათ გაგზავნილი არიან შავი ზღვის ნაპირებზე ავტორი ტ. ტაბიძე, მოსკოვის სცენარისტი ა. რჟეშევსკი და რეჟისორი ნინო ღოღობერიძე.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) დ. ჯაკობია (ახალ-სენაკი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ს. კალანდაძე (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

პარტია № 34 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

გათამაშებულია თბილისის ჩემპიონატის მე-9 ტურში 2 აპრილს —1930 წ.

თეთრები: ო. როსტოვცევი—შავები ბ. ლევიტასი.

1. d4, d5 2. c4, c6 3. მc3, მf6 4. კg5, მbd7 5. e3 (ამ მდგომარეობაში თეთრებს ალბათ 5. cd ან 5. a3 თამაში ესაჭიროებოდათ. გაკეთებულ სვლის შემდეგ შავები ღებულობენ უპირატესობას, ისინი გადადიან კემბრიჯ-სარინგის დაცვაზე მოგებულ ტემპით. მათ აღარ სჭირდებათ e6—თამაში). 5.., ლa5! (მe4 მუქარით). 6. ლc2? (სუსტი სვლა. აუცილებელი იყო მხედრის აყვანა f6—ზე. თუმცა ამ შემთხვევაშიაც შავებს უკეთესი პარტია ექნებოდათ) 6... მe4! 7. კf4, e5!! (პაიკის მართებული შეწირვა, რომელიც შავებს მოსაგებ მდგომარეობას უქმნის), 8. de (თუ 8. კ:e5 მაშინ 8.., მ:e5+ 9. de, კb4 10. ეc1, მ:c3 11. bc, კa3 12. ეb1 და შავები ბატონობენ მთელ დაფაზე). 8.., კb4 9. მe2 (ეc1 ზემოთმოყვანილ ვარიანტს იძლეოდა) 9.., მdc5 10. f3 (საუკეთესო სვლა ამ მდგომარეობაში. მუქარა იყო კf5). 10.., კf5 (საუცხოვო სვლა, რომლის შემდეგ თეთრების მიერ პარტიის გადარჩენა შეუძლებელია). 11. fe, კ:b4 12. ლd2, მd3+ 13. მფd1, dc?! (პირდაპირ 13.., 0-0-0 თეთრებს იარაღის დაყრას აიძულებდა) 14. კg5, 0-0 (ბევრად უკეთესი იყო სვლა 14..,f6) 15. კe7, მf2+ 16. მფe1, მd3+ ყაიმი მუდმივი ქიშით, იმ დროს, როდესაც შავების განკარგულებაში იყო სვლა, რომელიც იგებდა პარტიას. 15.., ეfd8 16. კ:b4 (უკეთესია, ვიდრე 16. კ:d8, ე:d8 17. მd4, მ:b4+ 18. მფc1, კ:c3 19. ლf2, ლa3 და მოიგება). 16.., მ:b4 17. მd4, კc2+ 18. მფc1, c5 და შავებმა უნდა მოიგონ.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 11 აპრილი.

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: დილის 9 ს. 30 წუთიდან—10 ს. 30 წუთამდე—მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. 17 საათიდან 17 ს. და 55 წუთამდე მუსიკის მოსმენა სადილის შემდეგ და რეკლამა. 17 ს. და 55 წუთიდან 18 ს. და 35 წუთამდე რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 18 ს. 35 წუთიდან 19 საათ. და 05 წუთამდე გაზეთი „ენიკენდ" რადიოთი—თურქულ ენაზე. 19 ს. 05 წუთიდან 19 ს. 30 წუთამდე დაუსწრებელ კოოპერატიულ კურსების (რადიოთი) ლექცია—„ფინანსები" ქართულ ენაზე 19 ს. 30 წ.-დან 20 საათამდე პიონერისა და მოსწავლის საათი რუსულ ენაზე. 20 საათიდან 20 ს. და 10 წუთამდე დროის შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. 20 ს. 10 წ. 20 ს. და 50 წუთამდე რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე. 21 საათიდან 23 საათამდე საღამო სახელმწიფო კონსერვატორიის ძალების მონაწილეობით. 23 ს. და 20 წუთიდან 23—40 წუთამდე—ლექცია ციკლიდან „მოკლე ტალღების პროპაგანდა" რუსულ ენაზე. 23 ს. 40 წ. 24 საათამდე ინფორმაცია და უკანასკნელი ამბები.

შემთხვევები

სიმულიაცია

გასული წლის 20 დეკემბერს დიდუბის ქუჩაზე მდებარე სახლის № 2-ს ეზოში გაძარცვეს ფოსტალიონი ლადო ბეჟუტაშვილი. ბეჟუტაშვილმა ამ ეზოში ფოსტა ჩააბარა მოქ. ვეტცელს. უკან დაბრუნებისას ფოსტალიონს ეზოში დახვდა დანებით შეიარაღებული ორი ბოროტმოქმედი, რომლებმაც წაართვეს მას 400 მანეთი ფული და ზურგში მიაყენეს მსუბუქი ჭრილობა. სისხლის სამართლის მილიციამ ენერგიული ზომები მიიღო, მაგრამ ბოროტმოქმედთა აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა. შემთხვევის შემდეგ ფოსტის მთავარ სამმართველოში ბეჟუტაშვილის სახელზე მიღებულ იქნა უსახელო წერილი და ბეჟუტაშვილის საბუთები (რომლებიც მას წაართვეს გაძარცვის დროს). ამ წერილმა იჭვი გამოიწვია. მილიციამ დააპატიმრა თვით ლადო ბეჟუტაშვილი. რამოდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა ვინმე ფილა გიოს ძე დათუკიშვილი, რომელსაც ბრალდებოდა ფულის გატაცება ბეჟუტაშვილთან ერთად. დათუკიშვილი დანაშაულში არ გამოტყდა. მილიციის მიერ მიღებული ზომებით ბოლოს საქმე გახსნილ იქნა. დათუკიშვილმა აღიარა თავისი დანაშაული. მან განაცხადა, რომ ბეჟუტაშვილი მისი კარგი მეგობარია. ერთხელ ბეჟუტაშვილმა სთხოვა: მიეყენებია მისთვის მსუბუქი ჭრილობა და დანის სასყიდლადაც გადასცა 15 მანეთი, ხოლო—გასამრჯელოდ 7—8 თუმანი. ამის შემდეგ ბეჟუტაშვილი იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო თავის დანაშაულში. მან განაცხადა, რომ 1927 წლიდან მას ჰქონდა ვალი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაეხადა, ხოლო ვინაიდან სხვა საშუალებით ფონს ვერ გავიდა, მიმართა სიმულიაციას.

ტრამვაის დაჯახება

ტრამვაის ვაგონი, მარშრუტი 14 № 30, რომელსაც მართავდა ვატმანი ტერ-არუთინოვი, მადათოვის კუნძულზე დაეჯახა ნიკოლოზ ჩილიხოვის ფურგონს და დააზიანა.

ძროხის მოპარვა

ქეთევან ესტატეს ასულ ცერცვაძის ეზოდან (დასავლეთის ქ. № 4) მოიპარეს ერთი მეწველი ძროხა და ერთი ხბო.

ქურდობა

გაქურდეს მოქ. სტეფანე ნიკოლოზის ძე ლიუბოვის ბინა (გურიის შესახვევი № 4), საიდანაც წაიღეს 500 მანეთის ნივთები, პორფირე დიმიტრის ძე კილასონიას ბინიდან (აკაკი წერეთლის ქ. № 7) მოიპარეს 95 მანეთის ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს, 11 აპრილს, საღამოს 7 საათზე გამოცხადდნენ სააღმშენებლო ტეხნიკუმში (სანაპირო ქუჩა, № 11) „2000"-ის ანგარიშში მოსამზადებელ კურსებზე. ამხ. ციხელაშვილი, მნაცაკანოვი, ხარაძე, სილაძე, ბარნაბაშვილი, გოგორიშვილი, გიორგაძე, მაღლაკელიძე, ავეტიკიანი, ხაინდრავა, დარბინიანი, ფლახოვი, ჩესანიკი, ბარბაქაძე, მძინოევი, კოჩაროვა, ხეჩუმოვი, ხაჩატუროვი, სანაკოევი, კოპალეიშვილი, ანასტასიადი, რუხაძე, კიტია. ამავე დროისათვის უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომლებიც დამტკიცებულნი არიან „2000"-ის ანგარიშში და ამჟამად იმყოფებიან თბილისში.

— : —

საქ. კომპ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალური კაბინეტი იუწყება, რომ ხვალ 12 აპრილს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (რუსთაველის პროსპ. № 11) შესდგება საღამოს, პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხთან დაკავშირებით. კაბინეტი სთხოვს პარტუჯრედების ყველა მდივნებს გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

12 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. კომპ. (ბ) ცკ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი პროფკავშირების კულტმუშაობის შესახებ. დღის წესრიგში სდგას საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის ამხ. კანდელაკის მოხსენება და გამომკვლევ კომისიის თანამოხსენება. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობების კულტგანყოფილებების გამგეები, საქ. კომპარტიის თბ. ორგ. რაიკომების კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებების გამგეების, ორჯონიკიძის სახელობის და პლეხანოვის სახელობის კლუბების, მუშათა ახალი კლუბების და მეტყევეთა კლუბის გამგეები და გამომკვლევები ამხ. კომახიძე, ჰკუასელი, რაგოსკი, ჩხაიძე, მუქერია, კაკახიძე და ხუციშვილი.

— : —

ს.კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება, რომ 11 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახ. კლუბში შესდგება ლექცია შემდეგ თემაზე: „ბრძოლა ორ ფრონტზე". დასწრება იმ მუშების, რომელნიც ახლად არიან მიღებული პარტიაში—სავალდებულოა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი
პარასკევს, 11 აპრილს, აბონემენტის გარეშე მ. ი. ბრიხმან-შტენგელის გამოსათხოვარი გამოსვლა დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით
უკანასკნელად სეზონში აიდა
შაბათს, 12 აპრილს მე-7 აბონემ. მე-13 წარმოდ. მ. ტ. სემიონოვას და ვ. ა. სემიონოვის მონაწილეობით წითელი ყაყაჩო
კვირა, 13 აპრილს, აბონემენტის გარეშე მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით ბორის გოდუნოვი
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.
ნ. 612

აპოლო
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
პოლა ნეგრი
ახალ მხატვრულ სურათში
ელვიანი მ ვთუდი

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)
უცხოეთის მხატვრული ფილმი
მსოფლიო ჩემპიონი

სოლეი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
მხატვრული ფილმი
ზელიმხანი
მთ. როლებში: ლ. ბესტაევი, ნ. ხანთვი, თინა მაჭავარიანი

პალასი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
ამერიკული სურათი
1000 ცხენის ძალა
(ქარიშხალი კალიფორნიაში)

სპარტაკი
ყოფ. არფასტო
მხატვრული სურათი
დიდედების ამბოხება

დარბაზი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
საუკეთესო ამერიკული ფილმი
ნიუ-იორკის დოკებში
ბეტი კომპსონის და დ. ბანკროფტის მონაწილეობით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
და
ოდონტოლოგიურ ინსტიტუტში
(პლეხანოვის პრ. № 126)
დაიწყო ავადმყოფების მიღება
საღამოს საათებში შეღავათიან ფასებში.
4—6-მდე კბილების მკურნალობა.
6—8-მდე ხელოვნ. კბილების ჩასმა.
25—3 818

რუსთაველის თეატრი
პარასკევი 10 აპრილი
იალცევი
ღვარძლი
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის
მხატვარი პელიონკინი.
შეღავათიან ბილეთებზე შეკვეთა მიიღება თეატრის სალაროში.
ნ. 611 3 1

მუშკოოპის წერტების აპარატის წმენდა
ქალაქის რაიონში იწარმოებს:
სახალხო კავშირგაბმულობის კლუბში 11, 12 და 13 აპრილს,
მშენებლოთა „ 14, 15 და 16 აპრილს,
სახალხო კვების „ 17, 18 და 19 აპრილს.
კომისიის შემადგენლობა: ამხ. მონტინი (თავმჯდომარე), თუშურაშვილი (მუშა), ელოშვილი (რკ. გზის მთ. სახ. მუშა), შავიშვილი (ქარხკომი), ზახაროვი (ადმინისტრ.). ამირაგოვი (მუშკლეხინი), ა.-კ. სამხედრო მომხვ. სახ. წარმომადგენელი და ორაგველიძე (მდივანი).
წმენდის დასაწყისი საღ. 6 საათზე. ნ. 613

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.
— კოოპერატივის წიგნაკი № 11224, მოსე ალექსანდრეს ძე ფირცხალაიშვილის სახელზე. 2045
— დამთავრების მოწმობა № 643 გაცემული ქ. ქუთაისის მე-5 9 წლედის მიერ—ბი ფნტი ბიქტორის-ძე, აბესაძეს სახელზე. 2046
— პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ხაიმ შატაშვილის სახელზე. 2039
— მუშკოოპის წიგნაკი № 1128 გიორგი რაზმაძეს სახელზე. 2037
— საკანდიდატო წიგნაკი № 1941 - აკაკი შველიძის სახელზე. 2033
— სამხედრო მოწმობა გ. გოგრიჩიძის სახელზე. 2034
— კავშირის წიგნაკი № 13/39274—ესტატე ივანეს-ძე ხიზამბაროვის სახელზე. 2038
— მუშკოოპის წიგნაკი № 69419 შალვა ისაკაძეს სახელზე. 2047
— ს.კ.პ. (ბ) პარტ მანდატი № 490716 პავლე მიქელის-ძე თავაძის სახელზე. 2029
— პარტბილეთი № 0850585 - გიორგი ანტონის ძე ნინუას სახ. 2025
— პურის წიგნ. № 67139—ია ოდიშარიას სახელზე. 2030
— კავშ. წიგნ. № 48660, გაცემ. მიწმ/ტყ. კავშ. მიერ, და პირადობის მოწმ. № 149—გრიგოლ ვასაძის სახელზე. 2030
— 7-დ წლ. დამთ. მოწმ. № 520 გაც. გორის მე-IV შრ სკ. მიერ, მეტრ. ამონაწ. და სოც. მდგომარეობის მოწმ. - მიხეილ მელიქიშვილის სახელზე. 2020

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ 13 აპრილს, დღის 12 საათზე, ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში), დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: პიანინო, როიალი, შიფონერკები, პირსაბანები, ბუფეტის შკაფები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე. მსურველებს შეუძლიათ წინასწარ დაათვალიერონ ნივთები. ნ. 578

სამშაბათს, 15 აპრილს, ტრამვაის კანტორაში (მუშტაიდის შესახვევი, 8) დღის 12 საათზე
მეორედ საჯარო ვაჭრობა
1. იმ 12.000 კუბიკური მეტრი ნათხარი მიწის გატანაზე, რომელიც შპალებზე გადაყვანის დროს დაგროვდება პლეხანოვის პროსპექტის, ვაგზლის ქუჩის და მუშტაიდის შესახვევის ტრამვაის ხაზებზე და
2. 20.000 ცალი მუხის შპალების დამზადებაზე.
პირობების გაგება შეიძლება ტრამვაის კანტორაში ყოველ დღე, სამუშაო საათებში. საჯარო ვაჭრობის დღისათვის წარდგენილი უნდა იყოს განცხადებული თანხის 5 პროცენტი.
ნ. 614 ტრამვაის დირექტორი ი. სირაძე.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირეტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიძეს ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მვამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის დმ სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამი, ძმები: დათიკო ვიაჩესლავი, დები: აგრაფინა და ქეთევანი, სიძეები: ზოსიმე ყუფარაძე და მიხა კაპუნაშვილი, ბიძაშვილი გრიგოლ გველესიანი ოჯახით იუწყებიან
არჩილ დიმიტრის ძე გველესიანის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან დღეს, საღამოს 4 საათ. დასაფლავება ს. შროშაში. (კ)

ძმა მიხეილი, რძალი ეკატერინე, ძმისწული ექიმი გიორგი მეუღლით და პატარა თემიკო ნათაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი
ანა გიორგის ასული არეშოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან დღეს, 3-ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2048

დამწუხრებული მეუღლე ნინა ბესარიონის ასული ქუთათელაძისა შვილებით ოდარით და ქეთოთი, სიმამრი ბესარიონ კონსტანტინეს ძე ხუროძე შვილებით თინათი და ზინათი, ბიძა ზაქარია კონსტანტინეს ძე ხუროძე მეუღლე ფატით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
გიორგი ვლადიმერის-ძის ქუთათელაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია დღეს, 3 საათზე რკ. გზის მთავარ საავადმყოფოდან. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2043

წნორის წყალის მუშა-მოსამსახურეები და ნაცნობები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი თანამშრომელი და მეგობარი
გიორგი ვლადიმერის-ძე ქუთათელაძე
გამოსვენება რკ. გზის მთ. საავადმყოფოდან 11 აპრილს, 3 საათზე. 2040

დამწუხრებული მშობლები: ანგელინა და სოკრატი, ძმები: გუია და გერმან ძიმისტარიშვილები იუწყებიან ძვირფასი
დოდოშას (დოდონის)
უეცრად გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე ბინაზე (ყაზბეგის ქ. № 3). გამოსვენება ხვალ, სრულ 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (კ)

დამწუხრებული შვილები ქრისტინე, ოლია და ნინა. ძმები ამროსი, სიმონი, რძალი ნინა ჭოლოკავები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი რძლის
მარუსია დვალიძე-ჭოლოკავას
უდროვოთ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2040

დამწუხრებულნი მეუღლე იასონ ჭოლოკავა: შვილები: ელენე და ეთერი დვალიძეები, ძმა იაკობ, რძალი თამარი და ძმისშვილები გივი და აპოლონ ფალიაშვილები, მეგობრები: ლიუბა არჯევანიძე და ნატაშა მაღრაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ 8 აპრილს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
მარიამ პეტრეს ასული ჭოლოკავა-დვალიძისა
გამოსვენება დღეს 4 საათზე, ბინიდან ხუდადოვის და საბჭოს ქ. კუთხე № 145, კუკიის სასაფლაოზე. 2041

ბესარიონ და მარიამ დვალიძეები შვილებით: თამარით და ქეთოთი, დავით და ბარბარე არჯევანიძეები და შალვა ლეკვეიშვილი აცნობებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 8 აპრილს გარდაიცვალა მათი რძალი
მარიამ ჭოლოკავა-დვალიძე
გამოსვენება დღეს, სრულ 4 საათზე, ბინიდან: ჩერქეზიშვილის და ხუდადოვის ქუჩების კუთხე № 145/4 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2042

ტირაჟი—54.781
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამას ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904